

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## მედეა ნიქაბაძე

დარგი/სპეციალობა 0232 - ფილოლოგია

პოლიტიკური მედიადისკურსის მეტაფორიკის კონცეპტუალიზაცია  
(ინგლისურ და ქართულენოვან მასალაზე)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ფილოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი ირმა ყიფიანი  
თანახელმძღვანელი:  
ფილოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი მაია ალაგვიძე

ქუთაისი

2024

## შინაარსი

შესავალი _____	3
<b>I თავი - პოლიტიკური მედიადისკურსი როგორც დისკურსული სივრცის შემადგენელი ნაწილი _____</b>	<b>13</b>
I.1. დისკურსული პარადიგმის ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები _____	13
I.2. პოლიტიკური დისკურსი როგორც ინსტიტუციური დისკურსის სეგმენტი _____	30
I.3. მედიაკურსი და მისი შესწავლის მიდგომები _____	36
I.4. პოლიტიკური მედიადისკურსის გენეზისის საკითხისათვის _____	46
<b>II თავი - მეტაფორა როგორც პოლიტიკური დისკურსის ლინგვოკოგნიტური და პრაგმატიკული კომპონენტი _____</b>	<b>64</b>
II.1. მეტაფორის ლინგვოკონცეპტუალური ხატი _____	63
II.2 მეტაფორა როგორც პოლიტიკური დისკურსის მახასიათებელი _____	70
II.3 მეტაფორა როგორც მედიადისკურსის შემადგენელი ლინგვოკოგნიტურ და პრაგმატიკულ ჭრილში _____	73
II.4 მეტაფორის და მეტაფორული მოდელების პოლიტიკურ მედიადისკურსში გამოყენების სემანტიკურ-პრაგმატიკული და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი _____	84
<b>III თავი-კონცეპტუალური მეტაფორა თანამედროვე პოლიტიკურ მედიადისკურსში _____</b>	<b>88</b>
III.1. კონცეპტუალური მეტაფორა და მეტაფორული მოდელირება _____	88
III.2. კონცეპტუალური მეტაფორის როლი და მნიშვნელობა პოლიტიკურ მედიადისკურსში _____	93
III.3. კონცეპტუალური მეტაფორები პოლიტიკურ მედიადისკურსში როგორც მანიპულაციური კომპონენტი _____	101
<b>დასკვნა _____</b>	<b>152</b>
გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა _____	156
გამოყენებული ინტერნეტ რესურსები _____	166

## შესავალი

პოლიტიკური რიტორიკისადმი ინტერესი უძველესი ხანიდან შეიმჩნევა, თუმცა იგი საგრძნობლად გააქტიურდა უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე. მისადმი დაინტერესებას იჩენდნენ როგორც პოლიტიკოსები, ასევე არაპოლიტიკოსები. საკითხის მიმართ გამძაფრებულმა ინტერესმა თავისთავად დისკურსის და მისი ჟანრების ლინგვისტური ტრანსფორმაცია გამოიწვია, რადგან ნებისმიერი აქტივობა ენით რეალიზდება, ენის საშუალებით გადმოიცემა და ენაში ჰპოვებს ასახვას. პოლიტიკური დისკურსი უფრო მეტად „სოციალური“ გახდა, ამან კი ხალხის მასიური ჩართულობა გამოიწვია დებატებში. შესაბამისად, გაიზარდა ინტერესი პოლიტიკოსთა მხრიდანაც, რადგან ყველა პოლიტიკოსი სასურველი ინფორმაციის სასურველ ადრესატამდე მისაწოდებლად სწორედ რომ პოლიტიკურ დისკურსს მიმართავს. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია ლინგვისტთა მზარდი ინტერესი პოლიტიკური დისკურსის მიმართ, რადგან არც ერთი პოლიტიკური აქტივობა არ არსებობს ენის გარეშე.

პრაქტიკულად ყველაფერი, რაც ადამიანის გარშემოა და რაც მის ცხოვრებას შეადგენს, წარმოადგენს კომუნიკაციურ გარემოს. საგნები და მოვლენები, როგორც ამ გარემოს ნაწილი, ერთი მხრივ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ – საკომუნიკაციო საშუალებად, რომლის ძირითადი დანიშნულება კომუნიკაციის (შეტყობინების) გადაცემაა.

შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ლინგვისტების ინტერესის სფეროში მოექცა სამეტყველო კომუნიკაციის ერთ–ერთი სახეობა დისკურსი. ნაშრომის თეორიული კვლევის საფუძვლად გამოვიყენეთ ისეთი ავტორების სამეცნიერო ლიტერატურა, როგორებიცაა: ვან დეიკი „კრიტიკული დისკურსის ანალიზის პრინციპები დისკურსსა და საზოგადოებაში“ (Van Dijk, 1993), ელენა შეიგალი „პოლიტიკური დისკურსის სემიოტიკა“ (Шейгал, 2000) და სხვ.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ეხება პოლიტიკური მედიადისკურსის მეტაფორიკის ლექსიკურ-სემანტიკური და ლინგვო-პრაგმატიკული თავისებურებების და მისი კონცეპტუალიზაციის შესწავლას ინგლისური და

ქართულენოვანი მასალების საფუძველზე.

ტერმინი „დისკურსი“ (ფრანგული სიტყვიდან *discourse* - მეტყველება), პირობითად შეიძლება გაიშიფროს შემდეგნაირად: მეტყველება + მოქმედება. სხვანაირად, დისკურსი კომუნიკაციური აქტივობის, ქმედების წერილობითი/ვერბალური პროდუქტია, რომელსაც აწარმოებს ადრესანტი და რომელსაც აღიქვამს ადრესატი. ეს არის „ტექსტის“, „მსჯელობის“ შესაძლებლობების რეალიზაცია კომუნიკაციურ ურთიერთქმედებაში.

დისკურსის ანალიზის მკვლევრები (Van Dijk, 1993; Chilton, 2004; Serio, 1999 და სხვ.) ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ დისკურსი, ისევე როგორც ენა, სოციალური და საზოგადოებრივი მოვლენაა. დისკურსი ენის განუყოფელია ნაწილია და არ არსებობს მის გარეშე. ბუნებრივია ის რომ, დისკურსმა ასახვა ჰპოვა სხვადასხვა კონკრეტულ სოციუმში. დისკურსის გაგებისა და ანალიზისათვის აუცილებელია განვიხილოთ ის მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ სოციალურ სივრცეში.

თანამედროვე ლინგვისტიკაში დისკურსის ანალიზის შესახებ თითქმის ყველაფერი დაიწერა, თუმცა, როგორც აღინიშნა, დეფინიციები განსხვავებულია, რაც მის პროგრესულ და მრავალმხრივ ბუნებაზე მიუთითებს. სალომე ოშიაძე აღნიშნავს, რომ „ენათმეცნიერთა მიერ ენისა და მეტყველების გარჩევამ, ენის ფუნქციონირების სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტებისადმი ინტერესმა, სემიოტიკურმა კვლევებმა გამოიწვია ის რომ, კვლევა გასცდა წინადადების ფარგლებს, კერძოდ, იგი გადაწვდა მეტყველებას, როგორც სამეტყველო აქტთა ბმულ თანმიმდევრობას, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ტექსტით და რომლის გაანალიზება სხვადასხვა ასპექტითაა აუცილებელი“ (ოშიაძე, 2001:45). ის ფაქტი, რომ დისკურსის ანალიზი სხვადასხვა, მრავალფეროვან საშუალებას იძლევა და აგრეთვე ისიც, რომ თავადაც ისეთ განსხვავებულ ასპექტებს საჭიროებს კვლევისათვის, როგორცაა: პრაგმატიკული, სემანტიკური, რეფერენტული და სხვა, დისკურსს უფრო მეტი ლინგვისტის ინტერესის საგნად აქცევს. კოსერიუ ენას და მეტყველებას განასხვავებს, როგორც შესაძლებლობათა ღია სისტემას, შედარებით რეალიზებულ ფორმათა და ნორმათა ერთობლიობას (Coşeriu, 1963:18).

თანამედროვე ლინგვისტიკა და ლინგვისტები დისკურსის კიდევ უფრო მეტ

შესაძლებლობას ავლენენ. თუკი ადრეულ ლინგვისტიკაში დისკურსი და ტექსტი სინონიმებად განიხილებოდა, ვან დეიკის დისკურსის ანალიზმა ეს შეხედულება შეცვალა. არსებული ფორმულა (დისკურსი=ტექსტს+სიტუაცია, ტექსტი=დისკურსს-სიტუაცია), ძალიან მარტივად, ლაკონურად და გასაგებად გადმოსცემს ორივე ცნების პრინციპს და დისკურსს უფრო ფართო გაგებას ანიჭებს.

XXI საუკუნეში ერთაშორის ურთიერთობის გაუმჯობესებამ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ცვლილებებმა პოლიტიკური დისკურსი განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა. გაჩნდა საკმაოდ დიდი საკვლევო კორპუსი, რომლის შესწავლა თანამედროვე ლინგვისტური მიდგომებით აუცილებელი გახდა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დისკურსის სემანტიკას, ენის, აზროვნების და კულტურული ურთიერთობების როლს კულტურათაშორის დიალოგში, ენის სემანტიკურ და პრაგმატიკულ მხარეს. სწორი პოლიტიკური კომუნიკაციის ჩამოყალიბების მიზნით აუცილებელი გახდა ენობრივი ერთეულების დისციპლინათაშორისი კვლევა სოციოლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, კოგნიტიური ლინგვისტიკის, პრაგმალინგვისტიკისა და დისკურსის თეორიის ჩართულობით.

**თემის აქტუალობა განისაზღვრება** თანამედროვე ლინგვისტიკის ინტერესით პოლიტიკური დისკურსის მიმართ, რადგან პოლიტიკური დისკურსი სხვადასხვა ენობრივი ერთეულის მეშვეობით კოლექტიურ აზროვნებაზე ზეგავლენის მოხდენის და შესაბამისად, ახალი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საშუალებაა.

იმდენად, რამდენადაც მოქმედება და ინდივიდთა ურთიერთობა ხორციელდება კომუნიკაციის განსაზღვრულ სოციალურ სივრცეში, შეიძლება ვისაუბროთ ინსტიტუციურ დისკურსზე, ანუ პოლიტიკურ, რელიგიურ, პედაგოგიურ, საქმიან, კულტურულ და ა.შ. დისკურსზე. კვლევისთვის ნაშრომში გამოვიყენეთ ამერიკელი ლინგვისტის, ელის ფრედის ნაშრომი „ინსტიტუციური დისკურსი“ (Freed, 2015:67).

პოლიტიკურ დისკურსში წარმატებული კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებად დღესდღეობით მეტაფორა მიიჩნევა. და ეს იმიტომ, რომ მეტაფორას დარწმუნების ფუნქციის გარდა, შეუძლია გადმოსცეს ის, რომლის პირდაპირი მნიშვნელობით გამოხატვა რთულია; უფრო მეტი სიცხადე და ხატოვნება შეჰმატოს მეტყველებას;

ახალი თვალთახედვა წარმოგვიდგინოს საგანსა თუ მოვლენაზე და ა.შ. კრეატიული, ანუ ახალი მეტაფორა, იმავდროულად, მოითხოვს შემოქმედებით რეაქციას და მისი მიღების მზაობას აუდიტორიის მხრიდან წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად. თუკი მეტაფორა არ არის სათანადოდ აღქმული, ან არ/ვერ ხდება მისი ინტერპრეტირება აუდიტორიის მიერ, შესაბამისად, ვერ ხორციელდება მისი პოლიტიკურ-კომუნიკაციური ფუნქცია. მეტაფორისა და მეტაფორული მოდელების კვლევისთვის გამოვიყენეთ ისეთი ავტორები, როგორებიცაა: ჯორჯ ლაკოფის და მარკ ჯონსონის წიგნი „მეტაფორები რომლებშიც ვცხოვრობთ“ (Lakoff, & Johnson, 1980:43), რომლის ნაშრომშიც კონცეპტუალური მეტაფორის თეორია მკაფიოდ იქნა ფორმულირებული, რომლის შედეგადაც განვითარდა კოგნიტიური ლინგვისტიკა; ჩარტერის ბლექის „კორპუსული მიდგომა კრიტიკული მეტაფორული ანალიზისადმი“ (Charteris-Black, 2004:21); ნინო კირვალაძის საკონფერენციო ნაშრომი ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში ომის კონცეპტუალური მეტაფორების შესახებ (ნინო კირვალაძე, 2009:23) და სხვ.

**სადისერტაციო ნაშრომის თემის** – „პოლიტიკური მედიადისკურსის მეტაფორიკის კონცეპტუალიზაცია (ინგლისურ- და ქართულენოვან მასალაზე)“ არჩევა განაპირობა იმ მზარდმა ინტერესმა, რომელსაც იჩენს თანამედროვე ენათმეცნიერება პოლიტიკური დისკურსის ენობრივი თავისებურებების კვლევის მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დისკურსის სემანტიკას, ენის, აზროვნების და კულტურული ურთიერთობების როლს კულტურათაშორის დიალოგში, ენის სემანტიკურ და პრაგმატიკულ მხარეს.

სწორი პოლიტიკური კომუნიკაციის ჩამოყალიბების მიზნით აუცილებელია ენობრივი ერთეულების დისციპლინათშორისი კვლევა. სწორედ ამიტომ სოციოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, კოგნიტიური ლინგვისტიკა, პრაგმალინგვისტიკა, დისკურსის თეორია, თარგმანის თეორია და სხვა ლინგვისტური მოძღვრებები დაინტერესებულია ენის კომუნიკაციური ფუნქციის ანალიზით.

**კვლევის მეთოდოლოგია** განისაზღვრა საკვლევი თემატიკით. პოლიტიკური დისკურსის, როგორც დისკურსის ერთ-ერთი ტიპის თავისებურებების შესწავლა განხორციელებულია კვლევის სემიოტიკურ და ანთროპოცენტრისტულ -

კომუნიკაციურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. ეს გულისხმობს, ერთის მხრივ, დისკურსის შესწავლას მისი ლექსიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინებით; მეორეს მხრივ, პოლიტიკური დისკურსი განიხილება როგორც ინტერსუბიექტური და ინტერაქციული დისკურსის ექსპლიკაცია, რა დროსაც კომუნიკაციური ფაქტორები უმთავრეს სტრატეგიად მიიჩნევა.

დასახული ამოცანების გადაჭრისათვის, ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა პოლიტიკური ტექსტის **სემანტიკური და პრაგმატიკული ანალიზის მეთოდები**, აგრეთვე პოლიტიკური **დისკურსის კრიტიკული ანალიზი**. სქემების სახით წარმოდგენილია მეტაფორული საკვანძო სიტყვების განაწილება კონცეპტუალურ მეტაფორებში, დიაგრამების გამოყენებით ასახულია ამერიკულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული კონცეპტუალური მეტაფორების სიხშირე, ხოლო ცხრილის სახით ნაჩვენებია ამერიკულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ხშირად გამეორებული სიტყვების სტატისტიკა.

#### **ნაშრომის მიზანია:**

- ✓ გამოვავლინოთ და თეორიულად დიფერენცირებულ იქნეს პოლიტიკური დისკურსის განმასხვავებელი ნიშნები საერთო დისკურსულ სივრცეში;
- ✓ გამოვავლინოთ და განვაზოგადოთ პოლიტიკურ მედიადისკურსში მეტაფორის ლინგვოკოგნიტური და პრაგმატიკული თავისებურებები;
- ✓ განვიხილოთ მედიადისკურსში მეტაფორული მოდელების გამოყენების ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი;
- ✓ გავაანალიზოთ კონცეპტუალური მეტაფორის ლინგვოპრაგმატული ფუნქცია ინგლისურ და ქართულ პოლიტიკურ მედიადისკურსში

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად არის გადაჭრილი შემდეგი **კონკრეტული ამოცანები**:

1. შემუშავებულია კონცეპტუალური ბაზა კვლევის ჩასატარებლად არსებული სპეციალური ლიტერატურის ანალიზის მასალაზე დაყრდნობით;
2. შესწავლილია პოლიტიკური დისკურსი მისი ლექსიკური, სემანტიკური და

პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინებით;

3. განხორციელებულია პოლიტიკური დისკურსის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ინგლისურ და ქართულ მედიატექსტების საფუძველზე;

4. ლექსიკური „არჩევანი“ და მეტაფორის გამოყენება განხილულია, როგორც უმნიშვნელოვანესი სტრატეგია და განისაზღვრება კონოტაციური მნიშვნელობის მქონე ლექსიკის შესწავლის მნიშვნელობა პოლიტიკურ დისკურსში ენების ლინგვისტური თავისებურებებით და კულტურათაშორისი სხვაობით.

საკვლეფ ემპირიულ მასალად გამოყენებულია ორი ამერიკელი და ორი ქართველი პრეზიდენტის მნიშვნელოვანი გამოსვლები. ნაშრომში წარმოდგენილია სულ 20 გამოსვლა (აქედან 12 ამერიკული და 8 ქართული). ემპირიულ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა პოლიტიკოსის 97 პოლიტიკური ტექსტი: საინაგურაციო სიტყვები, წლიური ანგარიშები, დებატები, ინტერვიუები, მიმართვები.

ამერიკელი პრეზიდენტების გამოსვლა:

დონალდ ტრამპი:

- კონგრესის გამოსვლა, 2017;
- ინაუგურაცია, 2017;
- სახელმწიფოს მიმართვა, 2020;
- სახელმწიფოს მიმართვა, 2018;
- აიოვას თავისუფლების სამიტი, 2015;
- გამოსვლა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, 2017;
- საპრეზიდენტო განცხადება, 2015;
- სტატია გაზეთ „intelligencer“ ში, 2015;
- გამოსამშვიდობებელი სიტყვა, 2021

ჯოზეფ ბაიდენი:

- ინაუგურაცია, 2021;
- სახელმწიფოს მიმართვა, 2023;
- დემოკრატიულ–ეროვნული კონვენციის გამოსვლა, 2020.



ქართველი პრეზიდენტების გამოსვლა:

სალომე ზურაბიშვილი:

- წინასაარჩევნო გამოსვლა, 2018;
- საინაგურაციო სიტყვა, 2018;
- 26 მაისის ღონისძიებაზე გამოსასვლელი სიტყვა, 2019;
- ინტერვიუ LCI თან, 2023.

გიორგი მარგველაშვილი:

- სატელევიზიო გადაცემა - პირდაპირი საუბარი, 2011;
- სიტყვით გამოსვლა სპორტის სასახლეში, 2013;
- სატელევიზიო გადაცემა – არჩევანი, 2013;
- სიტყვით გამოსვლა პარლამენტში, 2018.

ნაშრომის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ დისკურსული პარადიგმის ლინგვოკონცეპტუალური მარკერები, ლექსიკურ-სემანტიკური და პრაგმატიკული სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტები, რაც ინგლისური და ქართული პოლიტიკური დისკურსისათვის არის დამახასიათებელი, ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და მოცემული კვლევა გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ სფეროში.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განაპირობებს კვლევის ლინგვოსემიოტიკური და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე, ერთის მხრივ, განსაზღვრულია პოლიტიკური დისკურსის, როგორც დისკურსის ერთ-ერთი ტიპის, ლინგვისტური თავისებურებები, ხოლო, მეორე მხრივ, შემუშავებულია მეტაფორის კონცეპტუალიზაცია, შესწავლილია მეტაფორის და მეტაფორული მოდელების გამოყენების სემანტიკურ-პრაგმატიკული და ლინგვოკუტუროლოგიური ასპექტი პოლიტიკურ მედიადისკურსში და დადგენილია კონცეპტუალური მეტაფორის როლი და მნიშვნელობა პოლიტიკურ მედიადისკურსში, როგორც მანიპულაციური კომპონენტი.

პოლიტიკური დისკურსისადმი გაზრდილი ინტერესი ამ ნაშრომის **პრაქტიკულ ღირებულებაზე** მიუთითებს; კვლევა შეიტანს გარკვეულ წვლილს პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური თვალსაზრისით შესწავლაში. დისერტაციაში ანალიზის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოვიყენოთ ლექსიკოლოგიის, სემანტიკის, პრაგმატიკის და დისკურსის ანალიზის სწავლების თეორიულ საფუძვლად როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში; კვლევის შედეგების განხილვა შესაძლებელია დოქტორანტურაში პოლიტიკური დისკურსის სპეცურსში. ჩატარებული კვლევის შედეგებს და გამოტანილ დასკვნებს გამოიყენებენ მასმედიის წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პოლიტიკოსები.

**ნაშრომის არქიტექტონიკა.** კვლევის მიზანდასახულობა და მიზანდასახულობით განპირობებული აღნიშნული პრობლემატიკა განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე აწყობილ 169 გვერდს.

ნაშრომი შედგება შინაარსის, შესავლის, სამი თავის, დასკვნის, გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ინტერნეტმასალისგან. შესაბამისად, არქიტექტონიკა შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

**შესავალში** დასაბუთებულია ჩვენ მიერ შერჩეული თემის აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის მიზნები, კონკრეტული ამოცანები და საკვლევი ემპირიული მასალა, არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული კვლევის მეთოდოლოგია, ხაზგასმულია კვლევის სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

**I თავში პოლიტიკური მედიადისკურსი როგორც დისკურსული სივრცის შემადგენელი ნაწილი** - განზოგადებულია დისკურსული პარადიგმის ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლის საფუძველზეც დადგენილია რომ დისკურსი, ესაა რთული კომუნიკაციური მოვლენა, რომელსაც გააჩნია შედგენილი სტრუქტურა და ორგანიზაციის შესაბამისი პრინციპები, რომლებიც სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება კონკრეტულ სოციალურ-ენობრივ სიტუაციაში. აგრეთვე ყურადღებას ვამახვილებთ პოლიტიკურ დისკურსზე როგორც ინსტიტუციური დისკურსის სეგმენტზე. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციური დისკურსის შესასწავლად გამოყენებულ ანალიტიკურ მიდგომებს შორის ყველაზე

გამორჩეული არის საუბრის ანალიზი, ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა და კრიტიკული დისკურსის ანალიზი. ასევე გაანალიზებულია მედიაკურსი და მისი შესწავლის მიდგომები. ამგვარად, შეგვიძლია დავაზუსტოთ, რომ მედიადისკურსი არის შეგნებული თემატურად განპირობებული სამეტყველო-სააზროვნო პროცესი მედიურ ინფორმაციულ კონტინუუმში, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სემანტიკურ შევსებას, კომუნიკაციის აგების მიკრო და მაკრო წესებს, კოგნიტური პრაქტიკის შექმნას, ცოდნის გადაცემასა და ინტერპრეტაციებს.

**II თავში -- მეტაფორა როგორც პოლიტიკური დისკურსის ლინგვოკოგნიტური და პრაგმატიკული კომპონენტი** - ვსაუბრობთ მეტაფორაზე, როგორც ენობრივ და, ზოგადად, კულტურულ მოვლენაზე. ამავე ნაწილში გაანალიზებულია კონცეპტუალური, ტრადიციული, ლანდშაფტური და ა.შ. მეტაფორების გამოყენების სპეციფიკა. მეტაფორის ლინგვოკონცეპტუალური ხატი, მეტაფორა, როგორც პოლიტიკური დისკურსის მახასიათებელი, მეტაფორა, როგორც მედიადისკურსის შემადგენელი ლინგვოკოგნიტურ და პრაგმატიკულ ჭრილში, მეტაფორის და მეტაფორული მოდელების პოლიტიკურ მედიადისკურსში გამოყენების სემანტიკურ-პრაგმატიკული და ლინგვოკუტუროლოგიური საფუძვლები, წარმოადგენს კვლევის მთავარ სფეროს შემადგენელ სეგმენტებს.

**III თავში - კონცეპტუალური მეტაფორა თანამედროვე პოლიტიკურ მედიადისკურსში** - მთლიანად კვლევითი ხასიათისაა. კონკრეტული მედიატექსტების მასალაზე წარმოდგენილია კონცეპტუალური მეტაფორების და მეტაფორული მოდელების ლექსიკურ-სემანტიკური კვლევა, ასევე განხილულია კონცეპტუალური მეტაფორის როლი და მნიშვნელობა პოლიტიკურ მედიადისკურსში და გაანალიზებულია კონცეპტუალური მეტაფორები პოლიტიკურ მედიადისკურსში როგორც მანიპულაციური კომპონენტი. კვლევის შედეგად ვასაბუთებთ, რომ კონცეპტუალური მეტაფორა არის ზემოქმედების მძლავრი იარაღი და პოლიტიკური დისკურსის ტექსტებში ასრულებს რიტორიკულ და არგუმენტულ ფუნქციას. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მეტაფორის ეს თვისება ვლინდება პოლიტიკოსთა ინაუგურაციის სიტყვაში და სხვადასხვა კონფლიქტურ სიტუაციებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიქმნება მოლაპარაკე სუბიექტების პოლიტიკური ურთიერთობისას,

როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამასთან ვაზუსტებთ რომ მეტაფორა არის საკვანძო ფაქტორი, რომელიც ააქტიურებს ზემოქმედების, დარწმუნებისა და არგუმენტაციის მექანიზმს პოლიტიკურ დისკურსში. ის განიხილება, როგორც ემოციური ზემოქმედებისა და დარწმუნების უტყუარი საშუალება და ეს რაკურსი აქტუალურს ხდის არგუმენტაციით გამყარებული მეტაფორის პოლიტიკასთან თავდაპირველ კავშირს .

სადისერტაციო ნაშრომის სამივე თავში გაშლილი საკვლევი პრობლემატიკის შემაჯამებელი დახასიათება და კვლევის შედეგების კომპლექსური ანალიზი წარმოდგენილია **დასკვნით ნაწილში**.

**ბიბლიოგრაფიულ ნაწილში** სისტემატიზირებული სახით წარმოდგენილია გამოყენებული და ციტირებული სამეცნიერო ლიტერატურის, ასევე საკვლევი ემპირიული მასალის ჩამონათვალი.

# I თავი - პოლიტიკური მედიადისკურსი როგორც დისკურსული სივრცის შემადგენელი ნაწილი

## I.1. დისკურსული პარადიგმის ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

თანამედროვე ენათმეცნიერის მთავარი შეკითხვა ასეთია: რა მიაჩნია თანამედროვე ენათმეცნიერებს ენის მაკონსტიტუირებელ ნიშნად, ანუ რა წარმოადგენს მის საგანს. შვეიცარელი ენათმეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის კონცეფციით (ეს კონცეფცია კი, თავის მხრივ, წარმოადგენს მთელი XX საუკუნის ენათმეცნიერების თეორიულ საფუძველს) ენის მაკონსტიტუირებელ ნიშანს წამოადგენს თავად ენა, როგორც არბიტრალურ ნიშანთა სისტემა (Saussure, 1916:12).

განსაზღვრავს რა ენას, როგორც არბიტრალურ ნიშანთა სისტემას, XX საუკუნის ლინგვისტიკა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადამიანისათვის, თუ ჩვენ მას განვსაზღვრავთ როგორც ჰომო ლოქუენს, მთავარი და გადამწყვეტია ის, რომ ადამიანი ფლობს ენას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას. იგი ეყრდნობა ნიშნის სამგანზომილებიან მოდელს, რომლის თანახმადაც ნიშანი განიხილება კოგნიტურ და ინტერპრეტაციულ – პრაგმატიკულ ჭრილში.

თანამედროვე ენათმეცნიერების ყველაზე აქტუალური პრობლემატიკა დაკავშირებულია კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარებასთან. თუ ამ ეტაპამდე ლინგვისტური აზროვნების საგანს წარმოადგენდა ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტიკის ძირითად საგანს წარმოადგენს ადამიანი, დანახული ენობრივი თვალსაზრისით. ე. ი. აქცენტი გადატანილია სისტემიდან, რომელსაც იყენებს ადამიანი, თვით ადამიანზე (ლებანიძე, 2004:34).

თეორიული თვალსაზრით, განახლებული ლინგვისტური აზროვნების დაბადების შესაძლო წყაროდ შეიძლება იქცეს ანთროპოცენტრიზმი, რადგან ამ ეტაპზე ლინგვისტიკის ძირითად საგანს წარმოადგენს ადამიანი, დანახული ენობრივი თვალსაზრისით. აქცენტი სისტემიდან, რომელსაც იყენებს ადამიანი, გადატანილია, თვით ადამიანზე. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ გაიაზრებს ადამიანი

საკუთარ თავს. რაც თავის მხრივ განაპირობებს იმას, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს „ენა, როგორც სისტემა მოქმედებაში“ (ლებანიძე, 2004:56).

ენობრივი ნიშნის ცენტრალურ განზომილებად კი მიჩნეულია მისი პრაგმატიკული განზომილება, ანუ ენობრივი სუბიექტის წინა პლანზე გამოყვანა (ლებანიძე, 2004:10). ე.ი. თუკი ლინგვისტური აზროვნების განვითარების წინა ეტაპზე განმსაზღვრელი იყო ნიშნის მნიშვნელობა, დღეს წინა პლანზეა გამოყენებითი ასპექტი. როგორც თეორიული ლინგვისტიკის ფუძემდებელი ვ. ჰუმბოლტი ამბობდა „ენა არის არა მკვდარი პროდუქტი, არამედ შემოქმედებითი პროცესი“ (Humboldt, 1836:233).

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე ლინგვისტური კვლევების მთავარი ამოცანაა ადამიანთა ენობრივი ურთიერთობა და ის ფორმა, რაც ამ ურთიერთობამ შეიძლება მიიღოს, რომელსაც შეუძლება თამამად ვუწოდოთ დისკურსი ფართო გაგებით.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ სამეცნიერო შრომების რაოდენობა, რომლებიც დისკურსის სხვადასხვა სახეობის კვლევას ეძღვნება. ცნება დისკურსი მრავალფეროვანი და ფართო გაგების გახდა, რაც გამოწვეულია ამა თუ იმ ავტორის მსოფლმხედველობით, მათ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიით. აქედან გამომდინარე, იმ კვლევების უმეტესობა, რომელიც „დისკურსის თეორიის“ ჩარჩოში ჯდება, გვაწვდის ჩატარებული დისკურს-ანალიზის შედეგად მიღებული ცოდნის განსჯისა და სისტემატიზაციის საშუალებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტონ ა. ვან-დეიკის (2001), იაკობ ტორფინგის (2005), მარიანა ვ. იორგენსენისა და ლუიზა ფილიპსის შრომები (2002), რომლებშიც მოყვანილია დისკურსის თეორიისა და დისკურს-ანალიზის უმნიშვნელოვანესი კლასიფიკაციები.

პირველად ტერმინი „დისკურსის ანალიზი“ ენათმეცნიერებაში ზელინგ ჰარისმა გამოიყენა თავის სტატიაში „დისკურსის ანალიზი“ (Harris, 1952:59), რომელშიც ზეფრაზული ერთეულების მიმართ გამოყენებული დისტრიბუციული მეთოდია გაანალიზებული. მან დისკურსი ისეთ ზეფრაზულ ერთეულად განიხილა, რომელიც ფრაზათა ერთობლიობისაგან შედგება (Paveau, 2003:194, ადეიშვილი, 2013:20), რის

გამოც, პირვანდელი მნიშვნელობით, დისკურსის ანალიზს ტექსტის ლინგვისტიკის სინონიმად მიიჩნევენ.

ტერმინი დისკურსის შემოღება ლინგვისტიკაში განახორციელა ემილი ბენვენისტმა. მან პირველმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ კვლევების დისკურსული მიმართულება იბადება ფუნქციონალიზმისა და ფორმალიზმის დაპირისპირებით, შეხედულებათა დაპირისპირებით ენის ბუნებასთან მიმართებაში. ბენვენისტმა გამოკვეთა დისკურსის თანამედროვე გაგება, როგორც „მეტყველებისა, რომელსაც მიითვისებს მოსაუბრე“ (Benveniste, 2009:117).

ტერმინის „დისკურსი“ ახალი მნიშვნელობით გამოყენება კი მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. ფრანგული სკოლა დისკურსის ანალიზში ენობრივ წარმონაქმნებს, ძირითადად, მათი პროდუცირების სოციალური პირობების გათვალისწინებით შეისწავლის, ხოლო ანგლოსაქსური მიდგომის მიხედვით, დისკურსის ანალიზი საუბრის ანალიზს გულისხმობს. მისი ძირითადი პოსტულატი დისკურსის ინტერაქციული ხასიათია, რაც ზეპირი თუ წერიტი ვერბალური წარმონაქმნების გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს (ადეიშვილი, 2013:20).

ფუკოს სამეცნიერო ძიებებში ასახულია დისკურსის თავისებურებები, რომლებიც უკავშირდება არა მხოლოდ მის სიტუაციურ განპირობებულობას, არამედ მიეკუთვნება კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციას. ფუკოს სიტყვების მიხედვით, „დისკურსი არის ანონიმური, ისტორიული, დროისა და სივრცით დეტერმინირებული წესების ერთობლიობა, რომლებმაც მოცემულ ეპოქაში და მოცემული სოციალური, ეკონომიკური, გეოგრაფიული ან ენობრივი გარემოცვისთვის განსაზღვრა გამონათქვამის ზემოქმედების პირობები“ (Foucault, 1973:12).

ტერმინი დისკურსის თავისეული გაგება შემოგვთავაზა ვან დეიკმა, დისკურსული პრობლემატიკის ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა მეცნიერმა. ვან დეიკის თქმით, „დისკურსი იძლევა წარმოდგენას საგნებსა და ადამიანებზე, მათ თვისებებსა და დამოკიდებულებებზე, მოვლენებსა და მოქმედებებზე ან ერთმანეთთან მათი რთული დამოკიდებულების შესახებ, ე.ი. სამყაროს რაღაც ფრაგმენტზე, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სიტუაციას. შესაბამისად, მოდელი წარმოადგენს ამგვარი სიტუაციის კოგნიტურ კორელანტს: ეს არის ის, რაც „ხდება ადამიანის ტვინში“, როდესაც ის არის

სიტუაციის დამკვირვებელი ან მონაწილე, როდესაც მას ესმის ან კითხულობს მის შესახებ“ (Van Dijk, 1989:121). მეცნიერი ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ თვით გამონათქვამს, არამედ სიტუაციურ და კოგნიტურ განწყობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ გამოთქმის ფორმასა და შინაარსზე.

ფუკოს ტრადიციებს აგრძელებს დისკურსული ანალიზის ფრანგული სკოლა. სერიოს აზრით, დისკურსის ცნება უნდა გავიგოთ, როგორც „სიტუაციურ კონტექსტთან უწყვეტ კავშირში მყოფი ტექსტები: სოციალურ, კულტურულ-ისტორიულ, იდეოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორებთან ავტორის კომუნიკაციურ-პრაგმატულ და კოგნიტურ მიზანდასახულობის სისტემებთან ერთობლიობაში, რომელიც არის ავტორთან ურთიერთქმედებაში, რაც განაპირობებს სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების განსაკუთრებულ, ამ და არა სხვა მოწესრიგებულობას ტექსტში განხორციელების პროცესში“ (Serio, 1999:212).

აღნიშნული მიდგომა შეიცავს ვან დეიკის კონცეფციის დამახასიათებელ თვისებებს დისკურსის კომუნიკაციურ-პრაგმატული და სიტუაციურად განპირობებული ხასიათის მხრივ. ამასთანავე მოცემულ მიდგომაში ზომიერად არის გათვალისწინებული ფუკოს კონცეფცია დისკურსის არსებობის სოციალურ-ისტორიულ და სხვა საზოგადოებრივ კონტექსტებთან მიმართებაში.

დისკურსის შემსწავლელი სკოლა წარმოდგენილია რამდენიმე მიდგომით და ყველა პოზიციას გააჩნია ლინგვისტური საფუძველი. აღნიშნული ტერმინის განმარტებები დისკურსის მკვლევართა შრომების მიხედვით შეიძლება დავყოთ სამ სახეობად: დისკურსი, როგორც კოგნიტური (მენტალური) მოქმედების ელემენტი; დისკურსი, როგორც სიტუაციისათვის დამახასიათებელი სამეტყველო მოქმედება; მკვეთრად გამოხატული ლინგვისტური მიდგომის მქონე დისკურსის განმარტება მოიცავს ფორმალურ, ფუნქციონალურ და ენოვრივ ქვესახეობებს.

დისკურსის, როგორც კოგნიტური (მენტალური) საქმიანობა მოიცავს კვლევის საგნის ლინგვისტურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მხარეებს. ტექსტის წარმოშობისა და გაგების პროცესები ფსიქოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ასპექტების გათვალისწინებით გულისხმობს სუბიექტის სამეტყველო ქცევას მისი სოციალური სივრცის კონტექსტში. სედოვმა განაზოგადა ზემოთ ნათქვამი და დისკურსი განმარტა,



როგორც „მეტყველების მთლიანი ნაწარმოები მის კოგნიტურ–კომუნიკაციური ფუნქციის მრავალსახეობაში“ (Седов, 1999:90).

გრუშევსკაია უფრო აკონკრეტებს და ავრცობს დისკურსის ლინგვოპრაგმატულ ასპექტს: „დისკურსი არის კოგნიტური პროცესი, რომელიც უკავშირდება მეტყველების რეალურ წარმოებას, მეტყველების ნაწარმოების წარმოქმნას, ე.ი. ტექსტისა, რომელიც ამგვარად წარმოგვიდგება სამეტყველო საქმიანობის საბოლოო შედეგის მიღწევით. ის გადმოიცემა გარკვეულად დასრულებულ (და დაფიქსირებულ) ფორმაში“ (Грушевская, 2002:165). უნდა აღვნიშნოთ დისკურსის პროცესუალური ხასიათი, რომელიც მოყვანილია ამ განსაზღვრებაში და ასევე მისი ფორმალიზებული გამოხატვა ტექსტის სახით.

გარდა ამისა, სხვა ავტორების ნამუშევრებში დისკურსი აღიქმება, როგორც „გარკვეული მენტალობის ვერბალიზაცია, რომელიც შეიცავს არა მხოლოდ გარემოს ასახვასა და ინტერპრეტაციას, არამედ გარკვეული სოციუმისათვის დამახასიათებელ მოწესრიგებული სამყაროს კონსტრუირებას“ (Михалева, 2004:143).

სტეპანოვი ავლებს პარალელს მეტყველების ფუნქციონალურ სტილსა და დისკურსს შორის. ის აღნიშნავს მათ შორის მსგავსებას. გარდა ამისა, მკვლევარი ხაზს უსვამს ამ უკანასკნელის იდეოლოგიურ და ეროვნულზე ორიენტირებულ ბუნებას: „დისკურსი თავდაპირველად არის ტექსტის განსაკუთრებული გამოყენება, განსაკუთრებული მენტალობის, ასევე განსაკუთრებული იდეოლოგიის გამოსახატავად; განსაკუთრებული გამოყენება იწვევს ენის ზოგიერთი თვისების გააქტიურებას და საბოლოოდ, განსაკუთრებული გრამატიკისა და ლექსიკის განსაკუთრებულ კანონებს და საბოლოოდ ქმნის განსაკუთრებულ „მენტალურ სამყაროს“ (Степанов, 2005:89).

გორბაჩევა თავის კვლევაში ასევე აღიქვამს დისკურსს, როგორც „ეროვნულ–ენობრივი მენტალობის, პოლიტიკური რეფლექსიისა და ძალაუფლების გამომვლენელი სიტუაციის გამოხატულებას“ (Горбачева, 2007:67) და ხაზს უსვამს იმას, რომ დისკურსის კომუნიკაციური შესაძლებლობების გამოყენება საშუალებას იძლევა განხორციელდეს ინფორმაციული ზემოქმედება და პუბლიცისტურ სფეროში გავლენა მოახდინოს სახელმწიფო–სამოქალაქო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

როგორც ცნობილია, XX საუკუნეში ფილოსოფია ლინგვისტური მოდელებსა და მეთოდებს დაუბრუნდა. ენათმეცნიერთა მიერ ენისა და მეტყველების გარჩევამ, ენის ფუნქციონირების სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტებისადმი ინტერესმა, სემიოტიკურმა კვლევებმა აშკარა გახადა, რომ ცალკეულ წინადადებაში კავშირების ტიპთა შესწავლა არ იყო საკმარისი ადამიანთა ურთიერთქმედების ასახსნელად. ამიტომ კვლევა გასცდა წინადადების ფარგლებს, კერძოდ, იგი გადასწვდა მეტყველებას, როგორც სამეტყველო აქტთა ბმულ თანამიმდევრობას, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ტექსტით და რომლის გაანალიზებაც სხვადასხვა ასპექტითაა აუცილებელი. ეს ასპექტები შეიძლება იყოს პრაგმატიკული, სემანტიკური, რეფერენტული, ემოციურ-შემფასებლური და სხვა. თავის მხრივ, ენათმეცნიერებმაც ზეფრაზულ ერთიანობებს, ანუ დისკურსს მიმართეს, რომელიც ტექსტის გარდა არალინგვისტურ ფაქტორებსაც მოიცავს, ისეთებს, როგორებიცაა: ადრესატის განწყობა, მიზანი, შეხედულებები, თვითშეფასება, სხვათა შეფასება და სხვა. ფ. სოსიურის მიერ წარმოდგენილი დიქოტომიის თანახმად, ენა სამეტყველო ქმედების ნაწილია, ნიშანთა სისტემაა, რომლებიც ცნებებს გამოხატავენ, მეტყველება კი ენის მანიფესტაციაა. ენისა და მეტყველების დაპირისპირება სხვადასხვა კონცეფციაში სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული: ხან როგორც კოდისა და შეტყობინების, ხან პრაგმატიკისა და სემანტიკის, ხან ნორმისა და სტილის და ა. შ. (ომიაძე 2006:20).

დისკურსი, როგორც ლინგვისტიკის ერთ-ერთი დარგი, ყალიბდება მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან, სტრუქტურალიზმის ეპოქის დასასრულს, ვითარდება პრაგმატიკული ლინგვისტიკის პარალელურად.

თანამედროვე მეცნიერებაში დისკურსს გააჩნია დისციპლინათშორისი ხასიათი. გარდა ლინგვისტიკისა და მომიჯნავე დისციპლინებში გამოყენებისა, ტერმინი ფართოდ გამოიყენება ზოგადსამეცნიერო ლექსიკაში. სპეციალური მნიშვნელობა დისკურსმა მიიღო სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ანალიტიკურ ფილოსოფიაში, სემიოტიკასა და კულტუროლოგიაში და ა.შ.

ე. კოსერიუსთვის ენა შესაძლებლობათა ღია სისტემაა, მეტყველება - რეალიზებულ ფორმათა და ნორმათა ერთობლიობა (Coşeriu, 1963:175). აღნიშნულ

ოპოზიციაში, როგორც ვხედავთ, „მეტყველების“ ადგილი დისკურსმა დაიკავა (ომიაპე, 2006:12).

მ. ფუკოს მიხედვით, დისკურსი გულისხმობს თემატურად (და კულტურული ფონით) დაკავშირებულ ტექსტების ერთობლიობას და არა ზეპირი მეტყველების ერთობლიობას, თუმცა თეორიულად ასეთი ინტერპრეტაციაც დასაშვებია.

მენგენომ თავის ნაშრომში „დისკურსის გენეზისი“ (Mainguaineu, 1984:78) დისკურსის განმარტებისას 7 ჰიპოთეზა ჩამოაყალიბა. ესენია:

- **ინტერდისკურსულობა** - ინტერდისკურსი მეტია, ვიდრე დისკურსი. იგი აზრობრივად სრულყოფილ მნიშვნელობას მხოლოდ სხვა დისკურსების სერიაში ჩართვის შედეგად იღებს.
- **ურთიერთგავლენა** - ავტონომიურად არც ერთი დისკურსი არ იქმნება. სხვის მიერ პროდუცირებული დისკურსები რამდენადმე გავლენას ახდენს ნებისმიერი დისკურსის კონსტრუირებაზე.
- **წესთა სისტემა** - დისკურსში არის იმპლიციტური თუ ექსპლიციტური ნიშნები, რომლებიც ამა თუ იმ დისკურსულ ფორმაციაში მისი ინტეგრაციის საშუალებას იძლევა.
- **ინტერდისკურსული კომპეტენცია** - სუბიექტს განათლების, აღზრდის, საზოგადოების გავლენით ხშირად გაუცნობიერებელი სამეტყველო კომპეტენცია უყალიბდება. ინდივიდი პროდუცირებს ისეთ დისკურსებს, რომლებიც მისი ინდივიდუალური დისკურსული ფორმაციის შესაბამისია და განსხვავებული დისკურსული ფორმაციის გამონათქვამებს არაადეკვატურად აღიქვამს.
- **დისკურსული პრაქტიკა** - დისკურსი არ უნდა მივიჩნიოთ კონტექსტიდან ამოვარდნილ გამონათქვამთა სისტემად, არამედ, იგი შეადგენს სოციალურ, კულტურულ, ინტელექტუალურ და ტექნიკურ გარემოში განხორციელებულ პრაქტიკას.
- **ინტერსემიოტიკური პრაქტიკა** - დისკურსი უნდა განვიხილოთ, როგორც არა მხოლოდ გამონათქვამთა ერთობლიობა, არამედ ინტერსემიოტიკური პრაქტიკა, რომელიც ჩართულია სხვა სემიოტიკურ ნიშანთა სისტემაში.

- **სოციო-ისტორიული ფონი** - დისკურსი სოციალურ-ისტორიულ გარემოსთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად ყალიბდება. ყოველგვარ ენობრივ და ამდენად, სააზროვნო სპეციფიკას განაპირობებს ის გარემო, რომელშიც ნებისმიერი დისკურსი წარმოიშობა (Mainguaineau, 1984).

დარასელია სტატიაში „დისკურსის პრაგმატული კოპერენტულობის ფორმირების შესახებ“ მსჯელობს მნიშვნელოვან საკითხებზე დისკურსის შესახებ. დისკურსის სემანტიკურ თეორიაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. უპირველეს ყოვლისა, მოლაპარაკე სუბიექტს გონებაში უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული, აღბეჭდილი საგნის კონცეპტუალური რეპრეზენტაციის გარკვეული ფორმა / სახე. სწორედ ეს რეპრეზენტაცია წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ „მნიშვნელობას“, რომელსაც მოლაპარაკე „ამუშავებს“ დისკურსის კონსტრუირების დროს. ხშირად ლინგვისტები კონცეპტუალურ რეპრეზენტაციას მოსაზრებათა ნაკრებად მიიჩნევენ და ტექსტობრივ რეპრეზენტაციას ან ტექსტობრივ საფუძველს უწოდებენ (Van Dijk, 1983:67), მაგრამ კონცეპტუალური რეპრეზენტაცია არ არის მხოლოდ მოსაზრებებზე დამყარებული. მაგალითად, ყავის დაღვევის კონცეპტუალური რეპრეზენტაცია, შესაძლოა, ძლიერ განხვავდებოდეს მუსიკის მოსმენის რეპრეზენტაციისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი - ავტომანქანის სიჩქარეების გადართვისაგან (Russell, 1997:99). ამდენად, ჩვენ შეგვიძლია როგორც კონცეპტუალური რეპრეზენტაციების შექმნა, ასევე მათი მეხსიერებიდან და აღქმითი გამოცდილებიდან „გამოძახება“ (დარასელია, 2012:4).

1960-70-იან წლებში დისკურსი განიხილებოდა, როგორც წინადადებათა ან სამეტყველო ქმედებათა ურთიერთდაკავშირებული და შეთანხმებული თანმიმდევრობა. თანამედროვე მეცნიერებაში კი დისკურსი აღიქმება, როგორც რთული მოვლენა, რომელიც შედგება კომუნიკაციის მონაწილეებისაგან, სასაუბრო სიტუაციისა და თვით ტექსტისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დისკურსი არის სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშან-თვისებების აბსტრაქტული ინვარიანტული აღწერა, რომელიც რეალიზებულია კონკრეტულ ტექსტში. იდეალი, რომლისკენაც უნდა მივისწრაფოდეთ კომუნიკაციის პროცესში, არის მაქსიმალური შესაბამისობის მიღწევა დისკურსის, როგორც წესების აბსტრაქტული სისტემისა და დისკურსის

(ტექსტის), როგორც მოცემული წესების კონკრეტული ვერბალური განხორციელებას შორის. სამეტყველო მოქმედების თეორიაში განასხვავებენ ორ ასპექტს – შექმნას, ანუ დისკურსის წარმოშვებას (მოფიქრებას, დაგეგმვას, საუბარს, წერილობითი სახის მინიჭებას) და დისკურსის გაგებას (მოსმენას, წერილობითი ტექსტის აღქმას, ანალიზს, ინტერპრეტაციას) (Арутюнова, 1993:45).

დისკურსის ანალიზი, როგორც მოვლენითი (სიტუაციური) ხასიათის სამეტყველო ქმედება, მთლიანობაში აგრძელებს ვან დეიკის ტრადიციებს. ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვა ცნობილი ლინგვისტი არუთინოვას განმარტებამ, რომელმაც ხატოვნად დისკურსს უწოდა „სიცოცხლეში ჩაფლული/ჩადირული მეტყველება“ (Арутюнова, 1990:87). ყურადღებას აპყრობს რა შეკრულ ტექსტში პრაგმატულ, სოციოკუტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორებს, არუთინოვა გადაზოგადებს: „დისკურსი არის ტექსტი, რომელიც აღებულია მოვლენის ასპექტში“ (Арутюнова, 1990:52). ამ პოზიციას იზიარებს ზოგიერთი მკვლევარი (დისკურსი არის სიტუაციურად განპირობებული სამეტყველო აქტების ჯაჭვი“ (Власян, 2008:43), „დისკურსი ნიშნავს ტექსტს მის უწყვეტ კავშირში სიტუაციურ კონტექსტთან, რომელიც განსაზღვრავს ყველაფერ იმას, რაც მნიშვნელოვანია მოცემული გამონათქვამის/ტექსტის წარმოსაქმნელად“) (Chernyavskaya, 2006:81).

კვლევის სამეცნიერო კატეგორიაში გამოყოფილი თავისებურებებიდან გამომდინარე შემოგთავაზებთ ცნების განმარტებას საკუთრივ ინტეგრირებული მიდგომების ფარგლებში: დისკურსი არის სემიოტიკური არსის მქონე აზრობრივი ელემენტების თანმიმდევრული მწყობრი კომუნიკაციური გაცვლის პროცესი, რომელიც ასახავს სოციალური რეალობის კონკრეტულ განკერძოებულ ფრაგმენტს; ის არის ამ პროცესის ერთობლივი შედეგი.

დისკურსი არის სწორედ კომუნიკაციური სტრუქტურული დონე, მოდელი, რომელიც ტექსტების ერთობლიობას წარმოადგენს. მასში გაერთიანებულია სამეტყველო ქმედების წესები და კულტურული ღირებულებები, სტანდარტული სამეტყველო ფორმულები, რომლებიც მიღებული და აღიარებულია საზოგადოების მიერ.

2002 წელს შაროდომ და მენგენომ გამოსცეს „დისკურსის ანალიზის ლექსიკონი“

(Charaudeau & Mainguaineu 2002:234), სადაც აღნიშნული მოსაზრებები ტრანსფორმირებული სახით არის განხილული. დისკურსი ორგანიზაციის თვალსაზრისით წარმოადგენს ზეფრაზულ ერთეულს, რაც ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ მისი სტრუქტურა აუცილებლად ფრაზაზე დიდ ერთეული უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ დისკურსის შინაარსს მხოლოდ კონცეპტუალური რეპრეზენტაციები არ წარმოადგენს. მოლაპარაკე სუბიექტმა კონცეპტუალური რეპრეზენტაციის მთლიანობიდან უნდა შეარჩიოს ინფორმაცია, რათა მასზე დაყრდნობით ააგოს ტექსტი. ის არჩევს იმ ინფორმაციას, რომელსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს მსმენელისთვის, რათა ამ უკანასკნელმა ადეკვატურად აღიქვას დისკურსის შინაარსი. მოლაპარაკის მიერ ინფორმაციის ფლობისა და გადმოცემის ხერხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს დისკურსის აგებასა და გააზრებაში. დისკურსის სწორად წარმართვა, მინიმუმ, ოთხ დამოუკიდებელ პრობლემას მოიცავს:

1. მოლაპარაკე სუბიექტი არასოდეს მიმართავს უმიზნო კონცეპტუალურ რეპრეზენტაციას სასაუბრო ენის საშუალებით. მას ყოველთვის აქვს გარკვეული მიზანი, ზოგჯერ რამდენიმეც კი.

2. მოლაპარაკე სუბიექტი შეზღუდულია რიტორიკული მიზნებით, კონცეპტუალური რეპრეზენტაციის გამოყენებისას დინამიკურად არჩევს ადრესატსა და მისაწოდებელ ინფორმაციას. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი რეფერენტი ან მოსაზრებაა ცენტრალური და უფრო მნიშვნელოვანი დისკურსის წარმართვისას. მოლაპარაკე სუბიექტის ამგვარი პოზიცია, საბოლოო ჯამში, მსმენელს საკუთარი კონცეპტუალური რეპრეზენტაციის შექმნაში ეხმარება. ამდენად, საწყის პოზიციაზე ცენტრალური რეფერენტები და მოსაზრებები დისკურსის თემატური ორგანიზების სპეციფიკას განსაზღვრავს, ასოცირებული პრაგმატული ცნებები და პროცესები კი თემატური მენეჯმენტის შემადგენელ ნაწილებად განიხილება.

3. თემატური მენეჯმენტის პარალელურად მოლაპარაკე სუბიექტი დინამიკაში აკვირდება, თუ რომელი მოსაზრებაა მსმენელისთვის ნაცნობი (ე.წ. ნაგულისხმევი მოსაზრებები) და რომელი მოითხოვს წარდგენას (ე.წ. საპრეზენტაციო მოსაზრებები). ნაგულისხმევი მოსაზრებები, შესაძლოა, ორ ჯგუფად დაიყოს; პირველ ჯგუფში გაერთიანდება ის მოსაზრებები, რომლებიც, მოლაპარაკე სუბიექტის აზრით,

მსმენელისათვის უკვე ნაცნობია (ე. წ. ზოგადი ინფორმაცია); ხოლო მეორე ჯგუფში - ის მოსაზრებები, რომელთა გაგებისთვის, მოსაუბრის აზრით, მსმენელს დახმარება და გარკვეული განმარტება ესაჭიროება (ე. წ. გამიზნული ინფორმაცია). ნაგულისხმევი ინფორმაცია განსაზღვრავს დისკურსის რეფერენტულ ორგანიზებას, ხოლო მასთან ასოცირებულ პრაგმატიკულ ცნებებს და კოგნიტურ პროცესებს შეიძლება რეფერენტული მენეჯმენტი ეწოდოს.

4. მოლაპარაკე სუბიექტი დინამიკაში აკვირდება, თუ რომელი ნაგულისხმევი მნიშვნელობაა მსმენელისთვის გასაგები. შესაძლოა, იგი ზოგჯერ არც იყოს დარწმუნებული, რომ მსმენელი რაღაც კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ მისთვის (მოლაპარაკე სუბიექტისთვის) სასურველ მნიშვნელობას გულისხმობს. მას ასევე შეუძლია ხაზი გაუსვას და გამოყოს გარკვეული მნიშვნელობები. ეს პროცესები განსაზღვრავენ დისკურსის ფოკუსის ორგანიზებას, ამდენად, მასთან ასოცირებულ პრაგმატულ ცნებებსა და კოგნიტურ პროცესებს შეიძლება ფოკუსის მენეჯმენტი ეწოდოს. დისკურსის მენეჯმენტის ზემოაღნიშნული ოთხი სფერო ასახავს დისკურსში ინფორმაციის მენეჯმენტის ძირითად პრობლემებს (დარასელია, 2012:8).

დისკურსის მნიშვნელოვანი შემადგენელია საუბრის მონაწილეთა კატეგორია, ვინაიდან სწორედ ისინი არიან ტექსტის შემქმნელები. გამოჰყოფენ დისკურსის პიროვნულ და ინსტიტუციონალურ სახეობებს. პიროვნული დისკურსის მონაწილეები ავლენენ თავიანთი ენობრივი პიროვნების თვისებებს მხატვრული დისკურსის მეშვეობით. პოლიტიკური დისკურსი კი არის ინსტიტუციონალური დისკურსის ნაირსახეობა (Арутюнова, 1993:78).

პოტენციურ განზომილებაში დისკურსი წარმოადგენს სემიოტიკურ სივრცეს, რომელიც შეიცავს ვერბალურ და არავერბალურ ნიშნებს. აღნიშნული ნიშნები ორიენტირებულია მოცემული კომუნიკაციური სფეროს მომსახურებისთვის. დისკურსი ასევე არის პრეცედენტული გამონათქვამებისა და ტექსტების თეზაურუსი. დისკურსის პოტენციურ განზომილებაში შედის ასევე წარმოდგენები სამეტყველო ქცევის ტიპური მოდელების შესახებ და ასევე სამეტყველო მოქმედებებისა და ჟანრების ნაკრები, რომლებიც სპეციფიკურია კომუნიკაციის მოცემული ტიპისათვის.

დისკურსის სხვადასხვა ტიპების რეალიზაცია ხდება კომუნიკაციურ სიტუაციებში, რომლებიც უკავშირდება ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს. ბოლო წლებში მიღწეულია საინტერესო შედეგები შესაძლო მენტალურ სამყაროთა კვლევებში, რომლებიც შეადგენენ სხვადასხვა ტიპის დისკურსების სემანტიკურ საფუძველს. შემოდებულია რიგი შესაბამისი ტერმინი, მაგალითად, დისკურსი რომელიმე ენაზე, კერძოდ ინგლისური დისკურსი, მამაკაცის/ქალის დისკურსი, თავაზიანი დისკურსი, არგუმენტული, მხატვრული დისკურსი, ლირიული დისკურსი და ა.შ. ამგვარად ადამიანის ვერბალური და არავერბალური ქცევა ორგანიზებულია დისკურსის სხვადასხვა სახეობების რეპერტუარის მეშვეობით.

პოლიტიკური დისკურსი არსებითად არის ადამიანსა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების მთლიანი კომპლექსის გამოხატულება და ამგვარად, ეს მოვლენა, თავის მხრივ, ფუნქციონალურად მიმართულია იმაზე, რომ რეციპიენტებს ჩამოუყალიბდეს სამყაროს აღქმის ან სამყაროს სურათის რაიმე ფრაგმენტი. პოლიტიკური დისკურსის საცდელი ქვის (საშუალებით) გამოყენებით შეგვიძლია გავიგოთ, თუ როგორ მოდელირდება კულტურული ფასეულობები სხვადასხვა ენობრივ კოლექტივებში, როგორია სოციალური წესრიგის პროპაგანდა, სამყაროს ენობრივი სურათის რომელი ელემენტი რჩება მოლაპარაკეთა ცნობიერებითი სამეტყველო სტრატეგიების საზღვრებს მიღმა, როგორ ყალიბდება ყველა ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი სამყაროს კონცეპტუალური სურათი (Попова & Стернин, 1984:48).

პოლიტიკური დისკურსის სემიოტიკურ სივრცესთან დაკავშირებით შეგვიძლია ვისაუბროთ მასში ამოქმედებული „ენების“ არაერთგვაროვნების შესახებ: ვერბალური ნიშნებისა და პარალინგვისტიკის გარდა არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ სიმბოლიკასა და ემბლემატიკას, შენობების სემიოტიკას ან უფრო ფართო გაგებით, სივრცით სემიოტიკას (სივრცის ნიშნობრივი გამოყენება) (Добровольский, 1998:146).

პოლიტიკური ტექსტი შეიცავს, როგორც ექსტრალინგვისტურ ინფორმაციას (სამყაროს სურათს), ასევე ნიშნებით გამოხატულ ინფორმაციას (სამყაროს სურათი, რომელიც წარმოდგენილია ნიშნით, ნომინაციით) (Караулов, 1993:246).



პოლიტიკურ დისკურსს გააჩნია არა მხოლოდ აზრი (შეფარდებულია რეალობასთან), არამედ არსებითულ „მიჯაჭვულობა“ (სუბიექტურად შეფარდებულია ადამიანთა გარკვეულ ჯგუფთან ან ჯგუფებთან). საუბრის სხვადასხვა სუბიექტი სხვადასხვაგვარად აისახება დისკურსში: კომუნიკაციური ფორმები წარმოშობენ თავის საკუთარ (ანუ მათთვის დამახასიათებელ) შინაარსს.

პოლიტიკური დისკურსის არსებითული ინფორმაციის ანალიზი წარმოადგენს კომუნიკაციურ-ნომინაციურ ანალიზს: ვინ საუბრობს და როგორ საუბრობს. პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენილია პირებით. პირი ერწყმის ტექსტს, მაგრამ ამავდროულად თავად არის ტექსტი. ეს „დაშრევა“ (ერთი მეორეზე დადება), ანუ შინაარსების შერევა წარმოშობს ახალ შინაარსს. ჯამში კი ავტორი აღწევს იმას, რომ სხვადასხვა ადამიანის მიერ წარმოთქმული ერთი და იგივე ტექსტი „იშლება“ სხვადასხვა ტექსტებად: აუდიტორიის მიერ ხდება მათი სხვადასხვანაირად დეკოდირება (გაშიფვრა), სტრუქტურირება, კლასიფიცირება, რანჟირება. ისინი იძლევიან სოციალური ურთიერთქმედების განსხვავებულ სურათს (Попова, & Стернин, 1984:211).

პოლიტიკური დისკურსის აზრობრივ-არსებითულ კვლევებს შეუძლიათ მოგვცენ მნიშვნელოვანი მასალა, როგორც თანამედროვე დისკურსის შესახებ მთლიანობაში, ასევე კერძოდ პოლიტიკური დისკურსის შესახებ. აუცილებელია გამოვავლინოთ ის ნიშან-თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია პოლიტიკური დისკურსისათვის სოციუმის განვითარების მოცემულ ეტაპზე და აგრეთვე განისაზღვროს პოლიტიკური დისკურსის ისტორიული და ნაციონალური (ეროვნული) სპეციფიკური ნიშნები, ამა თუ იმ სტილის, ტიპის, საუბრის ფორმის, კომპოზიციური გადაწყვეტილებების თანმიმდევრობითობა/ არათანმიმდევრობითობა.

აკადემიურ და ეპისტემიოლოგიურ კონტექსტში პოლიტიკური დისკურსის ანალიზი არ არის მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული დისციპლინა. ის უფრო მეტად ფუნქციონირებს, როგორც დისციპლინათმორისი მეთოდოლოგიური მიმართულება, რომელიც ახდენს პოლიტიკური ტექსტების ანალიზს თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრირებას (Йоргенсен, 2008:19).

ამგვარად, დისკურსზე შემაჯამებელი მსჯელობის ფარგლებში ხაზი უნდა გავუსვათ ფუკოს მნიშვნელოვან კონცეფციას დისკურსის შესახებ, რომლის განსაზღვრებითაც, „დისკურსი არის გამონათქვამთა ის ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგება ერთი და იმავე დისკურსული ფორმაციიდან (Paveau, 2003:199, ადეიშვილი 2014:43). მოცემული ლოგიკის მიხედვით, ამკარაა კავშირი დისკურსსა და მეტყველებას შორის. სოსიურისეული ენისა და მეტყველების გამიჯვნა, თანამედროვე კომუნიკაციური მიდგომით გადაიქცა ენისა და დისკურსის დიქტომიად.

დ. ბუსე დისკურსს განიხილავს, როგორც კონტექსტურ ბმულობას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ენათმეცნიერული კონტექსტური ცნებების გაფართოება ტრანსტექსტური სტრუქტურების დონეზე. ამგვარი ტექსტები ქმნიან დისკურსის კორპუსს. ტექსტი, რომელიც გამონათქვამების ჩარჩოს წარმოადგენს, არის დისკურსული ველის ღია სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი. ამდენად, დისკურსი არ არის მხოლოდ მარტივი, თემატურად გაერთიანებული კორპუსი, არამედ ღია კომპლექსური გამონათქვამების სიდიდეა (ბალაძე, 2015:76).

დისკურსის მკვლევართა მსჯელობის შედეგად შეიძლება თამამად ითქვას, რომ დისკურსული ერთეულის შექმნისათვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობები. კერძოდ, დისკურსი წარმოადგენს ერთი, გარკვეული თემის ირგვლივ განვითარებულ მსჯელობას, სადაც ჩანს ადრესანტის მიერ კომუნიკაციური არხისა და სემანტიკური ველების შერჩევა. დისკურსი ძირითადად მონოთემატურია, მაგრამ ძირითად თემას შეიძლება ახლდეს ქვე-თემები. ისინი აქტუალიზდება სხვადასხვა კომუნიკაციურ ჭრილში, იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი ფორმა. დისკურსში ერთიანდება როგორც ლიტერატურული ტექსტები, ასევე ტექსტები, რომლებიც ყოველდღიურ, ყოფით თუ სოციალურ კომუნიკაციაში გამოიყენება, მაგალითად, საუბრობენ ისეთ დისკურსულ სისტემებზე, როგორებიცაა ლტოლვილთა უფლებები, გადასახადების რეფორმა და სხვ. დისკურსი შეიძლება ეფუძნებოდეს სემანტიკური დაჯგუფების პრინციპს, განსაკუთრებით, ყოველდღიური გამოყენების საკომუნიკაციო ტექსტებში: მაგალითად, წერილს, როგორც წესი, მოსდევს პასუხი. დისკურსის შექმნის ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეულია კოგნიტური ოპერაციების შედეგად გამოკვეთილი სემანტიკური ორგანიზება (ბალაძე, 2015:61).

ამრიგად, დისკურსი როგორც ფუნქციურ-სემანტიკური მთლიანობა და კომპლექსური კონცეპტუალური ჩარჩო წარმოადგენს უნივერსალურ ვირტუალურ მოდელს. მასში თავმოყრილია სემანტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული ტექსტები, რომელთა ინტერპრეტაცია მკვლევარის ინტენციაზეა დამოკიდებული. იმდენად რამდენადაც დისკურსი, როგორც ტექსტების ერთობლიობა, ნაწილებისაგან შემდგარი მთლიანი წარმონაქმნია, იგი მოითხოვს როგორც ჰოლისტიკურ მიდგომას, ასევე ნაწილებად დაყოფას და მათ ინტერპრეტაციას ადეკვატური მეთოდებით (ბალაძე, 2015:76).

დისკურსი, ისევე როგორც მეტყველება, დიდწილად დამოკიდებულია კონტექსტზე. გამონათქვამს მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ კონტექსტში ჩართვის შემდეგ. ამასთანავე, დისკურსი მისი კონტექსტის განსაზღვრას უწყობს ხელს და გამონათქვამის პროცესში მისი მოდიფიკაციაც შეუძლია. დისკურსი მხოლოდ მაშინ არის დისკურსი, როდესაც მას რომელიმე ინსტანციას მიაკუთვნებენ, რომელიც არის წყარო მოქმედი პირის, მოქმედების დროის და ადგილის და იმავდროულად მიუთითებს, როგორია მისი დამოკიდებულება ერთი მხრივ იმისადმი, რასაც ამბობს და მეორე მხრივ, მისი თანამოსაუბრისადმი. დისკურსი მართულია ნორმებით. ვერანაირი სამეტყველო აქტი ვერ შედგება, თუ მას არ გააჩნია ის ნორმები, რომლებითაც იგი ასეთად უნდა ჩამოყალიბდეს. თითოეული სამეტყველო აქტი ეწერება დისკურსის ამა თუ იმ ჟანრში და ამით ხელს უწყობს მის ასეთად დაკანონებას, რაც ხდება მხოლოდ მეტყველების დროს. დისკურსი მოიაზრება მხოლოდ ინტერდისკურსში. დისკურსს აზრი აქვს მხოლოდ სხვა დისკურსების სამყაროს შიგნით, რომელშიც იგი გზას იკვლევს. უკვე დისკურსის ამა თუ იმ ჟანრში მოქცევის ფაქტი გულისხმობს მის დაკავშირებას განუსაზღვრელი რაოდენობის სხვა დისკურსების ერთობლიობასთან (Manguaineau, 2002:185-190; ადეიშვილი 2013:3).

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი სწავლობს ურთიერთობას ენასა და მის მომხმარებლებს შორის. ეს ეხება განმასხვავებელ ენობრივ არჩევანს, სინტაქსური სტრუქტურიდან დაწყებული წარმოთქმით დამთავრებული. დისკურსის ანალიზი არის წერილობითი ან სალაპარაკო ენის შესწავლის კვლევის მეთოდი მის სოციალურ კონტექსტთან მიმართებაში. იგი მიზნად ისახავს იმის

გაგებას, თუ როგორ გამოიყენება ენა რეალურ სიტუაციებში.

აშკარაა ის ფაქტი, რომ ცნება დისკურსი ატარებს დისციპლინათშორის ხასიათს და შედის ისეთი სამეცნიერო დარგების კვლევის სფეროში, როგორცაა სოციო- და ფსიქოლონგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა, რიტორიკა და სტილისტიკა. დისკურსის განხილვა ლინგვისტური პოზიციიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რამდენადაც დისკურსი, ესაა რთული კომუნიკაციური მოვლენა, რომელსაც გააჩნია შედგენილი სტრუქტურა და ორგანიზაციის შესაბამისი პრინციპები, რომლებიც სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება კონკრეტულ სოციალურ-ენობრივ სიტუაციაში. ასეთი სოციალურ-ენობრივი სიტუაციის თვალნათელი მაგალითია დისკურსის სხვადასხვა ტიპები, როგორცაა: პოლიტიკური, დიპლომატიური, ადმინისტრაციული, იურიდიული, სამხედრო, პედაგოგიური, რელიგიური, მისტიკური, სამედიცინო, საქმიანი, სარეკლამო, სპორტული, სამეცნიერო, სასცენო, მასობრივ-ინფორმაციული და ა.შ. სავსებით სამართლიანია ვ.ი. კარასიკის მტკიცება, რომ დისკურსის სახეების აღნიშნული ჩამონათვალი შეიძლება გაფართოვდეს ან შეიცვალოს, რამდენადაც საზოგადოებრივი ინსტიტუტები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და არ შეიძლება განიხილებოდნენ, როგორც ერთნაირი მოვლენა. გარდა ამისა, ისინი, ისტორიულად ცვალებადი ხასიათის გამო, შესაძლოა შეერწყან ერთმანეთს და წარმოიქმნან სახესხვაობების სახით ერთი ან მეორე ტიპის ფარგლებში (Карасик, 2000:30).

ამგვარად, ზემოთ აღნიშნულისგან გამომდინარეობს, რომ დისკურსი ასევე იძენს თავის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. დისკურსის სხვადასხვა ტიპების რეალიზაცია ხდება კომუნიკაციურ სიტუაციებში, რომლებიც უკავშირდება ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს. ბოლო წლებში მიღწეულია საინტერესო შედეგები შესაძლო მენტალურ სამყაროთა კვლევებში, რომლებიც შეადგენენ სხვადასხვა ტიპის დისკურსების სემანტიკურ საფუძველს. შემოდებულია რიგი შესაბამისი ტერმინი, მაგალითად, დისკურსი რომელიმე ენაზე, კერძოდ, ინგლისური დისკურსი, მამაკაცის/ქალის დისკურსი, თავაზიანი დისკურსი, არგუმენტული, მხატვრული დისკურსი, ლირიული დისკურსი და ა.შ. ამგვარად ადამიანის ვერბალური და

არავერბალური ქცევა ორგანიზებულია დისკურსის სხვადასხვა სახეობების რეპერტუარის მეშვეობით.

არა ერთი მკვლევარი აღნიშნავს დისკურსის ლინგვოპრაგმატულ ხასიათს, რომელიც უკავშირდება სამეტყველო გამონათქვამების, ტექსტების, ვიზუალური, ინდექსალური და სხვა სემიოტიკური ერთეულების ნიშნების წარმოშობას.

ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ საუბრის ექსტრალინგვისტური პირობები (სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური). ეს პირობები აყალიბებს სიტუაციის გარკვეულ კონტექსტს, რომელიც გავლენას ახდენს დისკურსული გამონათქვამების შინაარსა და ფორმაზე.

დისკურსი არის მენტალური (კოგნიტური) პროცესის შედეგი, რომელიც დამახასიათებელია გამონათქვამის სუბიექტებისათვის. ამავდროულად ზოგიერთი მკვლევარი სამართლიანად უსვამს ხაზს კონკრეტულ ისტორიულ, ეროვნულ, სოციალურად გამოყოფილ სპეციფიკას - ამ ცნების უნიკალურობას.

აუცილებლად უნდა გამოვყოთ დისკურსის ისეთი თვისება, როგორც არის დიალოგურობა, ე.ი. უკუკავშირის არსებობა კომუნიკაციური აქტების (გამონათქვამების) ერთიანი თანმიმდევრული მწყობრი ურთიერთგაცვლის სახით. აღნიშნული ინტერაქტიული ურთიერთქმედება მიზნად ისახავს აზრების გაცვლას საზოგადოებრივი თანხმობის (უთანხმოების) მისაღწევად. აპელაცია საზოგადოებრივი აზრისადმი ავლენს პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების სისტემისადმი დისკურსის მიკერძოებულობას.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ თავისი არსით დისკურსი შეიძლება იყოს, როგორც პროცესი (კომუნიკაციური აქტების ურთიერთგაცვლა), ასევე შედეგი (სემიოტიკური ბუნების ვერბალური და ვიზუალური ერთეულების ერთობლიობა).

## 1.2. პოლიტიკური დისკურსი როგორც ინსტიტუციური დისკურსის სეგმენტი

ინსტიტუციური დისკურსი მოიცავს ვერბალურ გაცვლას ორ ან მეტ ადამიანს შორის იმ ვითარებაში, როდესაც მინიმუმ ერთი მოსაუბრე ან მომხსენებელი მაინც არის სამუშაოსთან დაკავშირებული ინსტიტუციის წარმომადგენელი, სადაც გამოყენებული ენა, ინტერაქციის ხასიათი და მომხსენებელთა მიზნები ნაწილობრივ მაინც განისაზღვრება ინსტიტუციის მიერ, კერძოდ კი, მინიმუმ ერთი მონაწილე ინტერაქციის, როგორც „მუშაობის“ ან სამუშაოს შესრულების განმსაზღვრელი (Sarangi & Roberts, 1999:83). სიტყვათა გაცვლას, რომელიც ხდება ასეთ გარემოში, ხშირად ახასიათებს ინტერაქტიული თვისებების ერთობლიობა, რომელიც განასხვავებს მათ ჩვეულებრივი სოციალური საუბრისაგან. როგორ სწავლობენ მკვლევარები ამ ინტერაქციებს, დამოკიდებულია მათ თეორიულ პერსპექტივაზე და მათ მიერ გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე, ანუ, როგორ ადგენენ, კონტექსტის რომელი ასპექტები არის შესაბამისი ანალიზისთვის; როგორ ახასიათებენ ისინი მოსაუბრეთა მიერ გამოყენებულ ენას; და როგორ აღწერენ მოსაუბრეთა იდენტობას, ზრახვებსა და დავალებებს.

ერლიხისა და რომანიუკის შემდეგ (Ehrlich & Romaniuk, 2013:27), დისკურსი განისაზღვრება „როგორც ენა, რომელიც ჩართულია სოციალურ ინტერაქციაში“. შესაბამისად, ინსტიტუციური დისკურსი მოიცავს სოციალურ ინტერაქციას, რომლებიც მიმდინარეობს გარემოში (თუმცა არა აუცილებლად „ფიზიკურ“ ადგილებზე), რომლებიც აღიარებულია, როგორც „ინსტიტუციური“ ან რასაც ზოგი უბრალოდ „სამსახურთან დაკავშირებულს“ უწოდებს. ინსტიტუციური დისკურსის კვლევის პოზიციონირება სოციალური ურთიერთქმედების კონტექსტში შეესაბამება მოსაზრებას, რომ საუბარი თავად არის მონაცემები. საუბარს განსაზღვრავენ, როგორც ბუნებრივად წარმოქმნილ სიტყვიერი მოქმედებების თანმიმდევრობას, რომელსაც მოსაუბრეები ქმნიან კონტექსტუალიზებულ ინტერაქციაში. სამუშაოზე დაფუძნებული სიტყვიერი გაცვლები შეიძლება შეფასდეს, როგორც სოციალური ურთიერთქმედება, რომელიც მოიცავს ინსტიტუციისთვის სპეციფიკური კითხვებისა და პასუხების ერთობლიობას, ნარატივებს, რომლებიც ქმნიან ან ასახელებენ

სამუშაოსთან დაკავშირებულ სიტუაციებს და/ან ბიზნესის განხილვას. ზოგჯერ ეს ურთიერთქმედებები მოიცავს საუბრებს წარსული ურთიერთქმედებების შესახებ და, შესაბამისად, შეიცავს წინა საუბრის ნაწილებს, რომლებიც შემდგომში ჩართულია ახალ საუბრებში.

დისკურსის ბუნების ეს პერსპექტივა განასხვავებს ინსტიტუციურ დისკურსში მიმდინარე ნაშრომს სხვა კვლევებისგან, რომლებიც იკვლევენ ინსტიტუციურ ტექსტებს, სალაპარაკოს თუ დაწერილს, თანამოსაუბრეებს შორის სოციალური (ვერბალური) ურთიერთქმედების ნაცვლად. ანუ სხვა დისკურსის ანალიზის სფეროები ფოკუსირებულია ინსტიტუციონალურ ან პროფესიულ ტექსტებზე (როგორცაა - პოლიტიკური გამოსვლები, საგაზეთო და ჟურნალის სტატიები, სამართლებრივი გადაწყვეტილებები, რადიო გადაცემები, საგანმანათლებლო პოლიტიკის განცხადებები, სამედიცინო ჩანაწერები, სამეცნიერო მოხსენებები ან წერილობითი ჩვენებები) დისკურსის სტრუქტურის გათვალისწინების მიზნით. სემანტიკური შინაარსი და წინადადებები, ან თავად ტექსტებში ნაპოვნი თემები და იდეოლოგიური ქვეტექსტები.

ინსტიტუციური დისკურსის სფერო, ინტერდისციპლინური ხასიათისაა, წარმოიშვება რამდენიმე განსხვავებული კვლევის ტრადიციიდან: დისციპლინას აქვს ძლიერი კავშირი სოციოლოგიასთან (საუბრის ანალიზი), ანთროპოლოგიასთან (ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა), „კრიტიკული ლინგვისტიკასთან“ (კრიტიკული დისკურსის ანალიზი), ფსიქოლოგიასთან (დისკურსული ფსიქოლოგია), და ფილოსოფიასთან (მეტყველების აქტები და პრაგმატიკა). ადრეულ პუბლიკაციებს შორის, რომლებიც ფოკუსირებული იყო ინსტიტუციურ და პროფესიულ კონტექსტებზე, აღსანიშნავია სინკლერის და კულთარდის ანალიზი საკლასო ენის შესახებ (Sinclair & Coulthard 1975:100), ლაბოვისა და ფანშელის ნაშრომი თერაპიულ საკითხებზე (Labov & Fanshel, 1977:210).

ჰერიტიჯი და კლეიმენის მიხედვით (Heritage & Clayman, 2010:4), პირველი პუბლიკაცია, რომელმაც გამოიყენა საუბრის ანალიტიკური მიდგომა ინსტიტუციური გარემოს გამოკვლევაში, იყო ატკინსონი და დრიუ (Atkinson & Drew, 1979:32). შემდეგ, 1992 წელს, დრიუ და ჰერიტიჯ-მა გამოაქვეყნა „Talk at Work“, პირველი ტომი,

რომელიც მთლიანად მიეძღვნა საუბრის შესწავლას ინსტიტუციურ კონტექსტებში საუბრის ანალიტიკური (Conversation-Analytic) პერსპექტივიდან. ინსტიტუციური დისკურსის ადრეული საუბრის ანალიტიკური კვლევები ძირითადად ფოკუსირებული იყო სასამართლო დარბაზზე, მედიასა და 911-ის გადაუდებელ გამოძახებებზე. ინსტიტუციური გარემოსადმი ინტერესის მატებასთან ერთად, საუბრის ანალიტიკა ასევე გამოიყენებოდა ექიმი-პაციენტის ურთიერთქმედებებზე, საქმიან შეხვედრებზე, საგანმანათლებლო გარემოზე, სატელევიზიო თოქ-შოუებში და სხვა.

გასული რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, სამუშაოსთან დაკავშირებული კონტექსტების დიაპაზონი, რომელსაც იკვლევენ მეცნიერები, განაგრძობს გაფართოებას. ჩვეულებრივ და ინსტიტუციურ საუბარს შორის განსხვავებების ხაზის გასმაში ასევე ხელს უწყობს თავად სოციალური ინსტიტუტების ცვალებადი ბუნება. სერვისის ინდუსტრიის ზრდამ, მაგალითად, გარკვეულწილად მსოფლიო ეკონომიკების გლობალიზაციის პროდუქტებმა. სოციალური ორგანიზაციების შეცვლასთან ერთად შეიცვალა „ამ ინსტიტუტებში გამოყენებული დისკურსის ბუნება“ (Freed & Ehrlich, 2010:3).

ინსტიტუციური დისკურსის განმასხვავებელ მახასიათებლებს შორის ყველაზე ძირითადი ჩამოთვლილია ქვემოთ. ასიმეტრიის გარკვეული ხარისხი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებაა ინსტიტუციურ და ჩვეულებრივ ინტერაქციებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ასიმეტრია მოსაუბრეებს შორის ასევე შეიძლება მოხდეს ჩვეულებრივ სოციალურ კონტექსტში, დომინირება და სტატუსის უთანასწორობა ხშირად ცალსახად არის ჩაშენებული ინსტიტუტების ბუნებასა და წესებში. შესაბამისად, სამუშაოსთან დაკავშირებულ საუბრებში, ინსტიტუციური წარმომადგენელი ხშირად ფლობს „ძალაუფლებას“ და „კონტროლს“ არა მხოლოდ სტატუსთან, უფლებამოსილებასა და ცოდნასთან დაკავშირებით, არამედ საუბრის მართვის თვალსაზრისითაც. ამიტომ ასიმეტრია დაკავშირებულია როგორც სოციალურ ფენომენებთან (სტატუსი, ძალაუფლება და გამოცდილება) ასევე დისკურსიულ უფლებებსა და პრივილეგიებთანაც.

სოციალური ასიმეტრია შესწავლილია ბევრ ინსტიტუციურ კონტექსტში.



ინსტიტუციური წარმომადგენლები მიჩნეულია, რომ აქვთ მეტი ცოდნა, მეტი ავტორიტეტი და უფრო მაღალი სოციალური სტატუსი, ვიდრე მათ არაინსტიტუციურ კოლეგებს. ეს პირები თავიანთ ავტორიტეტსა და სოციალურ პოზიციას ნაწილობრივ პროფესიული განათლებითა და მომზადებით და ნაწილობრივ ფართო საზოგადოების მიერ მათთვის მინიჭებული „სტატუსით“ და პატივისცემით უზრუნველყოფენ. შესაბამისად, ექიმები, ადვოკატები, მასწავლებლები, აღმასრულებელი დირექტორები და სხვა პროფესიონალები ხშირად იწყებენ ურთიერთობას უკვე უფლებამოსილი ინსტიტუციური უფლებამოსილებით, რომელიც მათ მიენიჭათ.

სამუშაოსთან დაკავშირებულ კონტექსტში მონაწილეებს შორის კიდევ ერთი განსხვავება არის ცალკეული ინდივიდების ინსტიტუციასთან გაცნობის განსხვავებული ხარისხი. როგორც წესი, დაწესებულების წარმომადგენელს აქვს ბევრად მეტი გამოცდილება სხვადასხვა სახის ინტერაქციებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება არ წარმოადგენდეს განსხვავებას ობიექტური „ცოდნის“ ან ძალაუფლების კუთხით, ინტერაქციის ტიპების დიდი მოცულობა და გამოცდილება აყალიბებს მნიშვნელოვან ასიმეტრიას და იძლევა შესაძლო ინტერაქტიულ უპირატესობას. მაგალითად, გაყიდვების წარმომადგენელმა შეიძლება წინასწარ არ იცოდეს, რას უნდა ელოდო ამა თუ იმ მომხმარებლისგან, მიუხედავად ამისა, მან არაერთხელ გაიმეორა კონკრეტული გაყიდვების თანმიმდევრობა. მეორეს მხრივ, მომხმარებელს შესაძლოა არასოდეს უსაუბრია განსახილველი კონკრეტული პროდუქტის ან სერვისის დეტალებზე.

ინსტიტუციონალურ წარმომადგენელს, მაგრამ არა „უბრალო“ პირს (პირს, რომელიც ეძებს ან მოეთხოვება ინსტიტუციურ სპიკერთან ურთიერთობა), ხშირად აქვს უფლება დასვას კითხვები, წამოიწყოს (და შეცვალოს) თემები, აირჩიოს ვინ ისაუბრებს და როდის, გააკონტროლოს საუბრის დრო და სხვ. როგორც დრიუ და ჰერიტიჯი განმარტავენ: ინსტიტუციური დისკურსის მრავალ ფორმაში არსებობს პირდაპირი კავშირი ერთი მხრივ, სტატუსსა და როლს შორის, მეორეს მხრივ, დისკურსიულ უფლებებსა და მოვალეობებს შორის... ინსტიტუციური ურთიერთქმედებები შეიძლება ხასიათდებოდეს, როგორც როლური სტრუქტურირებული, ინსტიტუციონალიზებული და ყოვლისმომცველი ასიმეტრია

მონაწილეებს შორის ისეთ საკითხებში, როგორცაა - ცოდნის დიფერენციალური განაწილება, ცოდნაზე უფლებები, სასაუბრო რესურსებზე წვდომა და ინტერაქციაში მონაწილეობა (Drew & Heritage, 1992:49).

კითხვა-პასუხის მნიშვნელობა ჩნდება ყველა ტიპის დაწესებულებების დასაქმებულებში, იქნება ეს ჯანდაცვის მუშაკები, იურისტები, პოლიციის ოფიცრები, მასწავლებლები, თუ ტელემარკეტინგის წარმომადგენლები. ორი ფაქტორის შერწყმა იწვევს კითხვა-პასუხის სისტემატურ არსებობას ამ ვერბალურ გაცვლებში:

1. ინსტიტუციური ურთიერთქმედებისას, ერთი მონაწილე, როგორც წესი, ეძებს რაიმე სახის ინფორმაციას მეორისგან;

2. ყველაზე ეფექტური ლინგვისტური საშუალება თანამოსაუბრისგან პასუხის მისაღებად არის შეკითხვის დასმა.

აღსანიშნავია, რომ კითხვების აქტუალობა და ასიმეტრიის გავრცელება ხშირად თანმიმდევრულია ინსტიტუციური ურთიერთქმედებისას; როდესაც ერთ მონაწილეს აქვს ინსტიტუციური პრეროგატივა, განსაზღვროს როგორ და როდის ხდება დაკითხვა, შედეგი არის დისკურსიული ასიმეტრია.

კითხვები და ინსტიტუციური ასიმეტრიის ფენომენი წარმოიქმნება ისეთ გარემოში, სადაც არაინსტიტუციური მონაწილე ცდილობს მოყვეს თავისი „ისტორია“ და ინსტიტუციური წარმომადგენელი აკონტროლებს, თუ როგორ ხდება ამბავი, რაც მოითხოვს „ინსტიტუციურად განსაზღვრულ ფორმას“ (Linde, 2003:520), ხშირად წარმოიქმნება ზუსტად შემუშავებული კითხვების სერიით. კითხვა-პასუხის ფორმატი, რომელიც გამოიყენება იურიდიულ, სამედიცინო და მრავალ სხვა გარემოში ამ ისტორიების გამოსატანად, ხშირად ეწინააღმდეგება უფრო ნაცნობ ნარატიულ სტრუქტურას.

მიუხედავად იმისა, რომ კითხვების დასმის პროცედურები და წესები, რომლებიც განსაზღვრავს ვის აქვს შეკითხვის უფლება, განსხვავდება კონტექსტიდან კონტექსტში, ინსტიტუციური დისკურსის შესწავლის ცენტრალური ნაწილი გულისხმობს გამოყენებული კითხვებისა და პასუხების შემოწმებას. კითხვის დასმასთან დაკავშირებულ თემებს შორის, რომლებსაც მკვლევარები იკვლევენ, არის შემდეგი: რა სახის გამონათქვამები წარმოადგენს კითხვას მოცემულ კონტექსტში; რა

სინტაქსური ფორმები იწვევს რა ტიპის პასუხებს; რა დისკურსიული ფუნქციის კითხვები ემსახურება სხვადასხვა პარამეტრებს; რა მნიშვნელობა აქვს კითხვის თანმიმდევრულ პოზიციას ურთიერთქმედებას; მონაწილეთა შორის ვინ რა სახის დაკითხვის მოწყობილობებს იყენებს; და რას მიაღწევენ მონაწილეები თავიანთი პასუხების სახით (Freed & Ehrlich, 2010:3–19).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინსტიტუციური დისკურსის შესასწავლად გამოყენებულ ანალიტიკურ მიდგომებს შორის ყველაზე გამორჩეული არის საუბრის ანალიზი, ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა და კრიტიკული დისკურსის ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ამ მიდგომას აქვს გამორჩეული პერსპექტივები მონაცემებზე და განსხვავებული შეხედულებები დისკურსის ანალიზის მიზნების შესახებ, გარკვეულწილად ისინი ასევე ავსებენ ერთმანეთს; მკვლევარები, როგორც წესი, აერთიანებენ რამდენიმე ამ მეთოდის ელემენტებს. ამის მიუხედავად, კრიტიკული ანალიზი, გახდა მეთოდოლოგია, რომელიც ყველაზე ხშირად ასოცირდება პროფესიული და ინსტიტუციური დისკურსის შესწავლასთან, როგორც ამ ანალიტიკურ ჩარჩოში შესრულებული ინსტიტუციონალურ საუბარზე სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის გამო. არა მხოლოდ ბევრი ახალი მეცნიერი იყენებს ამ მეთოდოლოგიას, არამედ მკვლევარები, რომლებიც მუშაობენ სხვა ჩარჩოებში, განსაკუთრებით დისკურსიულ ფსიქოლოგიასა და კრიტიკული დისკურსის ანალიზში, ასევე აერთიანებენ ტრანსკრიფციის კონვენციებს და კრიტიკული ანალიზის ანალიტიკურ კატეგორიებს მათ ანალიზში. ინსტიტუციური დისკურსი, როგორც კვლევის სფერო, შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ორი გარკვეულწილად განსხვავებული, თუმცა დაკავშირებული მიზნების მქონედ. კვლევის ერთ-ერთი მიზანია აღწეროს სამუშაოსთან დაკავშირებული ურთიერთქმედებები, რომლებიც ქმნიან ადამიანების ყოველდღიური გამოცდილების მნიშვნელოვან ნაწილს ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში. სხვა მიმართულება კი მიზნად ისახავს სამუშაოსთან დაკავშირებული პრობლემური ინტერაქციების გამოსწორებას. ასეთი ძალისხმევა მოითხოვს დისკურსის ანალიტიკოსის თანამშრომლობას მოცემული ინსტიტუტის შესაბამის წევრებთან. სირთულეების იდენტიფიცირებისა და კრიტიკის შემდეგ, რომლებიც წარმოიქმნება კონკრეტულ

სამუშაოსა თუ პროფესიულ ინტერაქციებში, მკვლევრებს შეუძლიათ წინადადებები წარმოადგინონ კომპლექსური სპეციფიკური სიტუაციის ინტერაქციის პრობლემის გადასაჭრელად (Antaki, 2011 ).

დაბოლოს, იმის გამო, რომ ჩვეულებრივ და ინსტიტუციონალურ დისკურსს შორის განსხვავებები შეიძლება კამათის მიზეზი გახდეს, პერსპექტიული გზა შეიძლება იყოს იმ თვისებების გათვალისწინება, რომლებიც ოდესღაც ითვლებოდა, რომ კატეგორიულად განასხვავებდნენ ინსტიტუციონალურ და ჩვეულებრივ საუბარს, როგორც კონტინუუმში, გარკვეული მახასიათებლებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად ხშირად გვხვდება ერთი სახის ურთიერთობაში მეორესთან შედარებით.

გარდა ამისა, იმის გამო, რომ ჩვეულებრივ საუბრის დამახასიათებელ თვისებებს უფრო და უფრო ხშირად იყენებენ ინსტიტუციური მიზნებისთვის, განსხვავება ინსტიტუციურ და ჩვეულებრივ ინტერაქციებს შორის შეიძლება საუკეთესოდ განიხილებოდეს, როგორც დაკავშირებული მიზნებთან, რისთვისაც გამოიყენება საუბარი, და არა როგორც თავად საუბრის დამახასიათებელი. მკვლევარებს შეიძლება სურდეთ დაასკვნათ, რომ საერთო ჯამში, ჩვეულებრივი საუბარი გამოიყენება არა მხოლოდ სოციალური ფუნქციების უზარმაზარი დიაპაზონისთვის, არამედ „ყველა სავარაუდო ინსტიტუციური მიზნისთვის“ (Freed & Ehrlich, 2010:31).

### 1.3 მედიაკურსი და მისი შესწავლის მიდგომები

მედიაკურსის კომუნიკაციური სივრცის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ინდივიდის ცხოვრებისეული გამოცდილების კატეგორიზაცია, მისი სტრუქტურირება, კოჰერენტულობა ცოდნის, წარმოდგენების, სხვა ადამიანების შეფასების ვერიფიკაციის მეშვეობით კოლექტიურად მიღებულ და დაგროვილ ცოდნასთან და ნორმებთან ერთად, რომლებიც გამოიმუშავა სოციუმმა არსებობის მრავალი საუკუნის განმავლობაში. ამიტომ მასობრივი კომუნიკაციის ასეთი რთული,

კომპლექსური ფენომენის აღწერა, რომელმაც მიიღო მატერიალური განხორციელება ვირტუალური სივრცის გამოგონებისა და არსებობის პირობებში, სრულად ხდება შესაძლებელი დისკურსიული მიდგომის მეშვეობით, რადგან ეს უკანასკნელი, განხილვის ასპექტის მიუხედავად, უზრუნველყოფს არა ერთი კვლევითი ამოცანის გადაწყვეტას. უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივი კომუნიკაციის კვლევა შემუშავდა ჯერ კიდევ გ. ლასაუელის მიერ, რომელმაც მოახდინა მასობრივი კომუნიკაციის შესწავლის სტრუქტურირება ანალიზის სხვადასხვა სახეობებში: ინფორმაციის კომუნიკატორის განხილვა და მართვა, კომუნიკაციის კონტენტის, სამიზნე აუდიტორიის, არხის და ეფექტურობის განხილვა. კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობებისა და პრობლემების ინტერპრეტირება მიზანშეწონილად მიიჩნევა კომუნიკაციის (ავტორის, აქტორის, ადრესატის) მონაწილეთა ინტენციის მეშვეობით. ამრიგად, ნებისმიერი კვლევის პრობლემა გადაწყდება მხოლოდ კომუნიკატორის პოზიციიდან გადმოცემული შეტყობინების ენობრივი თავისებურებებისა და ფაქტორების, კომუნიკაციური სიტუაციის კვლევის მონაცემების გათვალისწინების გარეშე და მრავალი სხვა.

თუმცა, მეცნიერული ცოდნა, რომელიც მიიღება კვლევის ამ პრინციპის შესაბამისობიდან გამომდინარე, მას მაინც აქცევს ყურადღების ქვეშ. ე.ა.კოჟემიაკინის თქმით, შეტყობინების კოდისა და აუდიტორიის მოლოდინის თავისებურებებს და მით მეტად განსაზღვრავს კომუნიკატორის ინტენციებს, რაც უფრო ძლიერ იქნება ეს უკანასკნელი მასზე დამოკიდებული. ხშირად სახეზე გვაქვს ცნობიერი და ქვეცნობიერი განხორციელება არა ავტორის, არამედ აუდიტორიის ინტენციებისა, რომელთა შესახებ კომუნიკატორი შეიძლება ხვდებოდეს ან ვარაუდობდეს.

მასმედიის ტრადიციულ კვლევებში, რომლებიც ეყრდნობა ლასაუელას სწავლებას, მნიშვნელოვან ნაკლოვანებას წარმოადგენს კომუნიკატორისთვის გადაჭარბებული როლის მინიჭება მასობრივი კომუნიკაციის პროცესში, როდესაც ის გვევლინება „მედია დემიურგად“, რომელიც წარმართავს კომუნიკაციას საკუთარი გეგმებისა და მიზნების შესაბამისად. კომუნიკატორი თითქოს კომუნიკაციის პროცესს მიღმა რჩება, რაც ეწინააღმდეგება დისკურსიული მიდგომის ერთ–ერთ დებულებას, რომელიც გულისხმობს გამონათქვამის ავტორის ჩართულობას კომუნიკაციური

პროცესის დინამიკაში და რომლის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ინფორმაციების, რეპლიკების, შეტყობინებების გაცვლა. უფრო მეტიც, კომუნიკაციური როლების გაცვლა სამეტყველო დისკურსის პროცესში შეუძლებელია, თუ კი კომუნიკატორი–ინიციატორი გასცდება კომუნიკაციის ფარგლებს („ფრჩხილებს“). კომუნიკატორის ნება და არჩევანი არ არის განმსაზღვრელი კომუნიკაციური პროცესისათვის მედიადისკურსში, რომელშიც მონაწილეობს მრავალი ფაქტორი მისი ინტენციებიდან დამოუკიდებლად.

კომუნიკატორის მიერ დადგენილი გეგმის მიხედვით აზრის შინაარსი ყოველთვის ვერ აღწევს ადრესატამდე და ხშირად აღიქვამს მას სრულიად არაერთმნიშვნელოვნად. კომუნიკაციურ პროცესში მონაწილე რეციპიენტი, მიუხედავად იმისა იქნება ის ერთი ცალკეული ადრესატი თუ სამიზნე აუდიტორიის მრავალთაგან ერთ–ერთი წარმომადგენელი, ინფორმაციას არ აღიქვამს მთლიანად, ანუ არ აღიქვამს იმ აბსოლუტური სახით, როგორც არის ტრანსლირებული კომუნიკატორის მიერ. ინფორმაციის აღქმასა და გააზრებაზე გავლენას ახდენს არა ერთი ფაქტორი – კომუნიკაციური სიტუაცია, ენობრივი, ლინგვისტური, ექსტალინგვისტური ანუ გარე მახასიათებლები და ა.შ.

ტრადიციული მიდგომის ზემოთმოყვანილი შეცდომის თავიდან ასარიდებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ ევოკაციური მიდგომა: ევოკაციის სუბიექტიდან კომუნიკატორისა და რეციპიენტის გამოყოფა შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან ავირიდოთ კომუნიკატორის გამოდევნა კომუნიკაციის პროცესის ფარგლებს გარეთ კომუნიკაციური პროცესის მიზანმიმართული წარმოებისა და კონტროლის პირობებშიც კი. კომუნიკატორი და რეციპიენტი გავლენას ახდენენ კომუნიკაციის პროცესზე, მაშინაც კი თუ შეტყობინებების გადაცემა იქნება კოდირებული და ინტერპრეტირებული არასწორად. კვლევის საგანია მიზეზების გამოვლენა, რომლებიც აიძულებენ კომუნიკატორს განსაზღვროს აზრის შინაარსი, აირჩიოს ინფორმაციის კოდი და მიწოდების არხი და აგრეთვე აირჩიოს, როგორი განძრახვით წარმართოს კომუნიკაცია. მოცემულ თემატიკაზე კომუნიკაციის ინიციატორი, მისი მხარდაჭერა გარკვეულ ფორმატში და ზოგიერთი კომუნიკაციური მიზნების რეალიზაცია სავსებით შესაძლებელია, მაგრამ კომუნიკატორის ინტენცია ვეღარ მოიცავს ამ

პროცესს მთლიანად.

აღნიშნულ მიზეზებს არ შეისწავლის კომუნიკატივისტიკა (კომუნიკაციის საფუძვლები), ვინაიდან ამ სფეროს მკვლევარები მიაკუთვნებენ ამ საკითხს სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფსიქოლინგვისტიკის, კოგნიტური ლინგვისტიკის და სხვა დიციპლინების სფერო. უნდა აღინიშნოს, რომ საგნის შესწავლის სპეციფიკა გულისხმობს დისციპლინათშორის კვლევით პროცესს, როდესაც ყოველი ასპექტი აჩვენებს აღწერითი ფენომენის არსს. ამიტომ კლასიკური მეთოდოლოგიური მიდგომა არის ნაკლებად მისაღები, ვინაიდან ევოკაციური პროცესების გაშუქება მედიადისკურსში მოითხოვს შესასწავლი მოვლენის განხილვას სხვადასხვა სამეცნიერო დარგების პოზიციიდან: კოგნიტური ლინგვისტიკის, კომუნიკატივისტიკის, დისკურსული ლინგვისტიკის, ტექსტის ლინგვისტიკის, კომპარატივისტიკისა და სხვა დარგების პოზიციიდან. ეს შესაძლებლობას იძლევა საკმაოდ ზუსტად და სრულად იყოს აღწერილი კვლევის ფენომენი.

ცხადია, რომ მედიის კვლევის კლასიკური მიდგომა არ ისახავდა მიზნად შეესწავლა მედიატექსტებისა და დისკურსების შექმნის ენობრივი პროცესები, აზრების კონსტრუირების ხერხები და კანონზომიერებები, ე.ი. მედიადისკურსის ფუნქციონირების ლინგვისტური და კოგნიტური ასპექტები. ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მედიადისკურსი არის არა უბრალოდ გარკვეული ჟანრის ტექსტების ერთობლიობა, არამედ უფრო მეტიც და წარმოადგენს დინამიურ კომუნიკაციურ პროცესს, რომელიც ხორციელდება გარკვეული აზრობრივი ურთიერთკავშირების ველში მედიატექსტებისა და დისკურსების მთლიანი კორპუსის ცალკეულ ელემენტებს შორის. ამავდროულად მედიადისკურსი მაინც არის სისტემა და არა ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული ელემენტების ნაკრები, და წარმოადგენს ერთიან მთლიანს – დისკურსის სრულფასოვან ტიპს, რომლის კოჰერენტულობა წარმოადგენს ინფორმაციული სივრცის ყველა დასრულებული და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარის მქონე ობიექტების განუყოფელ თვისებას.

ამ კოჰერენტული სისტემის შემადგენელი ნაწილები (კონცეპტუალური ერთეულები და ცალკეული ტექსტები) დაკავშირებული არიან ერთმანეთთან არა იმდენად „მექანიკური“, გრამატიკული, მეტონიმიური კავშირით, რამდენადაც აზრის

შინაარსის შექმნის ხერხებით ან დისკურსის მოცემული ტიპის ფარგლებში აზროვნების კონცეპტუალური ხერხებით. დისკურსის მოცემული ტიპის ჩამოყალიბების პროცესში ფორმირებული მაკროწესები განსაზღვრავენ სამეტყველო ნაწარმოებების აგების ყველა შესაძლო საშუალებებს მედიადისკურსში და აგრეთვე კომუნიკაციური პროცესის გაშლის ხერხებს. კოგნიტურ, შემეცნებით პროცესებს მედიადისკურსის ფარგლებში გააჩნიათ თავისებურებები: კონცეპტუალიზაცია, კატეგორიზაცია და კოჰერენციზაცია ითვალისწინებენ მოცემული დისკურსის მაკროწესებს იმისათვის, რომ შექმნილ კონცეპტებს, კატეგორიებს შეედლოთ განახორციელონ ურთიერთქმედება მედიადისკურსის უკვე არსებულ ელემენტებთან – ტექსტებთან.

ევოკაციური მიდგომა აგრეთვე ითვალისწინებს მედიადისკურსის ერთ–ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას, რომლის შესახებ საუბრობენ თანამედროვე მედიაკვლევარები – კომუნიკატორისა და რეციპიენტის შეთავსება კომუნიკაციურ პროცესში აღქმის, გააზრების და ინფორმაციის გადამუშავების დროს მედიადისკურსში. კომუნიკატორი მედიადისკურსში ახდენს საუბრის ინიცირებას, თავდაპირველად ახდენს კომუნიკაციის მოდელირებასა და აძლევს მას მიმართულებას თავისი ინტენციისა და წარმოდგენების შესაბამისად ინფორმაციის პოტენციური ან რეალური რეციპიენტის შესახებ. თუმცა, ამავდროულად შეტყობინების გადაცემისას კომუნიკატორი თავად აღიქვამს მას, აფასებს „გვერდიდან“ და თუ შესაძლებელია შეაქვს მასში კორექტივები საკუთარი მიზნების ან კომუნიკაციურ პროცესში საუბრის ახლად წარმოქმნილ გარემოებებთან შესაბამისად.

კომუნიკაციის ობიექტის განხილვა ევოკაციურ კონტექსტში შესაძლებლობას გვაძლევს თავიდან ავირიდოთ ადრესატისა და ადრესანტის ზედმეტი აბსოლუტიზაცია, ვინაიდან კომუნიკაციისადმი ევოკაციური მიდგომა გულისხმობს ერთიანი ობიექტის დაყოფას გარკვეული კომუნიკაციური კრიტერიუმის მიხედვით. ასეთი სახით შეიძლება წარმოგვიდგეს შეტყობინების ავტორის ინტენცია, მისი მოლოდინი ან რეციპიენტის (სამიზნე აუდიტორიის) მოლოდინი, შეტყობინების თემა ან რემა, კოდი ან ენა, რომელზეც შედგენილია შეტყობინება და აგრეთვე ბევრი სხვა კომუნიკაციური, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები. ევგენი



კოჟემიაკინი წერს სხვადასხვა ეფექტებზე, რომლებიც შექმნილია ერთი და იმავე კოდის საფუძველზე ერთი და იმავე ავტორის მიერ, გამომდინარე იქედან, თუ როგორია სამიზნე აუდიტორია და საშუალებები ან ინფორმაციის მიწოდების არხი. ის აღნიშნავს, რომ მიზეზები უნდა ვეძიოთ გარკვეული დისკურსის ცალკეულ ველში და კონცეპტუალურ კონტექსტში ცოდნის შექმნის ინტერსუბიექტურ ხერხებში.

მართლაც, კოგნიტური ლინგვისტიკის, უფრო ზუსტად კი კოგნიტური სემანტიკის პოზიციებიდან აზრწარმოქმნისა და აზრის წარმოების პროცესი უშუალოდ არის დამოკიდებული კოგნიტურ მახასიათებლებზე, დისკურსის განხილვის თავისებურებებზე. დისკურსში არსებული მაკრო წესები (ვან დეიკი, მ.ლ.მაკაროვი და სხვ.) ვრცელდება აგრეთვე კონცეპტების ახალი ტიპების, სქემებისა და ფრეიმების გადაცემისა და წარმოქმნის ხერხებზე განსაკუთრებულ კოგნიტურ სივრცეში, რომელიც აღსავსეა მედიური სემანტიკით. აქ მოყვანილი წესების დარღვევა იწვევს შეფერხებებს მოცემული ტიპის დისკურსის კომუნიკაციის პროცესში და გაუგებრობებს, ან ხელს უშლის რეციპიენტს სრულად ან ნაწილობრივ გაიაზროს მიღებული შეტყობინება მიუხედავად იმ კოდისა, რომელიც შეიძლება სავსებით გასაგები იყოს.

კლასიკური მიდგომის კვლევითი მითითებები გულისხმობს მედიური კომუნიკაციის შესასწავლი კომპონენტების სტატიკურ მდგომარეობას, რომელზეც „იშლება“ მასმედიის პროდუქტი. მედიის კომუნიკაციის პროდუქტის კვლევის დაწყებამდე აპრიორი იგულისხმება, რომ კომუნიკატორს საკუთარ ინტენციებზე სრულიად მკაფიო წარმოდგენა გააჩნია. სამიზნე აუდიტორიას, აქვს მოლოდინი, რომელიც ვერ გაიაზრება შეტყობინების მიღების პროცესში, თუმცა წინასწარ არის განსაზღვრული მოცემულ შეტყობინებასთან მიმართებაში.

შეტყობინების კოდი და ენა მოწოდებულია პოლისემიისა და მრავალმნიშვნელოვნობის გარეშე, რომ არაფერი ვთქვათ თანმხლებ კონოტაციურ მნიშვნელობებზე, ინფორმაციის გადმოცემის არხის განმასხვავებელი თავისებურებები კი მკაცრად განსაზღვრავს მათი მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას. ითვლება, რომ შეტყობინებაში აღწერილი მოვლენის კოჰერენტული სახის შესაქმნელად სამიზნე აუდიტორიისათვის საკმარისია განსაკუთრებულად

ჩამოყალიბდეს ფიზიკური ინფორმაცია, მოეწყოს ინფორმაციის გადაცემის არხი და დაელოდოს, რომ რეციპიენტის წარმოსახვაში წარმოიქმნეს მოვლენის დაგეგმილი სახე. რეციპიენტის შეფასებითი რეაქციის პროგნოზირება მედიის კომუნიკაციის ზემოთმოყვანილი შემადგენლების გათვალისწინების საფუძველზე საკმაოდ რთულ ამოცანად გვესახება.

ამგვარად, მედიაკვლევებისადმი კლასიკური მიდგომა წარმოგვიდგენს ხაზოვანი კომუნიკაციის შესწავლას, რომელიც სრულიად იქნება დამოკიდებული კომუნიკაციის პროდუქტის ანალიზზე. ამგვარი კვლევითი პრეზუმპცია არ ეწინააღმდეგება დისკურსულ მიდგომას, მაგრამ არც სრულად ასახავს მას, ისევე, როგორც არ ითვალისწინებს მედიადისკურსის დინამიურ კომუნიკაციურ ასპექტს, არამედ ითვალისწინებს მხოლოდ სტატიკურ მდგომარეობას მედიატექსტების სახით. უნდა ითქვას, რომ მედიადისკურსის სტატიკური პროდუქტები არ ამოიწურება მხოლოდ მედიატექსტებით, რომელთა ანალიზს მთლიანად და სრულად ეძღვნება მედიაკვლევები, არამედ შეიცავს ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა მედიის კონცეპტები, სემანტიკური ველები, მედიური ქცევის მოდელები, სცენარები და ფრეიმები, კომუნიკაციური პროცესების მიმდინარეობის მაკრო- და მიკროწესები და ბევრი სხვა კომუნიკაციური, ლინგვისტური ან ექსტრალინგვისტური ფენომენები და მოვლენები.

კვლევების ამგვარი მიმართულება აიხსნება ხაზოვანი სახით მედიური კომუნიკაციური პროცესის გაანალიზების მიზანსწრაფულობით, რომელიც გამომდინარეობს კომუნიკაციის შედეგებიდან, როგორც ცალკეული სტატიკური წერტილიდან დინამიურ დისკურსში და არ შემოიფარგლება მხოლოდ მეტყველების წარმოებით. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ შემოსული შეტყობინების აღქმის, გააზრებისა და შეფასების შემდეგ სამიზნე აუდიტორიას შეუძლია შექმნას განუსაზღვრელი რაოდენობის ტექსტი, გააგრძელოს კომუნიკაცია არა მხოლოდ წარმოებული მედიატექსტების სახით, არამედ შეტყობინება გადასცეს ქცევით, წესებითა და სამყაროზე ცოდნის ჩამოყალიბების საშუალებებით – ე. ი. კონცეპტუალიზაციით, კატეგორიზაციით და ა.შ.

დისკურსიული მიდგომა გულისხმობს მედიური კომუნიკაციური პროცესების დინამიკაში შესწავლას. ხაზოვანი კვლევები ხშირად აიხსნება მეცნიერთა მხრიდან

მოთხოვნით დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი განმარტებითი კავშირები მოვლენებს შორის. ეს კავშირები ყველაზე დამაჯერებლად არის აგებული სტატისტიკურ მედიატექსტში. მაგრამ ცოდნის შექმნის პროცესი (კონცეპტუალიზაცია, კატეგორიზაცია და ა.შ.) მიმდინარეობს მედიური ინფორმაციის აღქმის დროს, ე.ი. კომუნიკაციის მსვლელობისას. წარმოდგენა შემოსულ ინფორმაციაზე იქმნება მიღებული ინფორმაციის გააზრების დროს, თავდაპირველად გაიაზრება ფაქტობრივი ინფორმაცია – მონაწილეები, ადგილი, დრო შედეგები, ინტერპრეტაცია. კოჰერენტიზაცია, ანუ მოვლენის შესახებ ფაქტების რეზიუმირება, ხდება შეტყობინებაში აღწერილი მოქმედებების შედეგების გააზრებისას. ჩნდება შეფასებითი შინაარსის მოსაზრებები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ ჩავაშენოთ მიღებული სახე რეციპიენტის წარმოსახვაში არსებულ სამყაროს სურათში. შეტყობინების ზემოქმედების ეფექტურობის შეფასება მხოლოდ მედიადისკურსის პირველადი პროდუქტის მიხედვით შეუძლებელია. საჭიროა წარმოებული მეორადი მედიატექსტები, რომლებიც უშუალო დამოკიდებულებაში იქნებიან პირველად ტექსტთან და შეიცავენ მეტ ინფორმაციას, შეფასებითი ხასიათის მსჯელობებს, რომლებიც მომდინარეობს სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენლებთან.

ევგენი კოჟემიაკინი აღნიშნავს, რომ ცოდნის რთული კოგნიტური ტიპები (სახეები, მითები, იდეოლოგიები და ა.შ.) ყალიბდება უშუალოდ კომუნიკაციურ პროცესში. რთული კონცეპტები იქმნება, როგორც სივრცესა და დროში გაწეილი მედიური კომუნიკაციის ეფექტები. ისინი წარმოადგენენ კომუნიკატორის ინფორმაციის (ფაქტოლოგიური ინფორმაცია, პირადი უპირატესობები და შეფასებები, სარედაქციო პოლიტიკა და ა.შ.), შერჩეული თემატიკის აქტუალური კოლექტიურ-სემანტიკური ველის სინთეზისა და აგრეთვე რეციპიენტის ინდივიდუალური გამოცდილების კონგლომერატს. შემდგომში საუბარია „ელემენტარული ცოდნის შესახებ“ – დროებითი კოგნიტური ერთეულების შესახებ, რომლებიც გვეხმარებიან გავიგოთ და გავიაზროთ შეტყობინება, მაგრამ იქვე ქრებიან, როგორც კი მთავრდება ცალკეული კომუნიკაციური მოვლენა.

ელემენტარული ცოდნა გამოიყენება კონკრეტულ კომუნიკაციურ მოვლენაში, შემდეგ კი იშლება კომუნიკანტის მეხსიერებიდან, მაგრამ მათი ხანმოკლე არსებობა

რეციპიენტის გონებაში საკმარისია იმისათვის, რომ სემანტიკურად შეივსოს მასმედიური კომუნიკაციური მოვლენა და აგრეთვე შეიქმნას მასმედიასთან კონტაქტების მოთხოვნილება. ბოლომდე გასაგები არ არის, როგორ შეუძლიათ რეციპიენტის გონებიდან გამქრალ ელემენტარულ კოგნიტურ სტრუქტურებს შექმნან ასეთი მოთხოვნილება. ალბათ საუბარია ახალ კოგნიტურ სტრუქტურებზე, რომლებიც ფორმირდება შეტყობინების გააზრების დროს და სრულიად შესაძლებელია, ჩაშენებულია რეციპიენტის გონებაში არსებულ სამყაროს სურათში ქვეცნობიერ დონეზე, ვინაიდან მასმედიისადმი მიმართვის მოთხოვნილება შეიძლება მეტყველებდეს იმაზე, რომ რეციპიენტს სურს შეავსოს უკვე მიღებული ინფორმაცია ახალი ცნობებით. ამ ელემენტარული კოგნიტური სტრუქტურების საფუძველზე იქმნება ცოდნის უფრო რთული ერთეულები, რომლებსაც გააჩნიათ კოგნიტურ-ფასეულობითი მახასიათებლები. ამ პოზიციიდან მედიადისკურსი შეიძლება შეფასდეს, როგორც კოჰერენტული კომუნიკაციურ-კოგნიტური პროცესი და არა როგორც მედიური იმპულსის ზემოქმედების ქვეშ მყოფი გონების მუშაობა.

მედიაკურსის შესახებ არსებული მრავალფეროვანი მოსაზრებებიდან ყველაზე საინტერესო და მისი შესწავლის მეთოდოლოგიური პრინციპების ფორმულირებისათვის შესაფერისი იქნება შემდეგი: დისკურსის ნებისმიერი ტიპი შეიძლება რეალიზებული იყოს მასობრივი კომუნიკაციის ველში თუ გათვალისწინებული და შესაბამისობაში იქნება მისი აგებულების მაკროწესებთან. მედიადისკურსის, როგორც სპეციფიური სამეტყველო-სააზროვნო პროცესის, შესახებ წარმოდგენიდან განსხვავებით, რომელიც არსებობს მხოლოდ მედიურ სემანტიკურ ველში, აღნიშნული პოზიცია აფიქსირებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით წარმოებულ ინფორმაციულ კონტინუუმს, სადაც შესაძლებელია გაიშალოს დისკურსი ნებისმიერ სოცილურად განპირობებულ თემატიკაზე.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედიადისკურსი არის შეგნებული თემატურად განპირობებული სამეტყველო-სააზროვნო პროცესი მედიურ ინფორმაციულ კონტინუუმში, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სემანტიკურ შევსებას, კომუნიკაციის აგების მიკრო- და მაკრო წესებს, კოგნიტური პრაქტიკის შექმნას, ცოდნის გადაცემასა და ინტერპრეტაციებს. მედიადისკურსის ძირითადი

განმასხვავებელი თვისებაა ფაქტიური, შეფასებითი და სუბიექტური ინფორმაციის ტრანსფორმაცია მედიატექსტად, რომელიც ხელმისაწვდომი და გასაგები იქნება რეციპიენტთა დიდი რაოდენობისათვის, მიუხედავად იმისა თუ რომელ საზოგადოების ფენას ან სტარტს განეკუთვნებიან ისინი და რა ენობრივ კოდს ფლობდნენ. მედიადისკურსში ინფორმაციაზე წარმოებს არაერთი კოგნიტური ოპერაცია: კონცეპტუალიზაცია ანუ ფაქტიური ინფორმაციის გარდაქმნა აზრებად, ცოდნის გადაყვანა გაგების ერთი დონიდან მეორეზე, სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ცოდნის სინთეზი, რომელთა შორის არის უშუალოდ მედიადისკურსისათვის დამახასიათებელი უნიკალური ცოდნა.

მკვლევრები, რომლებიც ამგვარად აყენებენ საკითხს, აღნიშნავენ, რომ მედიადისკურსისათვის დამახასიათებელია ინსტიტუციონალური თვისებები. ინფორმაციის მასობრივ აუდიტორიაზე ტრანსლაციის ხერხების შესწავლისას საუბარია ინფორმაციის აგების გარკვეულ წესებზე, რომლებიც გვიჩვენებენ რა და როგორ უნდა იყოს ფორმულირებული, მიწოდებული და ინტერპრეტირებული ესა თუ ის ინფორმაცია. ე.ა. კოჟემიაკინი ისევე როგორც მიშელ ფუკო და ნორმან ფარკლოუ, საუბრობს მედიატექსტების ურთიერთკავშირზე, რომლებიც აგებენ მედიადისკურსს სინამდვილის რეპრეზენტაციის გარკვეული ნორმების მიხედვით. მაშასადამე, ჩამოყალიბებულია და მოქმედებს სოციალური და კულტურულად განპირობებული თემების ინიცირებისა და განვითარების მკაცრი წესები მედიადისკურსის სივრცეში. სამყაროზე ცოდნის სინთეზი და მიწოდება მედიადისკურსის მეშვეობით გამოიხატება ერთობლივი რთული კოგნიტური კონსტრუქტით, რომელიც შეიცავს ფაქტიურ ცნობებს მოვლენებზე, კოლექტიურ ცოდნაზე განცხადებული შეტყობინების თემასა და რემაში, და აგრეთვე ცნობებს რეციპიენტის ინდივიდუალური გამოცდილების შესახებ შეტყობინებაში აღწერილ მსგავსს გარემოებებზე.

ყველაზე შესაფერის რთული კოგნიტური წარმონაქმნების საკვლევ ხერხად შეიძლება გამოყენებული იყოს ლექსემების, კონცეპტების, სხვაგვარად რომ ვთქვათ – კონტენტის ანალიზის მეთოდი მატრიცის საფუძველზე. ამგვარად, მივიღებთ მეთოდს, რომელიც წარმოადგენს რაღაც საშუალოს მატრიცული ანალიზისა და

კონტენ-ანალიზს შორის. ანალიზის მატრიცული პრინციპი შეიძლება გამოვიყენოთ არა მხოლოდ ცალკეული, ელემენტარული აზრობრივი ერთეულების შესასწავლად, არამედ მედიური ინფორმაციული სივრცის ცალკეული სეგმენტის ანალიზისათვის. ანალიზი ეხება არა მხოლოდ საკუთრივ პირველად მედიატექსტებს, არამედ მასთან დაკავშირებულ მეორად ტექსტებს, რომლებიც ასევე მიეკუთვნებიან მედიადისკურსს, მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია არა მასმედიის, არამედ მისი მკითხველის, მსმენელის, მაცურებლის მიერ ვირტუალური სივრცის გამოყენებით, რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფად და თანმიმდევრულად დააფიქსიროს ინტერნეტ სივრცეში ტექსტების სახით რეციპიენტის რეაქცია.

ევოკაციური მეთოდოლოგიური კომპონენტის გათვალისწინება კოგნიტურ-ლინგვისტურ მატრიცულ ანალიზში გულისხმობს არა მხოლოდ საწყისი მედიატექსტისა და ევოკაციის საბოლოო პროდუქტის განხილვის შესაძლებლობას, არამედ ევოკაციური ხერხების განხილვასაც მატრიცის სოციალურ-კულტურული კომპონენტებიდან გამომდინარე. ამასთანავე ევოკაცია შეიძლება რეალიზებული იყოს ევოკაციური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით ხელოვნურად მოდელირებად ტექსტებთან მიმართებაში, აგრეთვე მედიური კომუნიკაციის პროცესში.

#### I.4. პოლიტიკური მედიადისკურსის გენეზისის საკითხისათვის

ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკური სიტუაციის სასიცოცხლო მნიშვნელობამ განაპირობა ის, რომ პოლიტიკა და პოლიტიკური დისკურსი ექცევა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. ეს შეიძლება მიჩნეულ იქნეს სოციალურ შეკვეთად, რომელიც მიზნად ისახავს როგორც პოლიტიკური აზროვნების და პოლიტიკური ქცევის თავისებურებების შესწავლას, ასევე იმ ენობრივი საშუალებების კვლევას, რომელსაც მეტყველი სუბიექტი გამოიყენებს საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირების და

მონიტორინგისათვის.

მრავალი მეცნიერის მიდგომის თანახმად სოციალური ინსტიტუტის საერთო ნიშან-თვისების რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ მყარ ურთიერთობებში შემავალი სუბიექტები, გარკვეული ორგანიზაციები, სუბიექტების სპეციფიკური ქცევის წესები სოციალური ინსტიტუტის ფარგლებში, ასევე სოციალურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, რომლებიც ახდენენ სოციალურ სისტემაში ინსტიტუტების ინტეგრირებას. ცნება „დისკურსის“ განმარტებისა და სოციალური ინსტიტუტის ზემოთმოყვანილი მახასიათებლების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დისკურსი შეიძლება იყოს ინსტიტუციური, ე.ი. მიეკუთვნებოდეს რომელიმე სოციალურ ინსტიტუტს.

სოციალური ინსტიტუტები არეგულირებენ საქმიანობის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სფეროებს და ხელს უწყობს საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეული სახეობის განხორციელებას. პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში დომინირებს წარმოდგენა, რომლის თანახმად გამოჰყოფენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, სასულიერო სფეროებს (და შესაბამისად, სოციალური ინსტიტუტების ტიპებს).

ამასთან დაკავშირებით ავლნიშნავთ, რომ სხვადასხვა მკვლევარების მიერ გამოიყოფა სხვადასხვა ინსტიტუციური დისკურსი. ის შეიძლება იყოს: ადმინისტრაციული, დიპლომატიური, პოლიტიკური, იურიდიული, სამხედრო, პედაგოგიური, რელიგიური, სამედიცინო, საქმიანი, სპორტული, მასობრივ-ინფორმაციული, სამეცნიერო და ა.შ. ერთი სიტყვით, ინსტიტუციური დისკურსი წარმოიშობა იმ სფეროებში, სადაც ხდება ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტის ფუნქციების რეალიზება.

მთელი რიგი ჰუმანიტარული მეცნიერებები: ლინგვისტიკა, პოლიტიკა, ისტორია, სტატისტიკა, სოციოლოგია, კომუნიკაციის თეორია, სოციო-ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, არგუმენტაციის თეორიები, ანთროპოლოგია სხვადასხვა კუთხით იკვლევს მას. ამავდროულად, პოლიტიკური დისკურსის კვლევა, უმთავრესად, არა ამა თუ იმ ერთი კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში, არამედ ერთდროულად სხვადასხვა მეცნიერებებზე დაყრდნობით ხდება.

პოლიტიკური დისკურსის ინტერდისციპლინარულ მიდგომაზე დაფუძნებული ანალიზი შემოგვთავაზა პატრიკ შაროდომ თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „პოლიტიკური დისკურსი, ძალაუფლების ნიღაბი“ (Charaudeau, 2005:35). დრის აბლალი თავის სტატიაში, რომელიც მან შაროდოს ნაშრომის განხილვას მიუძღვნა, აღნიშნავს: „ამ წიგნში ავტორი დისკურსის ანალიზის ფარგლებშია, თუმცა, იგი იყენებს ასევე სოციალურ ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას, ჟურნალისტიკას, დისკურსის ანალიზს, არგუმენტაციას“ (Ablali, 2006:205). შაროდოს აზრით, დისკურსი, თავისთავად აღებული, არ არის პოლიტიკური, არამედ დისკურსს პოლიტიკურს შესაბამისი საკომუნიკაციო სიტუაცია ხდის. სწორედ, საკომუნიკაციო სიტუაციაზე და არა თავად დისკურსის შინაარსზეა დამოკიდებული დისკურსი პოლიტიკურია თუ არა (Charaudeau, 2005:80).

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს „პოლიტიკური დისკურსის“ ცნების ფართო და ვიწრო გაგება. ფართო გაგებით, პოლიტიკური დისკურსი განიმარტება, როგორც პუბლიცისტური სფეროს ენა. მაგალითად, ლანდშერის ნაშრომში “ The Political Rhetoric of United Europe” (De Landtsheer, 1998:130). მითითებულია, რომ რამდენადაც პრაქტიკულად ყველა საჯარო გამოსვლას პოლიტიკური დატვირთვა აქვს, იმდენად პოლიტიკური დისკურსი შეიძლება განხილულ იქნეს პუბლიცისტურ ენად, რომელიც ზოგადად გამოიყენება ურთიერთობის სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში.

რაც შეეხება პოლიტიკური დისკურსის ვიწრო გაგებას, უფრო ზუსტად კი ვან დეიკისეულ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც პოლიტიკური დისკურსი განისაზღვრება როგორც პოლიტიკური სფეროთი შემოფარგლული ჟანრი, რომელსაც სპეციფიკური ენობრივი თეზაურუსი, გარკვეული ფუნქციური დანიშნულება და კომუნიკაციური ზემოქმედება აქვს. ვან დეიკის კონცეფციაში, პოლიტიკური დისკურსი პოლიტიკოსების დისკურსია და თუ მას მოვაქცევთ პროფესიონალურ ჩარჩოში, იგი შეიძლება ჩაითვალოს დისკურსის ინსტიტუციონალურ ფორმად (Van Dijk, 1998). ეს კი ნიშნავს, რომ პოლიტიკოსების დისკურსად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის დისკურსები, რომლებიც რეალიზდება ისეთ საინსტიტუციო გარემოში, როგორიცაა: სამთავრობო სხდომები, საპარლამენტო სესიები, პოლიტიკური პარტიის ყრილობები, წინასაარჩევნო კამპანიები და ა.შ. ანუ სიტუაციები, სადაც მეტყველი



სუბიექტის მიერ აზრის გამოთქმა ხდება პოლიტიკოსის ამპლუაში შესაბამის ინსტიტუციონალურ გარემოში.

რეთ ამოსი თავის სტატიაში „არგუმენტაცია და პოლიტიკური დისკურსი“, გვთავაზობს როლან ბარტის მიერ შემუშავებულ დეფინიციას, სადაც პოლიტიკური დისკურსი ვიწრო გაგებით არის განმარტებული: „პოლიტიკური დისკურსი არის პოლიტიკოსების დისკურსი, რომლის საშუალებითაც ისინი ასრულებენ თავიანთ პროფესიულ ფუნქციებს (Amossy, 2010:14). ფართო გაგებით, კი ნებისმიერი დისკურსი პოლიტიკურია, თუ იგი ეხება საზოგადოებრივ მოწყობას (Bonnafous, 2003). ითვალისწინებს რა პოლიტიკური დისკურსის როგორც ფართო, ასევე ვიწრო გაგებას, ამოსის განმარტებით, „პოლიტიკური დისკურსის საგნის ჰორიზონტი იწყება პოლიტიკოსთა პროფესიული დისკურსებით და ვრცელდება ნებისმიერ დისკურსზე, რომელიც ეხება საზოგადოებრივ საკითხებს საზოგადოებრივ სფეროში“ (Amossy, 2010:14). ბერნარ ბუფონი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური დისკურსი სათათბირო დისკურსის არქეტიპს წარმოადგენს და იგი მდგომარეობს „იმ გადაწყვეტილებებისა და წინადადებების დაცვას ან გაკრიტიკებაში, რომელიც საზოგადოებას შეეხება, იმისდა მიხედვით, საზოგადოებისთვის სასარგებლოდ მიაჩნიათ ისინი, თუ საზიანოდ“ (Buffon, 2002:331). პოლიტიკურ დისკურსს თავის ნაშრომში „სოციოლინგვისტიკა“ თავდაპირველად ბეილონი განმარტავს შემდეგნაირად: „დისკურსი პოლიტიკურია, თუ იგი წარმოთქმულია პოლიტიკოსის მიერ პოლიტიკური მიზნით“ (Baylon, 1996:248). შემდეგ კი, მეცნიერი აღნიშნავს: აბსურდია ვთქვათ, რომ ნებისმიერი დისკურსი პოლიტიკურია. მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ იდეოლოგია და პოლიტიკა: დისკურსი პოლიტიკური ხდება პოლიტიკური საკომუნიკაციო სიტუაციით, მეტყველის პიროვნებით, მეტაენით, რაც წარმოადგენს შესწავლის ობიექტს, ხოლო სოციოლინგვისტიკის მიერ პოლიტიკური დისკურსის კვლევა მხოლოდ პირველი 27 მოკრძალებული ნაბიჯია დისკურსის ზოგადი თეორიისაკენ (Baylon, 1996:301).

პ. შაროდომ ნაშრომში „პოლიტიკური დისკურსი, ძალაუფლების ნიღაბი“, პოლიტიკური დისკურსის დეფინიციათა სისტემა შემოგვთავაზა. ის პოლიტიკური დისკურსის პროდუცირების სამ ადგილს გამოყოფს. ესენია: აზროვნების სისტემა,

კომენტარი და საკომუნიკაციო აქტი. მათი წარმოთქმის ადგილის გათვალისწინებით შაროდო პოლიტიკური დისკურსის ერთმანეთისგან განსხვავებულ სამ დეფინიციას იძლევა. „პოლიტიკური დისკურსი, როგორც აზროვნების სისტემა, დისკურსული ქმედების შედეგია, რომელიც იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელზეც უნდა იგებოდეს პოზიციები და მოსაზრებები, ცდილობს შექმნას პოლიტიკური იდეალურობა“ (Charaudeau, 2005:30). პოლიტიკური დისკურსი, როგორც კომენტარი, აუცილებლად პოლიტიკური მიზნებისკენ არ არის მიმართული. თუმცა, დისკურსის თემაა პოლიტიკა, მაგრამ, იგი შეიძლება იყოს ხანმოკლე, შეწყდეს ისე, რომ არ მოხდეს აზრის ჩამოყალიბება ან პოზიციის მიღება. პოლიტიკური კომენტარის განსაკუთრებული მახასიათებელი არის ის, რომ იგი სუბიექტს მოქმედებისკენ არ უბიძგებს (Charaudeau, 2005:324). „პოლიტიკური დისკურსი, როგორც საკომუნიკაციო აქტი, უშუალოდ ეხება იმ პოლიტიკური კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირებს, რომლის მიზანიცაა ზეგავლენა მოახდინოს ამ აქტში მონაწილეთა შეხედულებებზე, რათა მიაღწიონ მათ მიმხრობას, უარყოფას ან კონსენსუსს (Charaudeau, 2005:30).

ახალ მიმართულებას დისკურსის კვლევაში წარმოადგენს პოლიტიკური დისკურსის კონფლიქტური თეორია, რომელიც შეისწავლის პოლიტიკის ენის გამონათქვამებს, ექსპრესიულ ლექსიკონსა და მეტაფორებს, რომლებიც ქმნიან სკანდალისა და შეიარაღებული ბრძოლის ენობრივ თავისებურებებს.

პოლიტიკურ დისკურსს სხვა დისკურსებისაგან განასხვავებს შემფასებლობა და აგრესიულობა. მასში დომინირებს მოწოდების დეკლამატორული სტილი, იდეოლოგიზაცია ყველაფრისა, რის შესახებაც არის ლაპარაკი, ცნებების გამოყენება გაფართოებული მნიშვნელობით ლოგიკის საზიანოდ, გადაჭარბებული აბსტრაქცია და მოჩვენებითი მეცნიერულობა, გაზრდილი კრიტიკულობა და „მგზნებარება“, ლოზუნგურობა, მიდრეკილება ფიცისადმი, აგიტატორული მგზნებარება, „უჩემოდ“, „ჩემს გარეშე“- ს სიჭარბე, პარტიულობის ფორმალიზმი, პრეტენზია აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე. როგორც წესი, პოლიტიკოსები გაურბიან პიროვნული მოტივებისა და ზრახვების გამოვლენას, მათ სჭირდებათ სოციალური მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობის ხაზგასმა.

ზოგიერთი მკვლევარი პოლიტიკურ დისკურსს მიიჩნევს საჯარო სფეროს ენად.

კოლექტიურ ნაშრომში ” Politically Speaking: A Worldwide Examination of Language Used in the Public Sphere ”(Feldman & De Landtsheer, 1998) სწავლულები გვთავაზობენ დებულებას იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ფუნქცია პრაქტიკულად ყველა საჯარო გამონათქვამისათვის არის დამახასიათებელი. ამგვარად, პოლიტიკური დისკურსი არის ურთიერთობის სოციალურ-პოლიტიკურ და საჯარო სფეროში ენის აქტუალურად და ფართოდ გამოყენება. განეკუთვნება თუ არა ტექსტი პოლიტიკურ ტექსტთა რიცხვს, განისაზღვრება როგორც მისი თემატიკით, ისე მისი ადგილით პოლიტიკური კომუნიკაციის სისტემაში. „პოლიტიკური ენის“, როგორც საჯარო სფეროში გამოყენებული ენის ფართო გაგება ითვალისწინებს მასმედიის უფლებამოსილების ზრდას, ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას, გლობალიზაციის პროცესის გაფართოებას და პოლიტიკური კომუნიკაციის კომერციალიზაციის პროცესს.

თანამედროვე სამყაროს წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარება ხელშემწყობი ფაქტორია ინფორმაციის გასავრცელებლად. იმას, რასაც ადრე დღეები, კვირა ან თვეები სჭირდებოდა რომ გავრცელებულიყო, დღეისათვის შესაძლოა წამები დასჭირდეს. ეს ყველა სფეროს თანაბრად ეხება და მათ შორის პოლიტიკასაც, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია ყოველი ქვეყნის რეალობაში. მის პოპულარიზაციას და პოლიტიკური ინფორმაციის ყველასათვის ხელმისაწვდომობას რა თქმა უნდა, მას-მედია დიდად უწყობს ხელს. ხშირად მკვლევარებს ზღვარის გავლება უჭირთ პოლიტიკურ, მედია და სარეკლამო დისკურს შორის, რადგან ისინი ურთიერთდამოკიდებული გახდნენ. მათი საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია მოვისმინოთ პოლიტიკოსთა პირისპირ დებატები, საპარლამენტო დებატები, პირდაპირი ჩართვები, რადიო ჩართვები, პრესკონფერენციები, ინტერვიუები; ამჟამად კი ყოველივე ზემოთ ხსენებული ადვილად ხელმისაწვდომია ელექტრონული ვერსიით. თუმცა ეს მხოლოდ მედლის ერთი მხარეა, რადგან რეალური პოლიტიკური საქმიანობა მხოლოდ კარს მიღმა რჩება. მასალის და პოლიტიკოსთა გამოსვლების მოჩვენებითი ხელმისაწვდომობა არ იძლევა საკმარის შესაძლებლობებს, რომ საფუძვლიანად იქნას გამოკვლეული პოლიტიკური დისკურსი. კვლევის დროს ცალკეულ სიტყვებს და წინადადებებსაც ექცევა ყურადღება კონტექსტთან მიმართებაში, რადგან თუნდაც

ერთი შეხედვით ძალიან სპონტანური ინტერვიუ ან პირისპირ დებატები, ძირითადად წინასწარ დამუშავებული ტექსტია. პოლიტიკური დისკურსის დროს საკვლევი არის ის, რაც იმპლიცირებული ან მინიშნებულია და გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაშინაც კი, როცა მიმდინარეობს დიალოგი ერთი-ერთზე, მას სამი მონაწილე ესწრება: პოლიტიკოსი, ჟურნალისტი და „ხალხი“ (მაყურებელი/მსმენელი).

ვან დეიკი პოლიტიკური დისკურსის უმთავრეს განსაზღვრებად მიიჩნევს არა თემას ან სტილს, არამედ უფრო იმას, თუ ვინ ვის ესაუბრება, რა შემთხვევის ირგვლივ და რა მიზნებით (Van Dijk, 2002:280). დეიკის განმარტებიდან გამომდინარე, პოლიტიკური დისკურსის ანალიზისთვის უმთავრესია არალინგვისტური ფაქტორები და მიზნები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ ახდენს ლექსიკური ან სემანტიკური გამოხატულების დაქვეითებას. აუცილებელია თავდაპირველად ლექსიკურ ელემენტთა შესწავლა, შემდეგ სემანტიკური ურთიერთობის დადგენა, რათა კონტექსტის მნიშვნელობის პრაგმატიკული ანალიზი სრულყოფილი გამოდგეს.

პ. ჩილტონი ამტკიცებს, რომ პოლიტიკური დისკურსი ადამიანური აქტივობის რთული ფორმაა, რომელიც ეფუძვნება მტკიცებულებას, რომ პოლიტიკა ენის გარეშე ვერ იმოქმედებს (Chilton, 2004:234). გეისისთვის ენა პოლიტიკის უმთავრესი კომპონენტია და არა უბრალოდ იარაღი პოლიტიკურ მოვლენათა გადმოსაცემად; მეტიც ის მოვლენათა ნაწილია (Geis, 1987:123). ნიკოლა ვუდსი აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ დისკურსში სიტყვათა სელექცია ერთგვარი ტაქტიკაა, სტრატეგიაა (Woods, 2006:231).

ჩილტონი მიიჩნევდა, რომ „პოლიტიკური დისკურსის განსაზღვრა ბევრად არის დამოკიდებული მის ინტერპრეტაციაზე. ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკური კონცეპტების, ანუ საკვანძო სიტყვების სტრატეგიულ გამოყენებას კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“ (Chilton, 2004:241).

ნიკოლა ვუდსი აღნიშნავს, რომ პოლიტიკოსთა მიერ გამოყენებული ენა, მიზანმიმართულია იმისაკენ, რომ შეგვიქმნას კონკრეტული შეხედულება პოლიტიკური რეალობის ირგვლივ, რათა შედეგად მოვიქცეთ ამ შეხედულების შესაბამისად, მაგალითად, ხმა მივცეთ კონკრეტულ პარტიას. ნიკოლა ვუდსი აგრეთვე

აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ დისკურსს მიზნად შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა სამეტყველო აქტების განხორციელება, რომლის მიზანია, გააპროტესტოს, ზეწოლა მოახდინოს, დააშინოს, დააკანონოს და რა თქმა უნდა, დაგვარწმუნოს (Woods, 2006:43).

თავდაპირველი შეხედულებები სემანტიკის შესახებ განსხვავდებოდა თანამედროვე მიდგომისაგან, რადგან ადრე სემანტიკა იყო წესთა ერთობლიობა, რომელიც მართავდა აზრთა ტრანსფორმაციებს, გამონათქვამთა არჩევანს, ლოკუციების წარმოშობასა და გაქრობას. თანდათანობით სემანტიკის შესწავლის სფერო დავიდა სტრუქტურული ურთიერთობების დონეზე ლექსიკურ ელემენტებს შორის, ხოლო დისკურსის მნიშვნელობის აღწერა დაეთმო ისეთ დისციპლინებს, როგორცაა: რიტორიკა, სტილისტიკა და პოეტიკა. წინადადების შინაარსი მიიჩნეოდა ლექსიკური ელემენტებისა და მათი სტრუქტურული ურთიერთობების პროდუქტად (მსახურაძე, 2013:76).

თანდათანობით დისკურსის კვლევაში მომხდარმა ცვლილებებმა ასახვა ჰპოვა სემანტიკაშიც, რადგან დისკურსის შესწავლის საგანი არა მარტო გამონათქვამის მნიშვნელობის შესწავლაა, არამედ სიტყვის მნიშვნელობის.

დისკურსის სემანტიკური ანალიზი უპირველესად „მნიშვნელობასთან“ ასოცირდება, რადგან, ის ძალიან მჭიდროდ მიეჯაჭვა დისკურსის კონტექსტს, რადგან მოსაუბრეთა ინტენციებმა და მაყურებლის პასუხებმა კვლავ ასახვა ჰპოვეს სემანტიკურ თეორიებში პრაგმატიკის გავლით. ვან დეიკი აღნიშნავს, რომ რეალური ინტერპრეტაცია ენის მომხმარებლის გაგებაა და რომ ისინი იყენებენ ეფექტურ სტრატეგიებს სასურველ ინტერპრეტაციამდე უმოკლეს დროში მისასვლელად და ამისთვის მიმართავენ სხვადასხვა სახის ტექსტურ, კონტექსტურ და კოგნიტურ ინფორმაციას ერთდროულად (Van Dijk, 1985:67).

ვან დეიკი ხაზს უსვამს, რომ სემანტიკურ თეორიასთან ასოცირებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონცეპტი არის „ინტერპრეტაცია“ (Van Dijk, 1985:89). ნორიკი აღნიშნავს, რომ ყველაზე საინტერესო ამ თეორიული ანალიზისას არის ის, თუ რას ნიშნავს ესა-თუ ის სიტყვა სხვადასხვა ადამიანისათვის, და რა ეფექტი აქვს ამა თუ იმ სიტყვას მისი ძირეული ან სემანტიკური მნიშვნელობის მიღმა. თუმცა მრავალი

მკვლევარი დაობს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ როდესაც საკვლევი „ობიექტი“ სცდება პირეულ, სემანტიკურ მნიშვნელობას, ის მაშინვე პრაგმატიკის სფეროში გადადის. პოლიტიკური დისკურსის ანალიზის დროს, კვლევა იწყება სემანტიკური ანალიზით და შემდეგ იგი ტრანსფორმირდება პრაგმატიკულ ასპექტში. როდესაც გვსურს ანალიზი იმისა, თუ რა იმპლიკაციის მატარებელია ენის გარკვეული ერთეული, ჯერ ვიკვლევთ მის სემანტიკურ მნიშვნელობას. ნილ ნორიკი ნაშრომში „დისკურსი და სემანტიკა“ წინ წამოწევს სემანტიკის აქტუალობას, აღნიშნავს რა, რომ მოსაუბრის ინტენციები და მაყურებლის პასუხები კვლავ სემანტიკას დაუბრუნდა, ოღონდ პრაგმატიკის და სასაუბრო აქტების თეორიის გათვალისწინებით (Norrick, 2004:132).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დისკურსის ანალიზის დროს სემანტიკური კვლევა უნდა მიმდინარეობდეს პრაგმატიკულ ასპექტში, რადგან ცალკეული სიტყვის ან შესიტყვების შესწავლა განყენებულად არ იქნება სრულყოფილი, ისინი უნდა შევისწავლოთ კონტექსტთან ერთად, რათა გავიგოთ, თუ რა მიზნით გამოიყენა პოლიტიკოსმა ესა თუ ის სემანტიკური თუ პრაგმატიკული ხერხი, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ვსაუბრობთ პოლიტიკურ დისკურსზე.

პოლიტიკური დისკურსის ყველაზე ეფექტური სემანტიკური მეთოდები გამეორებები და პარალელიზმებია, როგორც მას ლინგვისტები უწოდებენ; ეს ის ოსტატური ხერხებია, რომლებიც მსმენელს მუდამ აკონტროლებს და მიჰყავს სასურველი მიმართულებით. მსმენელზე ზეგავლენის მოხდენა ხდება ენის ექსპრესიულ-ემოციური და ფატიკური ფუნქციის გამოყენებით, რომლისთვისაც პოლიტიკოსები ზედსართავ სახელებს ხშირად გადაჭარბებულად იყენებენ, ლექსიკას ექსპრესიული სინონიმებითა და ანტონიმებით ანაცვლებენ, ხოლო ნათქვამის გასამყარებლად მოჰყავთ სტატისტიკური მონაცემები.

„დისკურსის სემანტიკურ ანალიზში“ ვან დეიკი აღნიშნავს, რომ დისკურსის ირგვლივ ბევრი რამ არსებობს ისეთი, რაც ჯერ არ ვიცით ან გვაქვს არასრული წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, ზოგად წესთა და პირობათა ფორმულირება ჯერ შეუძლებელია. დეიკი აფასებს თეორიას, როგორც საკმაოდ შორს იდეალურისაგან (Van Dijk, 1985:342).

ამგვარად დომინირებს მკვლევართა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დისკურსი ასახავს სოციალური რეალობის ფრაგმენტს ისტორიული, საზოგადოებრივ-ეკონომიკური, ენობრივი, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დისკურსი ფუნქციონირებს სოციალური ინსტიტუტების სისტემის ფარგლებში. მრავალრიცხოვან მიდგომებს შორის ამ ცნების გაგებისათვის მივმართოთ დ. გავრას სისტემურ-სტრუქტურულ მიდგომას, რომელიც აღიქვამს სოციალურ ინსტიტუტებს, როგორც „სპეციფიკურ წარმონაქმნს, რომელიც უზრუნველყოფს შედარებით მყარ კავშირებსა და ურთიერთობებს საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის ფარგლებში, საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციისა და რეგულირების ზოგიერთ ისტორიულად განპირობებულ ფორმებს“ (Гавра, 2010:57).

პოლიტიკური საქმიანობის სპეციფიკა აზუსტებს და უფრო კონკრეტულს ხდის პოლიტიკური დისკურსის განმარტებას ამ ცნების სხვა უფრო ზოგად განმარტებებს შორის. ასე, მაგალითად, გორბაჩევა სოციალურ-ინფორმაციული მიდგომის ფარგლებში აღნიშნავს: „პოლიტიკური დისკურსი არის ინფორმაციულ-კომუნიკაციური ურთიერთქმედება ინდივიდებს შორის, ჯგუფებს შორის, რომელიც ასახავს პოლიტიკური სუბიექტების მენტალიტეტს, პოლიტიკური იდეების, იდეოლოგიების, პრინციპების, შეფასების, აზრების, შეთანხმების მხრივ სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“ (Горбачева, 2007:34).

გარდა ამისა, პოლიტიკური დისკურსი არის „კომუნიკაციის სპეციფიკური სახეობა, რომელიც გულისხმობს მოძრაობას პოლიტიკური და სოციალური ურთიერთქმედების მონაწილეთა სამეტყველო ერთიანობიდან კონსტრუქციულ პოლიტიკურ თანხმობისკენ სოციალურად მნიშვნელოვანი თემების სფეროში და არსებული პრობლემების გადაწყვეტის ხერხების მოძიებისკენ ფართო, ნებაყოფლობითი, თავისუფალი და არგუმენტირებული დიალოგის საფუძველზე“ (ნამინოვა, 2001:90). პოლიტიკური კომუნიკაციისათვის საზოგადოებრივი კონსესუსის შემუშავების გარდა ასევე დამახასიათებელია პოლიტიკური და სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების დასაბუთება (Баранов, 1991:87).

ელენა შეიგალი ყურადღებას აქცევს პოლიტიკური დისკურსის ენობრივ

თავისებურებებს და აყალიბებს ამ ცნების განმარტებას, როგორც „სამეტყველო საქმიანობის განსაკუთრებულ სფეროს, რომლის შედეგია სპეციფიკური ტექსტები, ვერბალური და არავერბალური ნიშნები, სამეტყველო ქცევის ტიპური მოდელები, რომლებიც განხორციელებას პოულობენ პოლიტიკური დისკურსის კონკრეტულ ჟანრებში“ (Шейгал, 2004:54).

ო. მიხალევას აზრით, პოლიტიკურ დისკურსს, როგორც ყველა დანარჩენს, გააჩნია სისტემისწარმომქმნელი ნიშან-თვისების ნაკრები. ესენია: საუბრის მიზანი, საუბრის მონაწილეები, საუბრის საშუალება - არჩეული სტრატეგიები და ტაქტიკები (Калашова, 2006:35).

ამგვარად, წარმოდგენილი განმარტებიდან გამომდინარე, პოლიტიკური დისკურსისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური აქტორების არსებობა, თემატური გარკვეულობა (მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემები), განვითარებული სამეტყველო კულტურა (გამონათქვამებით, დასაბუთებით, განხილვითა და სხვადასხვა აზრების შეთანხმებით არგუმენტირებული თანხმობის მიღწევა).

როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი, პოლიტიკურ დისკურსს გააჩნია სემიოტიკური ბუნებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ა. კალაშოვას აზრით, მის სპეციფიკას შეადგენს ნიშნის რეფერენცია, უფრო ზუსტად კი მისი კომპლექსურობა. ერთი მხრივ, ეს არის საზოგადოების წევრების დამოკიდებულება პოლიტიკური დებულებისადმი, მეორეს მხრივ, ადამიანთა შეგნებაზე დამოკიდებულება, რომლებიც აღიქვამენ ტექსტს, როგორც აპელაციას მოქმედებისაკენ, მესამეს მხრივ, ეს არის დამოკიდებულება დისკურსული პრაქტიკებისადმი, კულტურული ტრადიციებისა და ნორმებისადმი (Михалева, 2004:45). ობიექტის ეს თვისებები გვკარნახობენ მისი შესწავლის ინტეგრაციულ მეთოდოლოგიურ მიდგომას. ინტეგრაციული ანალიზი გულისხმობს პოლიტიკური დისკურსის, როგორც ინფორმაციული ბუნების მოვლენის შესწავლას, რომელიც ზემოქმედებას ახდენს კომუნიკანტზე ექსპლიციტურად გამოხატული ინფორმაციით, ე.ი. ადამიანის მიერ გაცნობიერებული ინფორმაციის მეშვეობით და ასევე ინპლიციტურად, ე.ი. გაუცნობიერებული ინფორმაციის მეშვეობით.



პოლიტიკის მნიშვნელოვანი განსხვავება სხვა სფეროებიდან მდგომარეობს იმაში, რომ როგორც შეიგალი ამბობს, პოლიტიკა არის ერთადერთი პროფესიული სფერო, რომელშიც საუბარი ორიენტირებულია მასობრივ ადრესატზე. პოლიტიკური კომუნიკაცია არ არის უბრალოდ წარმოებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, არამედ ეს უკანასკნელი ფაქტიურად წარმოადგენს მისი არსებობის ძირითად გარემოს (Шейгал, 2004:32). როგორც ზუსტად აღნიშნა ე. შეიგალმა, განსაკუთრებულ როლს პოლიტიკური დისკურსის ყოფაში თამაშობს მასმედიას დისკურსი. ის წარმოადგენს თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკური კომუნიკაციის არსებობის ძირითად არხს, ამასთან დაკავშირებით მართებული იქნება ვთქვათ, რომ იკვეთება პოლიტიკური საუბრის მასმედიის დისკურსთან შერწყმის ტენდენცია (Шейгал, 2004:67).

გ. ა. ნამინოვას დაკვირვებით მასმედია თავისებურ როლს თამაშობს პოლიტიკური დისკურსის ორგანიზაციაში. ერთის მხრივ, ის არის მისი განხორციელების ძირითადი არხი. მეორეს მხრივ, მასმედია არის აქტიური ინტერპრეტატორი და ამით გადმოცემის დროს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თემებზე, რითაც სამსახურს უწევს ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესებს (Наминова, 2001:12). შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსის სუბიექტის ზემოთ მოყვანილი მახასიათებლების გათვალისწინებით მასმედია საშუალებები შეიძლება ჩაითვალოს ასეთად თუ კი სახეზეა პოლიტიკური რესურსი (რეიტინგები, მედიაგავლენები); თუ კი სახეზეა ავტორიტეტული ავტორი და სარედაქციო პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის რეალიზაცია აყალიბებს გარკვეულ ტენდენციას ამა თუ იმ თემის ასახვის დროს; თუ კი სახეზეა მაღალი კითხვადობა ამა თუ იმ პირთა წრეში, რომელიც არის მნიშვნელოვანი კონკრეტული საკითხის ან თემის ფარგლებში.

მასმედია საშუალებების, როგორც სოციალური ინსტიტუტის, სპეციფიკური ნიშანია შექმნას საზოგადოების ცხოვრების სრული სურათი ყოველი სოციალური ინსტიტუტის საქმიანობის გაშუქებით, ე.ი. შექმნას საზოგადოების ინფორმაციული ანალოგი (Черных, 2008:23).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვინაიდან თანამედროვე სამყაროში კომუნიკაცია ატარებს გლობალურ ხასიათს, ინფორმაციის გადმოცემა კი არის ყოვლისმომცველი და მრავალდონიანი, დისკურსი ამ შემთხვევაში ხდება მასობრივ ინფორმაციული

(Алещанова, 2000:21) ან მასმედიალური (Желтухина, 2003:78). „თანამედროვე ეპოქაში დისკურსის ეს ტიპი ხდება ინსტიტუციური დისკურსის პროტოტიპი და მოიცავს დისკურსის პოლიტიკურ, რელიგიურ, სარეკლამო და სხვა ტიპებს, ე.ი. იქცევა დიალოგად ხელისუფლებასა და ინდივიდებს შორის“, – აღნიშნავს ი. ვ. ანენკოვა (Анненкова, 2011:47).

მასმედია საშუალებების დისკურსისათვის დამახასიათებელია აქტუალურობა, რომელიც ყოველთვის როდი შეესაბამება რეალურ ფასეულობებს და მოვლენათა მნიშვნელობას. ამ თვალსაზრისით „მედიადისკურსი არის სემიოტიკური სივრცე, რომელიც ენის ნიშნობითი ბუნების გამო იყოფა სემანტიკაზე, სინტაქტიკასა და პრაგმატიკაზე ზოგადი სემიოტიკური თეორიის შესაბამისად, ასახავს რა აზრობრივ, კომპოზიციურ და სამოტივაციო ფაქტორებს“ (Арутюнова, 1990:132).

მედიადისკურსის ყველაზე სრული და ზუსტი განმარტება, ჩვენი აზრით, ეკუთვნის გრეჩინს: „მედიადისკურსი არის სოციალურ-რეგულაციური მექანიზმი, რომელიც ახდენს მასობრივი შეგნების ორგანიზებას სოციალურად მნიშვნელოვანი კოგნიტური, აქსიოლოგიური და რეგულაციური აზრების ჩამოყალიბებითა და ტირაჟირებით“ (Гречихин, 2008:79).

პოლიტიკური მედიადისკურსის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა ხარისხიანად ავხსნათ ის იდეოლოგიური და ფუნქციონალური დამოკიდებულებები, რომლებიც წარმოიშვება თანამედროვე მასმედია საშუალებებისა და სხვა პოლიტიკური ინსტიტუტების ურთიერთქმედების შედეგად. მედიათიზაციის (მედიასტრუქტურების გავლენის პროცესი პოლიტიკაზე) ზრდასთან ერთად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იდეოლოგიური კანონზომიერების ასახვა თანამედროვე პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირებაში უფრო მეტ აქტუალობას იძენს.

ნ. ფერკლოუ განაზოგადებს ზოგიერთ დასავლეთ-ევროპულ მიდგომებს პოლიტიკური მედიაკურსის გააზრების საკითხთან დაკავშირებით (Fairclough, 1992:56).

პოსტმოდერნისტული მიდგომის ფარგლებში პოლიტიკური მედიადისკურსი აღიქმება, როგორც სოციალური სინამდვილის ობიექტების აღნიშვნის საშუალება

მათი ხელისუფლების სფეროსთან დაკავშირების თვალსაზრისით. ეს მიდგომა ეყრდნობა პოლიტიკური დისკურსის მიზნების დასახვის (დაგეგმვის) კონცეფციას, რომელიც ორიენტირებულია ხელისუფლებისთვის ბრძოლასა და გავლენის რესურსებზე.

პოლიტიკური მედიადისკურსის გაგება, როგორც ტექსტის შექმნის ნორმატიულად გამყარებული პროცედურები, რომლებიც გამოიყენება მასმედია საშუალებების მიერ პოლიტიკური სინამდვილის აღწერის დროს წარმოსახავს დისკურსის ფორმალურ ბუნებაზე ფოკუსირებულ კრიტიკულ მიდგომას.

დისკურსული მიდგომის რადიკალური მოდელი განსაზღვრავს მასობრივი კომუნიკაციის სფეროს, როგორც პოლიტიკური წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების სივრცეს. საზოგადოებრივი თანხმობისკენ მიმართული პოლიტიკური დისკურსის მისწრაფების შესახებ მოსაზრებების დომინირების გათვალისწინებით ეს მიდგომა გვესახება ჩვენ ერთ–ერთი ყველაზე საინტერესოდ.

პოლიტიკური დისკურსის მკვლევარები ხშირად ამახვილებენ ყურადღებას პოლიტოლოგიურ და ლინგვოპრაგმატულ მიდგომებზე. ასე, მაგალითად, ე. ვ. იშმენევი პოლიტიკურ მედიადისკურსს განმარტავს, როგორც „ინსტიტუციური დისკურსის სპეციფიკურ ტიპს, რომელსაც გააჩნია საჯარო ხასიათი და მიმართულია მასობრივი აუდიტორიისაკენ“ (Ишменев, 2012:34).

ამავდროულად, ტ. მ. გრუშევსკაიას აზრით, ინფორმაციის მასობრივი საშუალებების პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს რაიმე ფორმის „ფორმალურ–სემანტიკურ სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრავს და აყალიბებს პოლიტიკური საგაზეთო ტექსტის წარმოქმნასა და აღქმას. ტექსტი პოლიტიკური ინფორმირების ბაზაზე გაიგება, როგორც „კომუნიკაცია ავტორსა და ადრესატს შორის. ტექსტის მიზანია მოხსენებული პრობლემებით“ მიიქციოს ადრესატის, ე.ი. მასობრივი აუდიტორიის ყურადღება (Грушевская, 2002:98).

ს. გ. კორკონოსენკო აღნიშნავს, რომ ავტორის ერთ–ერთი ძირითადი თვისება არის „უნარი დაინახოს მოვლენები მოძრაობაში, ურთიერთკავშირში გუშინდელ და განსაკუთრებით ხვალინდელ სოციალურ რეალობათან. შემეცნების თანმიმდევრული დიალექტური მეთოდი მოითხოვს აღიარებას იმისა, რომ მოვლენათა

შემადგენლობაში შედის მათი უახლოესი და გრძელვადიანი შედეგები“ (Конконосенко, 2004:153). ასე, მაგალითად, სახელმწიფოს კომუნიკაციის პრაქტიკაში ე. ვ. გორბაჩევა აღმოაჩენს დისკურსის ორგანიზების მარკეტინგულ (პროპაგანდა, აგიტაცია) და არამარკეტინგულ (პოლიტიკური რეკლამა, პოლიტიკური პიარი, ინფორმაციული ლობიზმი) საშუალებებს. მისი აზრით დისკურსულ კომუნიკაციაში მასობრივი ინფორმაციის საშუალების მხრიდან გამოიყენება საინფორმაციო პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი ფორმები და მეთოდები: დიალოგური ფორმების საინფორმაციო პროდუქტების მოცულობის გაზრდის გზით ხდება კომუნიკაციურ-ინფორმაციული უკუკავშირების გააქტიურება სისტემაში „სახელმწიფო-მასობრივი ინფორმაციის საშუალებები-საზოგადოება“; წვდომის უზრუნველყოფა მედიასფეროს საინფორმაციო ველზე ყველა მხარის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ ინტერესთა კონფლიქტში; მედიასფეროს თვისობრივი შეცვლა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მასში არასახელმწიფო სექტორის გაფართოების ხარჯზე, მაგალითად, საზოგადოებრივი ტელევიზიისა.

ამგვარად, მედიაკურსი წარმოადგენს პოლიტიკური (ინსტიტუციონალური) დისკურსის ნაირსახეობას, რომელსაც გააჩნია მასობრივი ინფორმაციის ბუნებასთან დაკავშირებული სპეციფიკური თვისებები.

პოლიტიკური მედიადისკურსი არის პოლიტიკურ აქტორებსა და მასობრივ აუდიტორიას შორის არსებული სემიოტიკური არსის მქონე აზრობრივი ერთეულების გაცვლითი პროცესი, რომელიც ასახავს პოლიტიკური რეალობის აქტუალურ ფრაგმენტს, ამ პროცესის ერთობლივ შედეგს.

მ. ფუკოს თეორიაში დისკურსი არის არა საუბრის აღმნიშვნელი მორიგი სიტყვა, არამედ ისტორიულად მოცემული მატერიალური პრაქტიკა, რომელიც აწარმოებს ძალაუფლებრივ ურთიერთობებს.

ი. ფ. უხვანოვა-შმიგოვას მოსაზრებით პოლიტიკური დისკურსის აზრობრივ-არსებითულ კვლევებს შეუძლიათ მოგვცენ მნიშვნელოვანი მასალა, როგორც თანამედროვე დისკურსის შესახებ მთლიანობაში, ასევე კერძოდ პოლიტიკური დისკურსის შესახებ. აუცილებელია გამოვავლინოთ ის ნიშან-თვისებები, რომლებიც

დამახასიათებელია პოლიტიკური დისკურსისათვის სოციუმის განვითარების მოცემულ ეტაპზე და აგრეთვე განისაზღვროს პოლიტიკური დისკურსის ისტორიული და ნაციონალური (ეროვნული) სპეციფიკური ნიშნები, ამა თუ იმ სტილის, ტიპის, საუბრის ფორმის, კომპოზიციური გადაწყვეტილებების თანმიმდევრობითობა/ არათანმიმდევრობითობა.

აკადემიურ და ეპისტემოლოგიურ კონტექსტში პოლიტიკური დისკურსის ანალიზი (პოლიტიკური დისკურს-ანალიზი) არ არის „მკაცრ ფორმაში მოყვანილი“ (მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული) დისციპლინა. ის უფრო მეტად ფუნქციონირებს, როგორც დისციპლინათშორისი მეთოდოლოგიური მიმართულება, რომელიც ახდენს პოლიტიკური ტექსტების ანალიზს თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრირებას (პრაგმატიკის დისკურსია, კოგნიტური დისკურს-ანალიზი, კონვერსაციული ანალიზი, კრიტიკული დისკურს-ანალიზი და ა. შ. (Иорженсен, 2008:37).

დისკურსის მნიშვნელოვანი შემადგენელია საუბრის მონაწილეთა კატეგორია, ვინაიდან სწორედ ისინი არიან ტექსტის შემქმნელები. გამოჰყოფენ დისკურსის პიროვნულ და ინსტიტუციონალურ სახეობებს. პიროვნული დისკურსის მონაწილეები ავლენენ თავიანთი ენობრივი პიროვნების თვისებებს მხატვრული დისკურსის მეშვეობით. პოლიტიკური დისკურსი კი არის ინსტიტუციონალური დისკურსის ნაირსახეობა (Арутюнова, 1993:68).

პოლიტიკური დისკურსის ანუ პოლიტიკური გამოსვლის დისკურს-ანალიზის ჩასატარებლად აუცილებელია, მოხდეს მისი სისტემატიზაცია, მისი კომპლექსური შესწავლა. მაგალითად:

1) პოლიტიკური მოღვაწის, როგორც მოსაუბრის, დასახასიათებლად, აუცილებელია გაანალიზდეს:

ა) დისკურსის აღქმის სირთულის დონე (აქ ვითვალისწინებთ დისკურსის ისეთ შემადგენელ ნაწილებს, როგორცაა: მოცულობა, რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების არსებობა, მოსაუბრის იდეის მკაფიოობა, მსმენელისათვის სასაუბრო თემის ღირებულება);

ბ) რეალობასთან შესაბამისობის სიღრმე და სიზუსტე (აღსანიშნავია ფაქტების კონსტატაცია, მოსაუბრის რეაქცია მოვლენებზე);

გ) დისკურსის განსაზღვრული მიზანმიმართულობა (მოსაუბრის მოწოდება რაიმე ქმედებისაკენ, ინფორმირება რაღაც ამბის, მოვლენის შესახებ, რაიმეს ახსნა);

დ) ტოლერანტობა, როგორც კომუნიკაციური ფენომენი (პიროვნების ქცევა საზოგადოების წინაშე: თავშეკავება, ტაქტიანობა, ვინმეს ან რაიმეს მიმართ აგრესიული გამოთქმებისაგან თავის შეკავება). ლინგვისტური თვალსაზრისით, ტოლერანტობა გამოიხატება საუბარში დადებითი დენოტაციის და კონოტაციის, მოდალური კონსტრუქციებისა და ევემიზმების გამოყენებით, მარადიული ღირებულებებით აპელირებით;

ე) კოგნიტიურ-სასაუბრო სტრატეგია (განზოგადება, მაგალითის მოყვანა, შესწორება, გაძლიერება, დათმობა, გამეორება, კონტრასტი და ა.შ.).

2) კომუნიკაციურ-პრაგმატული სივრცის დასახასიათებლად უნდა გავანალიზოთ კონტექსტი. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს პოლიტიკური დისკურსის კონტექსტუალურ ანალიზთან, რაც მოიცავს შემდეგს:

- თვითონ მოსაუბრე
- მისი ადრესატები (მონაწილეები)
- გამონათქვამები, მოვლენა/მოქმედება
- გამონათქვამის არსი
- საკომუნიკაციო აქტის დრო
- საკომუნიკაციო აქტის ადგილი
- გარემო, სადაც სრულდება საკომუნიკაციო აქტი
- სოციალური დამოკიდებულება
- მონაწილეთა როლი
- მონაწილეთა კოგნიტიური დახასიათება

3) ენობრივი სივრცის დასახასიათებლად აუცილებელია ტექსტის გაანალიზება. აქვე განიხილება უშუალოდ პოლიტიკური დისკურსის ტექსტური ანალიზი, რომელიც შედგება ფონეტიკური, გრაფიკული, მორფოლოგიური დონეებისაგან, წინადადების სინტაქსისა და სემანტიკისაგან; ასევე, მაკროსტრუქტურების დონე და რიტორიკული ასპექტი.

4) პოლიტიკური დისკურსის ზოგადი დახასიათებისას საჭიროა მისი

აგებულების გაანალიზება:

- კომუნიკატივი (რას ამბობს გამომსვლელი)
- დესკრიპტივი (რას აღწერს)
- ნარატივი (რას ჰყვება)
- არგუმენტატივი (რა არგუმენტები მოჰყავს) (Костюшкина, 2005:332).

ამგვარად, პოლიტიკური დისკურსის კომპლექსური გამოკვლევისათვის საჭიროა ყველა იმ არსებული მიდგომის დამუშავება და რეალიზება, რომელიც განსხვავებული, შემეცნებითი (კოგნიტიური) მექანიზმების პოზიციიდან ენაში არსებული იმ მოვლენების სრული აღქმის საშუალებას იძლევა, რაც პოლიტიკოსის გონებრივი მოღვაწეობის საფუძველში დევს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციონალური დისკურსის ნიშან-თვისებების მიმოხილვამ, ფუნქციების, პოლიტიკური დისკურსის სუბიექტების თავისებურებების შესწავლამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სივრცის ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა პოლიტიკური მედიადისკურსის პოლიტიკური განმარტება. განხილული პოლიტიკური მედიადისკურსის გენეზისის თანახმად, მედიადისკურსი არის პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ინსტიტუციონალური დისკურსის ერთ-ერთ სახეობას.

## II თავი - მეტაფორა როგორც პოლიტიკური დისკურსის ლინგვოკოგნიტური და პრაგმატიკული კომპონენტი

### 2.1. მეტაფორის ლინგვოკონცეპტუალური ხატი

კვლევის ამ ნაწილში ყურადღებას ვამახვილებთ მეტაფორაზე, როგორც ენობრივ და, ზოგადად, კულტურულ მოვლენაზე.

მეტაფორა წარმოადგენს დასახელების გადატანას ერთი ობიექტიდან (საგნიდან, პიროვნებიდან, მოვლენიდან) მეორე ობიექტზე (საგანზე, პიროვნებაზე, მოვლენაზე), რომელიც, გარკვეული გაგებით, მისი მსგავსია. ამავე დროს, რიგ შემთხვევებში მეტაფორა აზროვნების მზა შტამპად იქცევა, მაგრამ ესთეტიკურად მიმზიდველ შტამპად. ერთგვარი აზრით, ეს მხატვრულად წარმოდგენილი სტერეოტიპიცაა.

პოლ რიკიორის თქმით, მეტაფორა – ეს სემანტიკურად გაფორმებული განსხვავებაა გამოხატვის წინა, პირდაპირ მნიშვნელობასა და ახალ, პროექტირებად მეტაფორულ მნიშვნელობას შორის. „ძირითად პროტესტს იწვევს მდგრადი კავშირი მსგავსებასა და შენაცვლებას შორის მეტაფორის ისტორიის შესწავლისას“ (რიკიორი, 1990:67).

ზოგიერთის აზრით, მეტაფორა – შეკვეცილი შედარებაა. ა. ვეჟბიციკას შეხედულებით, ეს ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს სემანტიკური განსხვავება მეტაფორასა და შედარებას შორის, ამგვარი შეხედულება კი არამართებულია. ვეჟბიციკას მიხედვით, მეტაფორა და შედარება განსხვავდება სიღრმისეული სტრუქტურებით (Вежбицкая, 1990:37).

ადამიანების უმრავლესობისთვის მეტაფორა არის მხატვრული წარმოსახვის ხერხი და რიტორიკული მაღალფარდოვნება, აქედან გამომდინარე, იგი თითქოს სცილდება ჩვეულებრივი/ნორმალური ენის ფარგლებს. უფრო მეტიც, მეტაფორა ტიპურად განიხილება, როგორც მხოლოდ ენის მახასიათებელი, როგორც სიტყვები, და არა აზროვნება ან ქმედება. ამ მიზეზით ადამიანების უმეტესობა ფიქრობს, რომ მათ შეუძლიათ მშვენივრად იარსებონ მეტაფორის გარეშე. ვიზიარებთ ჯ. ლაკოფის და მ. ჯონსონის აზრს იმის შესახებ, რომ რეალურად სრულიად საპირისპირო



შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომ მეტაფორა ვრცელდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და არა მხოლოდ ენაში, არამედ ჩვენს აზროვნებასა და მოქმედებაში, და, რომ მთლიანად ჩვენი ცნებათა სისტემა თავისი ბუნებით ფუნდამენტურად მეტაფორულია (Lakoff, 1980:234).

დღესდღეობით საუბრობენ მეტაფორაზე, როგორც წარმატებულ ხერხზე პოლიტიკურ დისკურსში. და ეს იმიტომ, რომ მეტაფორას დარწმუნების ფუნქციის გარდა, შეუძლია გადმოსცეს ის, რისი პირდაპირი მნიშვნელობით გამოხატვართულია; უფრო მეტი სიცხადე და ხატოვნება შეჰმატოს მეტყველებას; ახალი თვალთახედვა წარმოგვიდგინოს საგანსა თუ მოვლენაზე და ა.შ. კრეატიული, ანუ ახალი მეტაფორა, იმავდროულად, მოითხოვს შემოქმედებით რეაქციას და მისი მიღების მზაობას აუდიტორიის მხრიდან წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად. თუკი მეტაფორა არ არის სათანადოდ აღქმული, ან არ/ვერ ხდება მისი ინტერპრეტირება აუდიტორიის მიერ, შესაბამისად, ვერ ხორციელდება მისი პოლიტიკურ-კომუნიკაციური ფუნქცია.

საკვლევი კორპუსი (როგორც ქართული, ისე ინგლისური) გვაძლევს შესაძლებლობას, ჩავწვდეთ მეტაფორის კოგნიტურ მოტივაციასა და ექსპრესიულ კონოტაციას. რატომ არის მეტაფორა წარმატებული ხერხი პოლიტიკურ დისკურსში? ლინგვისტთა ინტერესს ყოველთვის იწვევდა ისეთი ლინგვისტური სტრუქტურების გამოყენება, რომლებიც ადრესატს პოლიტიკურად რელევანტურ მესიჯს მიაწვდის კონკრეტული ფუნქციის შესრულების მიზნით. ამ მხრივ მეტაფორას ძალიან დიდი პრაგმატიკული მნიშვნელობა ენიჭება. ის არა მხოლოდ „ალამაზებს“ უმეტეს შემთხვევებში უშინაარსო და არაფრის მთქმელ პოლიტიკურ ტექსტებს, არამედ, სხვადასხვა პრაგმატიკულ მიზნებს ემსახურება.

მიჩნეულია, რომ მეტაფორა ეფექტურია მაშინ, როდესაც ის არის კოგნიტური თვალსაზრისით დამაჯერებელი და, ამასთანავე, ემოციური რეაქციის გამომწვევი. მეტაფორას აქვს დამარწმუნებელი ძალა, რადგან ის თავის თავში აერთიანებს პრაგმატიკულ, კოგნიტურ და ლინგვისტურ ცოდნას კულტურის, იდეოლოგიისა და ისტორიის გათვალისწინებით (Charteris-Black, 2004:68).

ტრადიციული გაგებით აღიარებულია, რომ მეტაფორა სემანტიკის სფეროს

მიეკუთვნება და სრულიადაც არ არის პრაგმატიკის საკითხი. ს. ლევინსონის აზრით, „ნებისმიერი მეტაფორის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ჩანს, მოიცავს ე.წ. „კონოტაციურ ბუნდოვანებას“, სიტყვების რამდენადმე შემთხვევით, და არაგანმსაზღვრელ მახასიათებლებს, რეფერენტების ფაქტობრივ თვისებებს და, აქედან გამომდინარე, ზოგად ცოდნას სამყაროს შესახებ. ყოველივე ეს კი ცდება სემანტიკის სფეროს“ (Levinson, 1983:150).

მეტაფორისადმი პრაგმატიკული მიდგომა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ გამონათქვამის მეტაფორული შინაარსი გამომდინარეობს არა სემანტიკური ინტერპრეტაციიდან, არამედ, სემანტიკა უზრუნველყოფს გამონათქვამის პირდაპირი/სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისა თუ ტრადიციული შინაარსის დახასიათებას, ხოლო ამის შემდეგ, კონტექსტთან ერთად, პრაგმატიკამ უნდა უზრუნველყოს მეტაფორული ინტერპრეტაცია (Levinson, 1983:156).

მეტაფორას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, შემეცნებითი, ესთეტიკური და სხვა, მაგრამ პოლიტიკურ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანია მისი მანიპულირების უნარი, რომელსაც ის იძენს დომინირებად დისკურსში. ამგვარად, პოლიტიკურ სფეროში მეტაფორა გვევლინება როგორც წარმოდგენების ფორმირების საშუალება და მას შეფასებითი ფუნქციაც აქვს.

მეტაფორა შეიძლება იყოს ენობრივი და მხატვრული. გამოყოფენ აგრეთვე რიტორიკულ მეტაფორებს. ესენია: მხატვრული შტამპები, კლიშეები, რომელთა განეიტრალება ხდება ენაში. სინამდვილეში ეს იგივე ენობრივი მეტაფორებია, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გაყინული. სწორედ ასეთი მეტაფორებია განსაკუთრებით დამახასიათებელი პოლიტიკური სფეროსთვის.

ნ. დ. არუთინოვას თანახმად, მეტაფორები განსხვავდება ექსპრესიულ შეფასებითი ფუნქციის, ანუ ზემოქმედების ხარისხისა და გადაცემის უნარის მიხედვით (Арутюнова, 1990:56).

არსებობს მეტაფორის ნომინანტური, ხატოვანი, საბაზისო და ა.შ. მოდელები.

ნომინანტურია მეტაფორა, როდესაც მისი მეშვეობით ხდება ერთი კლასის ობიექტთა აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება მეორე კლასის ობიექტთა მიმართ. ის თავისი ბუნებით კონცეპტუალური და ტაქსონომიურია (მაგალითად, მაიმუნი, ვირი,

ბულდოზერი, წურბელა – ადამიანთან მიმართებაში).

ხატოვანი მეტაფორა ქმნის დინამიურ, მთლიან ხატს. მის საფუძველშია კატეგორიალური შენაცვლება.

საბაზისო მოდელი, რომელიც ე. მაკკორმაკს ეკუთვნის, მთელი გამონათქვამის საფუძველში დევს, ანუ ეს არის გლობალური მეტაფორა, რომელსაც მთელი ტექსტი ექვემდებარება და თავად ეს ტექსტი შეიძლება იქცეს ამ მეტაფორად.

ჯ. ლაკოფი თავის ნაშრომში „მეტაფორის თანამედროვე თეორია“ (Lakoff, 1992:134) აღნიშნავს, რომ სიტყვა მეტაფორა განისაზღვრებოდა როგორც ახალი (ნოველ), ან პოეტური/მხატვრული ლინგვისტური გამონათქვამი, რომელშიც რაიმე ცნების გამომხატველი ერთი ან მეტი სიტყვა გამოიყენება მისი ნორმალური, ტრადიციული მნიშვნელობის გარეთ მსგავსი ცნების გამოსახატავად. მთავარ განსხვავებად თანამედროვე და კლასიკურ თეორიებს შორის მას მიაჩნია განსხვავება პირდაპირ/ სიტყვასიტყვით და ფიგურალურ მნიშვნელობებს შორის.

მე- 20 საუკუნის 70-იან წლებში მეტაფორაში იგულისხმებოდა ახალი, ადრე არარსებული მეტაფორა (novel metaphor), ანუ შემოქმედებითი (creative) მეტაფორა, რადგან ტრადიციული (conventional) მეტაფორის უზარმაზარი სისტემა თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა. ჯ. ლაკოფის აზრით, „არსებობს ლინგვისტური გამონათქვამების ახალ მეტაფორად ინტერპრეტირების სამი ძირითადი მექანიზმი: ტრადიციული მეტაფორის განვრცობა; ზოგადი მეტაფორები; და იმიჯ-მეტაფორები, ანუ ხატოვანი მეტაფორები. ყველაზე საინტერესო პოეტური მეტაფორა სამივე ამ მექანიზმს იყენებს“ (Lakoff, 1989:143).

ცნობილია ჯ. ორუელის უარყოფითი დამოკიდებულება ზოგადად პოლიტიკის ენის მიმართ, თუმცა საინტერესოა მისი აზრი მეტაფორასთან მიმართებაში: „ახლად შექმნილი მეტაფორა აზროვნებას ეხმარება ვიზუალური ხატის აღძვრის გზით, მაშინ, როდესაც მეტაფორა პრაქტიკულად „მკვდარია“ (მაგ. iron resolution), ფაქტობრივად, ის გადაიქცევა ჩვეულებრივ სიტყვად და შეიძლება, გამოიყენებოდეს ისე, რომ არ დაკარგოს სიცხადე. მაგრამ, მეტაფორის ამ ორ კლასს შუა არსებობს გაცვეთილი მეტაფორების უზარმაზარი ნაგავსაყრელი, რომლებმაც დაკარგეს ემოციების აღმძვრელი ძალა და მხოლოდ იმიტომ გამოიყენება, რომ ადამიანებს ათავისუფლებს

ახალი ფრაზების თავად შეთხზვის საჭიროებისაგან“ (Orwell, 1968:130).

ს. ლევინსონის აზრით, მეტაფორის ინტერპრეტაცია უნდა ეყრდნობოდეს ჩვენს ზოგად უნარ-თვისებებს, ვიაზროვნოთ ანალოგიებით (Levinson, 1983:161). პ. ფრიდრიხი კი თვლის, რომ “მეტაფორა არის ანალოგიის მხოლოდ ერთი სახეობა და გაცილებით უფრო დიდი კონტექსტის ანალოგიური ხერხებისა და ასოციაციური აზროვნების ნაწილი“ (Friedrich, 1986:4).

ჩვენი გონება ერგება რეალობას ფრეიმების, მეტაფორების, სტერეოტიპების, პროტოტიპების მეშვეობით, რადგან ადამიანები აზროვნებენ სწორედ მათი მეშვეობით, რაც ხშირად არ ჯდება რაციონალურ აქტიურ მოდელში. მეტაფორა აერთებს ერთი სფეროს ფრეიმებს მეორე სფეროს ფრეიმებთან.

ენის გამოყენება პოლიტიკურ დისკურსში შეიძლება აღვიქვათ, როგორც კონკურენცია პოლიტიკურ ფაქტორთა შორის, რომელთაც სურთ საკუთარი სამყაროს „პრომოცირება“. პოლიტიკა მოიცავს განსხვავებათა შეჯერებას დისკუსიისა და დარწმუნების გზით. აქედან გამომდინარე, კომუნიკაცია მთავარია პოლიტიკისთვის. ცხადია, რომ პოლიტიკური აქტივობა არ არსებობს ენის გამოყენების გარეშე, ხოლო ენის გამოყენებას პოლიტიკურ დისკურსში აქვს თავისი განსაზღვრული პრაგმატიკული დანიშნულება, ანუ ის, თუ რას ისახავს მიზნად ენის ესა თუ ის გამოყენება. პოლიტიკოსთა მეტყველებაში ენის (სხვადასხვა ვერბალური ფორმულირებების) მნიშვნელობა აღიარებულია თავად პოლიტიკოსების მიერ. ამიტომაცაა, რომ მიკროდონეზე ისინი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ენის ფორმულირების და ფრაზეოლოგიის (ე.წ. wording and phrasing) დიზაინს მათ წინაშე მდგარ გამოწვევებზე სათანადოდ რეაგირებისათვის და ამისათვის, ხშირად, პროფესიონალ speech-maker-ებს და ორატორებსაც კი (დღევანდელი ტერმინოლოგიით, PR-ს) მიმართავენ დახმარებისთვის. მიკროდონეზე (პოლიტიკოსთა ინტერაქციისას) პოლიტიკოსები იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს თავიანთი მიზნის მისაღწევად: დარწმუნებას, რაციონალურ არგუმენტაციას, ირაციონალურ სტრატეგიას, მუქარას, ქრთამს, მანიპულაციას – ნებისმიერ რამეს რაც, მათი აზრით, სასურველ შედეგს მოიტანს. ყველა ამ მეთოდის წარმატებით გამოყენება კი გულისხმობს ენაში არსებული სტრუქტურების, მათ შორის, მეტაფორის,

წარმატებით გამოყენებას.

პოლიტიკურ დისკურსში დარწმუნების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, შეიძლება ითქვას, არის მეტაფორა, ხოლო ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი თემა პოლიტიკური რიტორიკის მკვლევართათვის არის სწორედ იმის გაანალიზება, თუ რატომ ვერ მოიპოვა გამარჯვება ამა თუ იმ კანდიდატმა. პასუხიც მზადაა – იმიტომ, რომ სწორად ვერ გამოიყენა რიტორიკული ხერხები ამომრჩეველთა მისამხრობად. პოლიტიკური კუთხით, მნიშვნელობა აქვს მოსაუბრის/მთქმელის სანდოობას. დაეჯერება თუ არა მთქმელს, სავარაუდოდ, ეს მთელი რიგი სოციალურ-ფსიქოლოგიურ გარემოებათა კომპლექსური ჯაჭვია. იმის გამო, რომ ხშირად ფიზიკური რესურსები, რომლებიც მხარს უმაგრებს ამა თუ იმ პრაგმატიკულ მიზანდასახულებას, ყოველთვის არ არის ვიზუალურად წარმოდგენილი, ვერბალურ კომუნიკაციას საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ დისკურსში.

კვლევები აჩვენებს, რომ გარდა დარწმუნების ფუნქციისა, მეტაფორას შეუძლია:

- გადმოგვცეს ის, რისი პირდაპირ, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით გამოხატვა რთულია;
- დაგვეხმაროს იმ სიტუაციებში, როდესაც არსებობს სხვისთვის საფრთხის შექმნის საშიშროება, როდესაც უფრო მართებულია სათქმელის არაპირდაპირი გზით გამოხატვა;
- უფრო მეტი სიცხადე და ხატოვანება შეჰმატოს მეტყველებას;
- დაგვეხმაროს არგუმენტის სტრუქტურირებაში;
- ახალი თვალთახედვა წარმოგვიდგინოს საგანსა თუ მოვლენაზე.

თუკი მეტაფორა არ არის სათანადოდ აღქმული, ან/არ ვერ ხდება მისი ინტერპრეტირება აუდიტორიის მიერ, შესაბამისად, ვერ ხორციელდება მისი პოლიტიკური ფუნქცია.

სწორედ ამ საკითხებზე ხდება კონცერნტრაცია ნაშრომის მეორე თავში, რომლის სათაურია „მეტაფორა როგორც პოლიტიკური დისკურსის ლინგვოკოგნიტური და პრაგმატიკული კომპონენტი“. მეტაფორის ლინგვოკონცეპტუალური ხატი, მეტაფორა როგორც მედიადისკურსის შემადგენელი ლინგვოკოგნიტურ და პრაგმატიკულ ჭრილში, მეტაფორის და მეტაფორული მოდელების პოლიტიკურ მედიადისკურსში

გამოყენების სემანტიკურ-პრაგმატიკული და ლინგვოკუტუროლოგიური საფუძვლები წარმოადგენს კვლევის მთავარი სფეროს შემადგენელ სეგმენტებს.

## 2.2. მეტაფორა, როგორც პოლიტიკური დისკურსის მახასიათებელი

გამლიერებული მეტაფორულობა თანამედროვე სააგიტაციო-პოლიტიკური ტექსტის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ამის შესახებ მრავალი თანამედროვე მკვლევარი წერს (არუთინოვა, ბარანოვი, კარაულოვი, ლაკოფი, ჩუდინოვი, შეიგალი და სხვ.). მეტაფორა წარმოადგენს რა ადრესატის ემოციასა და ინტელექტზე ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერად მოქმედ საშუალებას (ისევე, როგორც სხვა გამომსახველობითი საშუალებები პოლიტიკურ ტექსტში), ფასდება არა დამოუკიდებლად, როგორც მატერიის ან ქმედების გამაცოცხლებელი, გამამლიერებელი იარაღი, არამედ იმ შემფასებლური ეფექტის მიხედვით, რასაც ის ახდენს მსმენელზე.

XXI საუკუნის პოლიტიკური ტექსტების ყველაზე აქტუალური მეტაფორული მოდელების რიგში ა. ჩუდინოვი გამოჰყოფს მეტაფორულ მოდელებს, რომელთა სუფთა საწყისი გაგება არის „კრიმინალი“ (ფულის გათეთრება, მეორე წრეზე წასვლა, დაყაჩაღება), „ომი“ (დარტყმის მიყენება, ბრძოლის მოგება) და „ავადმყოფობა“ (პარალიზება) (Чудинов, 2012:278). მათში მკვეთრად ჩანს თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში გამოხატული საშიშროების, აგრესიულობის და შფოთვის ვექტორები. ამ მეტაფორების ღრმად ნაციონალურ ხასიათზე მეტყველებს სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური დისკურსების კვლევები. ნ. კორნილაევა აშშ წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსების კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ იქ წარმოუდგენლად პროდუქტიული და უნივერსალურიც კი არის მეტაფორული მოდელი „სპორტი“. პოლიტიკური მოვლენა წარმოდგება, როგორც სპორტის: ფეხბურთის, კალათბურთის, ტენისის, ბეისბოლის, ბოულინგის, ველო- და

მოტოსპორტის სახეობა. კანდიდატის რეიტინგს ადარებენ ჭოკით ხტომას. „ძირეული სემანტიკური კომპონენტი, რომლის მიხედვითაც წინასაარჩევნო კამპანია შეიძლება შევადაროთ სპორტს, არის **შეჯიბრი**, რომლითაც თანაბრად შეიძლება ორივე კონკურენტის საქმიანობის დახასიათება“ (Корнилаева, 2008:257).

თანამედროვე პოლიტიკურ ენაში შეინიშნება გარკვეული ტრანსფორმაცია. შეფასებითი სემანტიკის, იდეოლოგიემისთვის შემფასებლური მნიშვნელობის მინიჭებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლიტიკური პოზიცია, მოცემულ ენაზე მოსაუბრე ხალხის მსოფლმხედველობა. მკვლევარების განმარტებით, „პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია არა რეალობის ასახვა, არამედ მისი მოდელირება ინფორმაციის შერჩევისა და მისი მიწოდების ხერხების გზით. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკურ გამოსვლაში სიტყვის შერჩევა ნაკარნახევია კონკრეტულ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შეცვლის და გავლენის მოხდენის მიზნით და ეს ხდება თითქმის შეუმჩნევლად, ცნობიერების გვერდის ავლით“.

სიტყვისთვის დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობის მინიჭება ხდება კონტექსტის მეშვეობით. პოლიტიკური მეტაფორების მნიშვნელოვანი თავისებურება არის ის, რომ მათ შეუძლიათ შეიძინონ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა. მაგ.: ომის მეტაფორა. როგორც ქართულ, ისე ამერიკულ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას შეიძლება წავაწყდეთ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „ამჟამად ისინი (პოლიტიკური ოპონენტები) ცდილობენ ხელში ჩაიგდონ უმრავლესობა ქალაქის საკრებულოში. აუცილებელია დავიწყოთ საერთო-სახალხო ბრძოლა მექრთამეებისა და მედროვეების წინააღმდეგ“.

პირველ შემთხვევაში ლექსემა „ხელში ჩაგდება“ უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელია, მეორე შემთხვევაში „ბრძოლა“ წარმოდგენილია, როგორც საერთო-სახალხო და განმათავისუფლებელი. ზემოთ მოყვანილი მეტაფორები განსხვავდება შეფასების მიხედვით: „მათი“ და „ჩვენი“ ბრძოლა. „ჩვენი“ ბრძოლა მიმართულია ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, „მათი“ ბრძოლა მიუღებელი და დამანგრეველია. შეფასება პოლიტიკური ტექსტის ის ატრიბუტული მახასიათებელია, რომელიც მიმართვის ტექსტს ხდის გასაგებს, აღქმადს, უნივერსალურს ამომრჩევლის ნებისმიერი კატეგორიისათვის. წინასაარჩევნო ტექსტში შეფასება აუცილებელია: ის

იძლევა სიგნალს, რომ პოლიტიკოსი დიდად აფასებს სუბიექტის კომუნიკაციას გარემომცველ სამყაროსთან (სწორედ ამომრჩევლის მიერ შემოთავაზებული შეფასებების შედარება საკუთარ გამოცდილებასთან განსაზღვრავს მომავალ პოლიტიკურ არჩევანს); აუდიტორიის აზრს აძლევს მიმართულებას (წარმოდგება, როგორც ლოგიკური დასკვნა, რასაც სასურველია, დაეთანხმო). შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება (ემოციური, ექსპრესიული, გამომსახველობითი და სტილისტურად მარკირებული ენობრივი საშუალებები) ხდის მას გასაგებს, ახდენს სპეციფიკური პოლიტიკური ინფორმაციის ადაპტირებას განსხვავებული აუდიტორიებისათვის. ბოლოს, ადრესატის მიერ შეფასების სისტემის ათვისება, რომელიც ავტორის მიერ იმპლიცირებული ან ექსპლიცირებულია ტექსტში, იწვევს გარდაუვალ პრაგმატულ ეფექტს, რაც გამოიხატება ელექტორტის გადაწყვეტილებაში – იმოქმედონ (ან იწვევს შეგნებულ უმოქმედობას).

### **2.3. მეტაფორა როგორც მედიადისკურსის შემადგენელი ლინგვოკოგნიტურ და პრაგმატიკულ ჭრილში**

კვლევის ან ნაწილში განვიხილავთ მეტაფორის როლს თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში. კერძოდ, მასში ექსპლიცირებულია და აღწერილია კოგნიტური მექანიზმები, პრაგმატული სპეციფიკა და პოლიტიკური მეტაფორიკის პერსუაზიული პოტენციალი. პოლიტიკური კომუნიკაციის მეტაფორული მოდელები არის არა მხოლოდ ენასა და მეტყველებაში ობიექტივირებადი ახალი მნიშვნელობების წარმოსაქმნელი კონცეპტუალური შაბლონი, არამედ აქტიურად გამოიყენება პოლიტიკური დისკურსის პროდუცენტების მიერ, როგორც აუდიტორიაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი.

1980 წელს ჯორჯ ლაკოფისა და მარტინ ჯონსონის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ნიშანდობლივი აღმოჩნდა მთელი რიგი ჰუმანიტაული



დისციპლინისათვის, მეტაფორიზაციის, როგორც კოგნიტური პროცესის გამოკვლევა იძენს უფრო მეტად გლობალურ ხასიათს. ლინგვისტიკის პრაქტიკაში შემოვიდა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „მეტაფორული პროექცია“ ან „კოგნიტური ასახვა“, რომლებიც გადმოსცემენ ცოდნის ორ სტრუქტურას – „წყაროს“ კოგნიტურ სტრუქტურასა და „მიზნის“ კოგნიტურ სტრუქტურას (Lakoff & Johnson, 1980:132).

ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა სხვადასხვა დისკურსების კონცეპტუალური მეტაფორების კვლევებს, მეტაფორიზაციის უნივერსალურ და კულტურულ-სპეციფიკურ თავისებურებებს, რომელიც განაპირობებს უშუალოდ პოლიტიკური დისკურსის შესწავლის პრობლემის აქტუალურობას. გარდა ამისა, პოლიტიკური დისკურსის კოგნიტური კვლევები, რომლებიც ტარდება ლინგვისტიკისა და კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის გადაკვეთაზე კორპუსული ტექნოლოგიების გამოყენებით, სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად თანამედროვე კოგნივისტიკაში (Буцаев, 2007:99).

პოლიტიკური დისკურსის მრავალსპექტიანი კვლევა, რომელიც არ შეწყვიტა XX საუკუნის შუა წლებიდან (პირველი გზამკვლევის როლი პოლიტიკის ენის შესწავლაში ენიჭება ამერიკელ ლინგვისტს გაროლდ ლასველს (Müller, 2014:69), მიუთითებს მასზე, რომ პოლიტიკური რიტორიკის განვითარება (ისევე როგორც დისკურსების უმრავლესობისა) მიმართულია ინტელექტუალიზაციისაკენ. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს კრეატიული და ორიგინალური მიდგომის განვითარებას პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების ასახვასა და ანალიზის შემთხვევაში, როგორც პოლიტიკოსთა საუბრებში ასევე პოლიტიკური მედია დისკურსის დროს. თუმცა პოლიტიკურ ინტერდისკურსში კომუნიკაციური საქმიანობის შინაარსისა და ფორმის კარდინალური განახლება, მოლაპარაკე პოლიტიკური სუბიექტების (ი.მ.კობოზევის ტერმინი (Кобозева, 2010)) ინდივიდუალური („საფირმო“) სტილისაკენ სწრაფვა, ექსპრესულობა და აგრეთვე პოლიტიკური თემატიკის პოლიტიკურად მკაფიო საუბრები და ანალიტიკური სტატიები, რომლებიც „ესაზღვრება ყოველგვარ ნებადართულობას და პოლიტიკურ თავხედობას“ (Müller, 2014:56), წარმოადგენს

აუდიტორიის აზრზე გავლენის ახალ, უფრო ნატიფ და დახვეწილ ხერხებს.

ამგვარად, პოლიტიკური დისკურსის პრაგმატიკა განისაზღვრება მისი ფუნქციონალური ბუნებით, რომელიც გამოიხატება იმ მომენტისათვის არსებული ესთეტიკური, კოგნიტური და აქტუალური ინფორმაციის დისკურსულ კონტინუუმში ინტეგრაციის გზით. სწორედ ამიტომ, კომუნიკაციის მოცემული ნაირსახეობისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა რიტორიკული სტრატეგიების მოზიდვა გრამატიკულ, ლექსიკურ და სტილისტურ დონეებზე (კავშირები და მაკავშირებელი სიტყვები, ნაცვალსახელები, არტიკლები (ინგლისური ენის შემთხვევაში), სიტყვათა წყობა, განმეორებები, მეტანიმია, მეტაფორა, ანტონომაზია, ტოპონიმია, ალუზიები ლიტერატურულ ნაწარმოებებზე და სხვა პრეცედენტული ფენომენები). ზემოთ ჩამოთვლილი ენობრივი საშუალებები აძლევს შესაძლებლობას დისკურსის პროდუცენტებს არა მხოლოდ განახორციელონ დასახული მიზნების შესაბამისი კომუნიკაციური ურთიერთქმედება რაციპიენტებთან, არამედ გარკვეულწილად საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებით ეფექტური ზემოქმედება მოახდინონ აუდიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით საგაზეთო-პუბლიცისტურ და პოლიტიკურ დისკურსში შეიმჩნევა მეტაფორების მაღალი სიხშირით გამოყენება, ვინაიდან „მეტაფორა გადაიქცა პოლიტიკური კონცეფციების წარდგენისა და საზოგადოების პოლიტიკურ შეგნებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საშუალებად“ (Чудинов, 2012:234).

ენასა და მეტყველებაში მეტაფორის ფუნქციონალური გავლენის სფეროს წარმოადგენს რეპრეზენტაციის ლექსიკურ-სემანტიკური დონე. თავის მხრივ, პოლიტიკურ დისკურსში ლექსიკური სემანტიკის „პასუხისმგებლობის სფეროში“ შედის ამოცანათა ფართო სპექტრი – დაწყებული იმ კონცეპტუალური კატეგორიის ჩამოყალიბებით, რომლისკენაც მოსაუბრე პოლიტიკურ სუბიექტს მიჰყავს კომუნიკაციური აქტის სტიმულად წარმოდგენილი სიტუაცია და დამთავრებული კომუნიკაციური ჩანაფიქრის ვერბალიზაციის მსვლელობისას გაკეთებული განმარტები გარდა ამისა, თუ კი ვისაუბრებთ პოლიტიკური დისკურსის ლექსიკური შემადგენლობის შინაარსობრივ ასპექტზე, რომელიც აყალიბებს მეტაფორიკას, მოცემული ფენომენის ანალიზისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ მისი

სემანტიკური რეპრეზენტაციის ისეთი რაკურსები, როგორებიცაა:

(1) ლექსიკურ განმარტებაში ასახული სიტყვის უზუალური ლექსიური მნიშვნელობა;

(2) სიტყვის აქტუალური მნიშვნელობა, რომელიც მისი პირდაპირი გამოყენების შემთხვევაში არის უზუალური ლექსიკური მნიშვნელობის სტანდარტული ვერბალური მოდიფიკაცია, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაში კი – უზუალურ მნიშვნელობასთან კავშირი უფრო რთულადაა წარმოდგენილი;

(3) სიტყვის შინაგანი ფორმა (გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაში ემთხვევა მის პირდაპირ ნომინალურ მნიშვნელობას);

(4) შეთანხმებითი შეზღუდვები სიტყვის ვალენტობის მიხედვით;

(5) კონოტაციები;

(6) მოცემული სიტყვის ფორმის ასოციაციის მიხედვით შერჩეული სხვა სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობა (იმავე მავალმნიშვნელიანი სიტყვის სხვა ლექსიკურ–სემანტიკური ვარიაციების მნიშვნელობები - მისი სინონიმებისა და პარონიმების);

(7) სიტყვის ფონეტიკური მნიშვნელობა;

(8) სიტყვის „ექსტრალინგვისტური“ პროექცია (მასთან დაკავშირებული სქემები, ფრეიმები, სცენარები და ა.შ.);

(9) სიტყვის სოციალური „პროექცია“ (მისი გენდერული, კლასობრივი, ჯგუფური, პროფესიული და ა.შ. მარკირება);

(10) სიტყვის იდეოლოგიური პროექცია.

ი. მ. კობოზევა არც თუ უსაფუძვლოდ აღნიშნავს, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი ასპექტი „შესაძლოა ასე თუ ისე ამოქმედებული იყოს, რათა დენოტირებული სიტუაცია მიწოდებული იყოს მოლაპარაკე პოლიტიკური სუბიექტისათვის ხელსაყრელი ინტერპრეტაციით მისთვის საჭირო ემოციური ფონის (ტონალობის) შექმნის მიზნით“ (Конищева, 2010:54). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს სწორედ „ცოცხალი“ მეტაფორების რელევანტურობა პოლიტიკურ დისკურსში, ვინაიდან დენოტატის აღნიშვნის ირიბი ხერხის არჩევა პროდუცენტის მიერ პირდაპირი მნიშვნელობის სასარგებლოდ და სიტყვათა შეთანხმების განზრახ დარღვევა არა მხოლოდ მატებს

პოლიტიკური კომუნიკაციას თავისებურებას, არამედ მეტყველებს მასზედ, რომ მონაწილეებს გააჩნიათ ურთიერთქმედების განსაზღვრული კომუნიკაციური მოტივები და განზრახვები, რომელთა რეალიზაცია ხორციელდება პრაქტიკაზე სწორედ ამ ოკაზიონალური, კონტექსტური „ცოცხალი“ (და არა უზუალური, ლექსიკალიზებული, უსიცოცხლო) მეტაფორების მეშვეობით. მათ გააჩნიათ მაღალი რიტორიკული პოტენციალი და პერსუაზიული ეფექტი.

თუმცა ენის სისტემისათვის რელევანტური კომპოზიციურობის პრინციპი იძლევა ენის სხვადასხვა ერთეულების კომბინირებით და მათი სემანტიკურად „მოულოდნელ“ კონტექსტში მოთავსებით ახალი უფრო რთული აზრების (მათ შორის პოლიტიკურ დისკურსშიც) გენერირების საშუალებას. ასეთივე სტაბილურობა ვარიაციულობასთან ერთად დამახასიათებელია კონცეპტუალური დონისთვისაც, რომელიც განაპირობებს მეტაფორულობასა და, შესაბამისად, პოლიტიკის ენის პრაგმატულ ეფექტურობას. პოლიტიკური მეტაფორის პრაგმატული ზემოქმედება განპირობებულია და იმართება მექანიზმებით, რომლებიც შედგება კოგნიტური მოდელებისა და სქემების სტაბილური და შეზღუდული ნაკრებისაგან (კონცეპტუალური მეტაფორებისაგან). ეს უკანასკნელი შეიძლება ინტეგრირებულ იყოს (თანაც ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ ბინარული, არამედ მრავლობითი კონცეპტუალური ინტეგრაცია) და ამით უზრუნველყოს უსასრულო ვარიაციული მეტაფორული რეპრეზენტაციების კონცეპტუალური საფუძველი, რომელიც ვერბალურად გამოიხატება პოლიტიკურ დისკურსში.

კონცეპტუალური მეტაფორის გამოყენება პოლიტიკის ენასთან მიმართებაში დაიწყო ჯორჯ ლაკოფის სტატიიდან მეტაფორების სისტემის შესახებ, რომელიც გამოყენებოდა ამერიკული ხელისუფლების მიერ 1991 წელს იმისათვის, რომ დაესაბუთებინათ გარდაუვალი სამხედრო შეჭრა ირანის ტერიტორიაზე. ეს სამუშაო იძლეოდა მუშაობის გაგრძელების სტიმულს პოლიტიკაში მეტაფორის შემდგომი შესწავლის საქმეში, რომელიც აქტიურად ვითარდება ჩვენს დროში.

როგორც ჯორჯ ლაკოფი აღნიშნავს, „ვინაიდან მეტაფორული გამოთქმა ენაში სისტემურად უკავშირდება მეტაფორულ კონცეპტს, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მეტაფორული ფრაზები მეტაფორული კონცეპტების შესასწავლად და ადამიანის

საქმიანობის მეტაფორული ბუნების გასაგებად (Lakoff & Johnson, 2004:25).

პოლიტიკური მეტაფორისათვის დამახასიათებელია კლასიფიცირებადი სახე და მისი სიმბოლოს ხარისხამდე აყვანილი განზოგადება, მოქმედი კულტურისა და ისტორიული სარჩულის ღრმა საინფორმაციო პლასტი და აგრეთვე მისი პოლიტიკური მოტივირება და ანტროპომეტრული აქსიოლოგიურობა (Козырева, 2013:144). იმ პირობებში, როდესაც საჯარო სიტყვა იძენს მაღალ მნიშვნელობას, მეტაფორა პოლიტიკოსისათვის აღმოჩნდება ის ინსტრუმენტი, რომლითაც ის ცდილობს არეგულიროს განწყობები საზოგადოებაში. შესაბამისად, პოლიტიკოსის მიერ გამოყენებული მეტაფორების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვალინოთ მისი ფარული განწყობა და მიზნები: როგორც აღნიშნავს ა. ნ. ბარანოვა გადაკეთებული ცნობილი გამონათქვამით „მიტხარი რა მეტაფორებს იყენებ და გეტყვი ვინ ხარ შენ“ (Баранов & Караулов, 1991:190).

პოლიტიკური დისკურსის ფუნქციონალური მეტაფორიკის გამოკვლევა მიზნად ისახავს ამა თუ იმ პოლიტიკური ძალების მიერ გამოყენებულ კონცეპტუალური მეტაფორების გამოვლენასა და ამ მეტაფორების ურთიერთკავშირების ანალიზს, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, იმ პოლიტიკური კურსის გამოვლენას, რომელსაც გაატარებენ და რომლისკენაც მოუწოდებენ შესაბამისი პოლიტიკოსები. შესწავლის საგანი ხდება პოლიტიკური პირების გამოსვლები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირებისა და მოძრაობების დოკუმენტები, პუბლიკაციები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ა.შ. აგრეთვე მრგვალი მაგიდები, ტელედებატების საუბრები, კანდიდატთა წინასაარჩევნო გამოსვლები და სააგიტაციო ლიტერატურა – მათ შორის მათში გამოყენებული მეტაფორების თვალსაზრისით.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში განიხილება ენობრივი ზემოქმედების საკითხთა მთელი კომპლექსი. კერძოდ კი, შეიმჩნევა რიტორიკის აღორძინება და მეტაფორის პოლიტიკასთან თავდაპირველი კავშირის აქტუალიზაცია პოლიტიკური არგუმენტაციის მეშვეობით.

პოლიტიკური მეტაფორების კვლევის ყველაზე ნაყოფიერი მიმართულება კოგნიტური ლინგვისტიკის სფეროში არის მეტაფორული მოდელირება და

მეტაფორული კონცეპტუალური ინტეგრაცია, ე.ი. მოცემული დისკურსისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა სირთულის მეტაფორული მოდელების წარმოდგენა, რომლებიც წარმოშობენ მოცემული დისკურსის მეტაფორიკას და მიეკუთვნება „დისკურსულ პრაქტიკებს“ (Баранов, 1991:45).

მოცემული პოლიტიკური მეტაფორების ბაზები მუდმივად ივსება. პოლიტიკური მეტაფორის კვლევის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ არსებობს მეტაფორების სიხშირისა, მათი სემანტიკური პარამეტრებისა და სისტემური კავშირების დამოკიდებულება საზოგადოებრივ კრიზისთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდამტეხ მნიშვნელოვან მომენტებთან და პოლიტიკურ პოზიციებთან, რომლებსაც იკავებენ დისკურსის მონაწილეები (Edelman, 1971:42). მაგალითად, აღინიშნება, რომ ექსტრემისტული დაჯგუფებების დისკურსი განსხვავდება მეტაფორების მაღალი კონცენტრაციით, მემარჯვენე რადიკალები უპირატესობას ანიჭებენ ავადმყოფობასთან, მკურნალობასთან და განწმენდასთან დაკავშირებულ მეტაფორებს (Zinken, 2004:69); რასისტულ და ტოტალიტარულ დისკურსებში ჭარბობს სამხედრო მეტაფორები (Баранов & Караулов, 1991:212), დემოკრატიასთან და ეკონომიკურ სტაბილურობასთან დაკავშირებულ დისკურსებში კი ჭარბობს სახლთან, ოჯახთან, ბუნებასთან დაკავშირებული მეტაფორები (Баранов & Караулов, 1991; Будаев, 2007; Чудинов, 2012; Musolff, 2007).

კერძოდ, როგორც ა. მუსოლფი მიგვითითებს თავის ნაშრომში, ევროკავშირის პოლიტიკურ დისკურსში, როგორც პოლიტიკოსთა სიტყვებში, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აქტუალიზირებულია დომენი *LOVE – MARRIAGE – FAMILY*-ის კონცეპტუალური სქემები, რომლებიც პრესის ენაში უზრუნველყოფენ ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის დამოკიდებულებების მეტაფორულ რეპრეზენტაციას (Musolff, 2007:43).

*An adviser to Chirac says the Franco-German marriage remains fundamental to French European policy; many Germans agree. So long as they stick to the marriage metaphor, this makes Tony Blair either lover or mistress / შირაკის მრჩეველი გამოთქვამს ვარაუდს, რომ საფრანგეთისა და გერმანიის კავშირი შეადგენს ევროპული პოლიტიკის ფუნდამენტს; გერმანელთა უმრავლესობა მხარს უჭერს ასეთ მოსაზრებას. ვიდრე ამ ორი*

*სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება იქნება „ცოლ–ქმრული“ მეტაფორის ფაგლებში, ტონი ბლერს მოუწევს დაკმაყოფილდეს საყვარლის ან ხარჭის როლით.*

მეტაფორული მოდელების ერთგვარი ტიპოლოგია, რომელსაც გარკვეულ სტრუქტურაში მოჰყავს პოლიტიკური დისკურსის კომუნიკაციური სივრცე, საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ კონცეპტუალური მეტაფორების საბაზო ტიპები, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ ანტროპომორფული, ბუნებრივი მორფული, სოციომორფული და არტეფაქტური მეტაფორები, რომელთაც მიეკუთვნება მეტამორფული მოდელების უფრო კონკრეტიზირებული ნაირსახეობები.

თანამედროვე კვლევების დიდი ნაწილი ეძღვნება პოლიტიკური დისკურსის უფრო ვიწრო ჭრილს, ან მეტაფორების კონკრეტულ ტიპებს, რომლებშიც კონცეპტუალიზირებულია სხვადასხვა პოლიტიკური კონცეფცია და მოვლენა. როგორც წესი, ამგვარი კვლევები ატარებენ კონტრასტულ, შეპირისპირებით ხასიათს, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოვავლინოთ არა მხოლოდ მეტაფორების კონცეპტუალური სტრუქტურა და მათი ვერბალიზაციის სპეციფიკა პოლიტიკური საქმიანობის დისკურსულ პრაქტიკაში, არამედ განვსაზღვროთ, როგორ ახდენენ ისინი გავლენას მასობრივი რეციპიენტების თვითშეგნებასა და პოლიტიკურ იდენტიფიკაციაზე კონკრეტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. მაგალითად, მ. პეტრიკამ თავის კვლევაში, რომელიც ეძღვნება მალტის ევოკავშირში გაწევრიანებისთან დაკავშირებულ პოლიტიკური დისკურსში გამოყენებულ მეტაფორიკას, კრიტიკული ანალიზის ქარ-ცეცხლში გაატარა აღნიშნული სახელმწიფო ინსტიტუტების მეტაფორული პერსონიფიციების შემთხვევები და დაასკვნა, რომ მათ ენიჭებათ გარკვეული ხასიათის თვისებები (სახელმწიფოს პორტრეტი), რომლებიც ასახავენ მათ ისტორიულ-კულტურულ პორტრეტს და აგრეთვე განხილვის საკითხთან დაკავშირებით ახასიათებენ მათ პოლიტიკას. გარდა ამისა, მსგავსი კვლევების მსვლელობისას მიღებული შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებენ თეზისს მეტაფორის მნიშვნელოვანი როლის შესახებ, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედებისა და პოლიტიკურ დისკურსში პრობლემური სიტუაციის გადალახვის ინსტრუმენტზე (ბუდაევი და Чудинов, 2007:176). დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის მდგომარეობა, რომ

მეტაფორა არის კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც მიეკუთვნება სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები (Koller, 2002:2).

პოლიტიკურ მეტაფორიკაში მეტაფორის სისტემური აღწერის საკმაოდ გავრცელებული მეთოდია პოლიტიკურ ტექსტებში მეტაფორული ექსპანსიის ფრეიმული წარმოდგენა ფრეიმისა და მისი შემადგენელი სლოტების კონსტატაციით. კვლევის საწყის წერტილად შეიძლება მიიჩნეს, როგორც წყარო სფერო, ასევე მიზნის სფერო.

თუმცა გლობალური მაშტაბის ზოგიერთი მოვლენის მეტაფორული მოდელირების დროს, რომელიც აისახება პოლიტიკურ დისკურსში (მაგალითად, საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტი ან ეკონომიკური კრიზისი), ფრეიმული აღწერა ყოველთვის როდი არის ადეკვატური, ვინაიდან მასში რთულადაა ასახული კონკრეტული პოლიტიკური ნიშანდობლივი მოვლენის დინამიკა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოგნიტური ფუნქციის გარდა მეტაფორა კიდევ არის ზემოქმედების მძლავრი იარაღი და პოლიტიკური დისკურსის ტექსტებში ასრულებს რიტორიკულ და არგუმენტულ ფუნქციას. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მეტაფორის ეს თვისება ვლინდება პოლიტიკოსთა ინაუგურაციის სიტყვაში და სხვადასხვა კონფლიქტურ სიტუაციებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიქმნება მოლაპარაკე სუბიექტების პოლიტიკური ურთიერთობისას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. ასე, მაგალითად, ირანის პრეზიდენტი მახმუდ ახმადინეჟადი თავის განცხადებებში ისრაელის პოლიტიკის შესახებ ღაზას სექტორთან მიმართებაში რეგულარულად გამოიყენებდა მორბიალურ მეტაფორას და წარმოადგენს ისრაელს, როგორც „ავთვისებიან სიმსივნეს“, რომლის მოშორება არის აუცილებელი. ამგვარმა განცხადებებმა არაერთხელ გამოიწვია კრიტიკა დასავლურ მედია საშუალებებში, რომლებიც თვლიან, რომ ირანელი ლიდერის მიერ განცხადებული პოზიცია წარმოადგენს ირანული რეჟიმის საერთაშორისო იზოლაციის საბაზს (Fauconnier, 2004:45).

პოლიტიკური დისკურსის პრაგმატიკის ჩამოყალიბების პროცესში კონცეპტუალური მეტაფორის რელევანტურობა კიდევ ერთხელ დადასტურდა 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ბარაკ ობამასა და მიტა რომნის



სიტყვების მასალაზე წინასაარჩევნო დისკურსის შეპირისპირებით კვლევებში. მიღებული შედეგების საფუძველზე ავტორები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ დისკურსის პროდუცენტების კომუნიკაციური ინტენციების ინტერპრეტაცია დამოკიდებულია პოლიტიკოსთა სიტყვებში გამოყენებული გარკვეული კონცეპტუალური მეტაფორული მოდელების რეკურენტულობის ხარისხზე. გამოვლინდა, რომ პოლიტიკური დისკურსი აგონალურია თავისი ბუნებით და ამიტომ პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო პოლემიკასა და მათ მიმართვებში ელექტორატთან ჭარბობს სივრცითი-დინამიკური მეტაფორა, რომელიც წარმოადგენს კანდიდატის მიერ არჩეულ პოლიტიკურ კურსს. ის იყენებს მილიტარულ და სპორტულ მეტაფორებს, რომელთა მეშვეობით აუდიტორიას აწვდის იდეას ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის გაბედულობისა და თავგანწირვის შესახებ დასახული მიზნების მისაღწევად, იდეას პოლიტიკური ურთიერთქმედების შეჯიბრებითი ბუნების შესახებ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებს შორის და იდეას ოპონენტებზე მათი უპირატესობის შესახებ, რომელიც მათ გამარჯვების საშუალებას აძლევს (Пескова, 2006:12).

არანაკლებ საინტერესოა პოლიტიკური მეტაფორის კვლევის შედეგები ისტორიულ დისკურსში, რომელიც განიხილავს სხვა პოლიტიკური პერიოდებისთვის დამახასიათებელ მეტაფორებს. მათში არა მხოლოდ დასტურდება პოლიტიკის ენისათვის დღესაც დამახასიათებელი „არქეტიპი“ მეტაფორების კრებულის სტაბილურობა (Rash, 2006:57), არამედ მისი, როგორც ძირითადი რიტორიკული „იარაღის“ სტატუსი პოლიტიკური იდეებისა და შეხედულებების წამოწვევის ან განხილვის დროს.

თვალსაჩინოებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითად მესამე რაიხის ხელმძღვანელების სისტემატიური ექსტრემისტული განცხადებების ისტორიულად აღიარებული ფაქტი ებრაელებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების მისამართით, რომლებიც არ შეესაბამებოდა მსოფლიოს მოწყობის მათ უდიდეს ჩანაფიქრს. შედეგად ასეთი „მძვინვარე რიტორიკის“ პრაქტიკამ აამოქმედა ებრაელი მოსახლეობის დეჰუმანიზაციის მექანიზმი ნაცისტური გერმანიის მოქალაქეთა შეგნებაში, რაც შედგომში მივიდა ებრაელთა და ადამიანთა რასის სხვა

„არასრულფასოვანი“ წარმომადგენლების გენოციდამდე. ამგვარად, მკვლევართა ნაწილი, რომლებიც დაკავებულნი არიან აღნიშნული პრობლემით, ამტკიცებენ, რომ ნაციტურმა ან სხვა ექსტრემისტულად ორიენტირებულმა პოლიტიკურმა დისკურსმა შეიძლება ჩამოუყალიბოს აუდიტორიას ისეთი პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც შემდგომში განავითარებს ფაშისტურ, ქსენოფობიურ ან სხვა შოვინისტურ ტენდენციებს საზოგადოებაში, რომელთაც თან მოჰყვება სერიოზული შედეგები.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მწვავედ დგას პოლიტიკურ კომუნიკაციის საკითხი, რომლის ერთ–ერთი შესაძლო გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს პოლიტიკური რიტორიკის ღრმა პრაგმატული, სემანტიკური და ფსიქოლოგიური ანალიზი ფართო თეორიული ბაზისა და ადეკვატური მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამგვარი მიდგომა ამ პრობლემისადმი საშუალებას გვაძლევს გამოვავაშკარავოთ მოლაპარაკე პოლიტიკური სუბიექტების ჭეშმარიტი კომუნიკაციური ინტენციები და პასუხი ვაგებინოთ დანაშაულებრივი განცხადებებისათვის (Musolff, 2006:134).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კონცეპტუალური სტრუქტურისა და სემანტიკური დიფერენციაციისა, პოლიტიკური მეტაფორა ატარებს პრაგმატიკულ დატვირთვას, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვის ზემოქმედებას ადრესატზე იმ მიზნით, რომ ჩამოუყალიბოს მას დადებითი ან უარყოფითი აზრი პოლიტიკაზე, პოლიტიკურ პარტიასა თუ პოლიტიკურ მოვლენაზე. შესაბამისად, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ პოლიტიკურ დისკურსულ სივრცეში მეტაფორის მეშვეობით ხორციელდება სიტყვის წარმოქმნის ორი ძირითადი სტრატეგია: 1. დისკრედიტაციის სტრატეგია და 2. განდიდების (ან გამართლების) სტრატეგია (Михалева, 2005:78). მეტაფორა არის საკვანძო ფაქტორი, რომელიც ააქტიურებს ზემოქმედების, დარწმუნებისა და არგუმენტაციის მექანიზმს პოლიტიკურ დისკურსში. ის „განიხილება, როგორც ემოციური ზემოქმედებისა და დარწმუნების უტყუარი საშუალება და ეს რაკურსი აქტუალურს ხდის არგუმენტაციით გამყარებული მეტაფორის პოლიტიკასთან თავდაპირველ კავშირს“ (Пескова, 2006:159).

წარმოდგენილი ანალიტიკური მიმოხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიტიკური კომუნიკაციის მეტაფორული მოდელები არ კარგავენ თავიანთ აქტუალობას არა მხოლოდ ახალი მოსაზრების წარმოების ასპექტში მისი ვერბალიზაციის პროცესში, არამედ რჩება, როგორც ძლიერი კომუნიკაციური ზემოქმედების ინსტრუმენტი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური დისკურსის სხვა პროდუცენტების ხელში. შესაბამისად, მეტაფორა არის პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტი, ვინაიდან ის ემსახურება პოლიტიკოსთა საუბრისათვის დამახასიათებელ სხვადასხვაგვარი იმპლიკაციის დეკოდირებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პოლიტიკური პრობლემების ანალიტიკურ მიმოხილვას. მეტაფორები შეიძლება იყოს არა მხოლოდ პოლიტიკური კონტენტის ინტერპრეტაციის შექმნის საშუალება და გასაღები, არამედ ისინი ასრულებენ აგრეთვე პერსუაზიულ ფუნქციას და უყალიბებენ ადრესატს გარკვეულ ფასეულობით ორიენტირებასა და სოციალურ უპირატესობებს, რაც საბოლოოდ, ხელს უწყობს მისი პოლიტიკური იდენტურობის დამკვიდრებას.

## 2.4. მეტაფორის და მეტაფორული მოდელების პოლიტიკურ მედიადისკურსში გამოყენების სემანტიკურ-პრაგმატიკული და ლინგვოკუტუროლოგიური საფუძვლები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინი დისკურსი ორ ცნებას მოიცავს: დისკურსი, როგორც ტექსტი, გააქტიურებული განსაზღვრულ ვითარებაში (დისკურსია) და დისკურსი, როგორც დისკურსიული პრაქტიკა. დისკურსში აისახება როგორც ეროვნული, ზოგადი, ისე ინდივიდუალური, პირადი მენტალიტეტი და კულტურა. პოლიტიკური დისკურსი „ყველა თხრობითი აქტის ერთობლიობაა, რაც გამოიყენება პოლიტიკურ დისკუსიებში“ (Миронова, 1997:55). სოციალური რეალობის ძირითადი ნაწილი გამოიხატება საბაზისო მეტაფორებით, რომლებიც კონკრეტული სოციუმის მიერ არის აღიარებული და მიღებული.

ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის შრომებში ნათლად ჩანს, რომ „მეტაფორა იჭრება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამავე დროს, არა მხოლოდ მეტყველებაში, არამედ აზროვნებასა და მოქმედება“ (Земская, 1996:387). მათმა ნაშრომმა, „მეტაფორები, რომლებითაც ვცოცხლობთ“, ლინგვისტები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ადამიანის შემეცნებითი სისტემა მეტაფორულია.

ლაკოფი და ჯონსონი განიხილავენ მეტაფორას **კამათი-ომი** იმის საჩვენებლად, თუ რა დიდ გავლენს ახდენს ადამიანის საქმიანობაზე მეტაფორული ცნება. ეს კონცეპტუალური მეტაფორა აგებულია ყოველდღიურ საუბარში ხშირად გამოყენებულ გამონათქვამებზე. ამ დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჩვენ კამათის შესახებ ვსაუბრობთ ომის მახასიათებელი ტერმინებით, არამედ ისიც, რომ ოპონენტს აღვიქვამთ, როგორც მოწინააღმდეგეს, ვუტევთ მის პოზიციას და ვიცავთ ჩვენსას, შეიძლება მოვიგოთ ან წავაგოთ ამ ბრძოლაში. „ბევრი რამ კამათის პროცესში მოიაზრება ომის დამახასიათებელი ტერმინებით“ (Земская,1996:388). იმ კულტურის მატარებელი ხალხი, სადაც შეჯიბრი-ცეკვა არის საბაზისო მეტაფორა, კამათს აღიქვამენ, როგორც პარტნიორების ჰარმონიულ და ლამაზ მოძრაობას. მეტაფორები ერთი ცნების განმარტებას იძლევიან მეორე ცნების დამახასიათებელი ნიშნებით. თუმცა „მეტაფორების რეალური აღქმა მოცემულ შემთხვევაში არა

განზოგადებულ, არამედ კერძო ხასიათს ატარებს“ (Земская, 1996:395). მეტაფორა გვეხმარება აღვიქვათ კონკრეტული ცნება, მაგრამ შესაძლოა ამ ტიპის აღქმით მან დაჩრდილოს მოცემული ცნების სხვა ასპექტები: ოპონენტის მტრად აღქმა, კამათის დროს თანამშრომლობის და საერთო აზრამდე მისვლის გამორიცხვა.

მაორიენტებელი მეტაფორის შემთხვევაში ხდება ცნებების მთელი სისტემის განმარტებები სხვა სიტემის ტერმინებით. მაგ.: „ხელისუფლების ან ძალის ფლობა ნიშნავს ზეასვლას, ძალის დამორჩილება - დამდაბლება და უკუსვლა“ (Земская, 1996:396).

ფიზიკურ ობიექტებთან დაკავშირებული ცდების მონაცემებზე დაყრდნობით წარმოიქმნა ონტოლოგიური მეტაფორები. ანუ მოვლენა, ქმედება, ემოცია, იდეა ხასიათდება, როგორც საგანი და მატერია. მაგალითად, ინფლაციაზე, როგორც დამოუკიდებელ არსზე წარმოდგენა გვაძლევს საშუალებას, მასზე ვიმსჯელოთ, დავახასიათოთ რაოდენობრივად, გამოვყოთ მისი ესა თუ ის ასპექტი, გავითვალისწინოთ ჩვენს სამომავლო გეგმებში და წარმოვიდგინოთ, რომ ვიცნობთ მის თვისებას.

ამგვარად, მეტაფორა გვიქმნის წარმოდგენას აბსტრაქტულ ცნებებზე, ბუნებრივად და ღრმად იჭრება ჩვენს აზროვნებაში და წარმოგვიდგება „როგორც ამ ცნების ხილული, შინაგანი სამყაროს აღწერა“ (Земская, 1996:412). ამავე დროს, მეტაფორა განსაზღვრავს აზროვნების მეთოდს, მოვლენების აღქმას, გარკვეულ ენაზე მოსაუბრე ხალხის ქცევას.

ყოველივე ჩამოთვლილის წყალობით მეტაფორა მონაწილეობს ტექსტის განვითარებაში. იდეოლოგიზებული ტექსტის შექმნა კონცეპტუალური მეტაფორების დახმარებით აღწერილია ე. ლასანის მონოგრაფიაში (Земская, 1996:43). მკვლევარი ეთანხმება იდეას დისკურსის ოპოზიციური აგებულების შესახებ, რადგან ის დაკავშირებულია ანტითეზურ აზროვნებასთან და განიხილავს ტექსტის გაშლას შედარებით მარტივიდან რთულ სტრუქტურებამდე.

პირველი დონის საფუძველს წარმოადგენს შემეცნების ბინარული ოპოზიციები. ტექსტში ოპოზიციების აღმოჩენა ემყარება სოციოლოგიური კონტენტ-ანალიზის პრინციპს: ტექსტში რაიმე არსის მნიშვნელობა კორელირდება დისკურსში მისი

ხსენების რაოდენობით. ოპოზიციების არსებობის დადგენა შეიძლება „იმ შემთხვევაში, როცა მასში საკმაოდ ხშირადაა ნახსენები ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებები“ (Земская, 1996:44).

ტექსტის ჩამოყალიბების მეორე ეტაპი არის კონცეპტუალური მეტაფორებით შემეცნებითი ოპოზიციების წარმოდგენა. რადგან ბინარული ოპოზიციები შედგება აბსტრაქტული ცნებებისაგან, „რომლებმაც ხორცი უნდა შეისხან, მასისთვის გასაგები ენით უნდა იყვნენ ახსნილი, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, აკეთებს მეტაფორა“ (Земская, 1996:47).

საბაზისო მეტაფორები განსაზღვრავენ ქმედებებს: დრო აღიქმება, როგორც რესურსი, რასაც სჭირდება მოფრთხილება და გონივრული ხარჯვა.

კონცეპტუალური მეტაფორა წინასწარ ახასიათებს მოქმედ პირებს. ისინი იღებენ შესატყვის სახელწოდებებს. ტექსტში, სადაც საბაზისო მეტაფორა არის მშვიდობა-ჩნდებიან „მტრები, მოღალატეები, ომის გამჩაღებლები“, ანუ მოსაუბრე ენობრივ საშუალებებს იყენებს მეტაფორის გავლენით. მესამე ეტაპზე საქმეში ერთვება ტექსტის შექმნის რიტორიკული მექანიზმები.

ელეონორა ლასანი ნომინაციების წარმოქმნის პროცესს განიხილავს, როგორც შემეცნების საწყისი სტრუქტურების გადასვლას კონკრეტული ტექსტის სტრუქტურებამდე. მეტაფორებით განსაზღვრული ნომინაციები ასტიმულირებენ მათ შესაბამის ფრეიმებს. მაგ. ფრეიმი „მტერი“-ხდება მასთან დაკავშირებული წარმოდგენის ვერბალიზაცია. პოლიტიკურ ტექსტში პირის მოქმედება შეიძლება აღწერილი იქნას „კაზუალური ფრეიმით“. ასეთი ფრეიმი შეიცავს 5 სლოტს (ფრეიმის შემადგენელი ნაწილები):

- |   |                             |
|---|-----------------------------|
| 1) სუბიექტი, მისი დახასიათება                   | <i>მტერი, ვერაგი</i>        |
| 2) სუბიექტის მიზნები, ღირებულებები, დახასიათება | <i>ზურგში დავარტყათ</i>     |
| 3) გამეორებები, დახასიათება                     | <i>იდეოლოგიური ბრძოლები</i> |
| 4) მოქმედებები, დახასიათება                     | <i>თავისიანებს ესვრის</i>   |
| 5) მოქმედების შედეგი, დახასიათება               | <i>საბჭოთა ხალხის</i>       |

*სამართლიანი განრისხება გამოიწვია* (Лассан, 1995:?).

თითოეული სლოტის ცალკეული ელემენტის დახასიათებას მივყავართ

სუბიექტის, როგორც მტრის, წარმოდგენამდე. ამოირჩევა არა დენოტაციური მნიშვნელობის ენობრივი ერთეულები, არამედ ის სიტყვები, რომლებიც წარმოგვიდგენენ სუბიექტს და მასთან დაკავშირებულ ყველაფერს, შესატყვისს იმ შეფასებისას, რასაც მოცემულ შემთხვევაში იწვევს სიტყვა „მტერი“.

ელეონორა ლასანი ტექსტის ჩანაფიქრს ადარებს იდეის ბინარულ ოპოზიციას, რადგან ორატორი მოვლენას აფასებს მის ცნობიერებაში არსებული აზრობრივ-შეფასებითი თვალთახედვით, ხოლო აზრს - სცენარ-მეტაფორას, რომელშიც კონცენტრირებულია ყველაფერი, რაც შემდეგ სინაგმატიურად გაიშლება ტექსტში.

ლასანის მიერ აღწერილი ბინარული ოპოზიციები ავსებენ ფაქტორებს, რომლებსაც აღწერენ მკვლევარები ვიქტორ პეტრენკო და ოლგა მიტინა. ამ ფსიქოლოგებმა 1994-95 წლებში ჩაატარეს კვლევები ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. ფსიქოსემანტიკისა და სუბიექტის მიერ აღქმული სამყაროს სურათის რეპრეზენტაციის ერთდროულ ფორმას წარმოადგენს სუბიექტურ-სემანტიკური სივრცეების აგება. გამოსაცდელი პირი ახდენს მისთვის მიცემული მასალის შეფასებას, შკალირებას და ასოცირებას. მოცემულობებით შექმნილი მატრიცა გამოსაკითხი პირის საკუთარი გამოცდილებისა და შეხედულებების ანარეკლია. მატრიცაში გამოყენებული ფაქტობრივი ანალიზი საშუალებას იძლევა ურთიერთკავშირში არსებული ნიშნების ერთობლიობის გამოყოფის და შემდეგ კატეგორიებად (ფაქტორებად) დაყოფის საშუალებას. ფაქტორები შეიძლება შევადაროთ კოორდინატთა წრფეებს, თუ გეომეტრიულად წარმოვიდგენთ სემანტიკურ სივრცეს. ფაქტორები სუბიექტის მიერ გარემომცველი სამყაროს გააზრების საშუალებას წარმოადგენენ. რესპოდენტების აზრით, საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საზოგადოების დემოკრატიზაცია-ტოტალიტარიზმი, ზნეობა-უზნეობა და ეკონომიკური მიზანშეწონილობა და მიზანშეუწონლობა.

ყურადღებამისაქცევია, რომ ანატოლ ბარანოვი საზოგადოებრივ ცნობიერებაში გამოჰყოფს მკვეთრად საწინააღმდეგო ფასეულობების ორ პოლუსს, რომლის ერთ მხარეზე არის სამართლიანობისა და თანასწორობის კატეგორიები, ხოლო მეორეზე - კონცეპტი თავისუფლება. სამართლიანობის დომინანტური მდგომარეობა აიხსნება მითოლოგიების: მტრის სახე, წესრიგი, რწმენა, პატერნალიზმი - აქტუალურობით. ტექსტებში მითოლოგიები მეტაფორების სახით გამოიხატება (Баранов, 1990).

### III თავი - კონცეპტუალური მეტაფორა თანამედროვე პოლიტიკურ მედიადისკურსში

#### III.1. კონცეპტუალური მეტაფორა და მეტაფორული მოდელირება

ტრადიციულად, მეტაფორა განიხილება, როგორც რეპრეზენტაციის ლიტერატურული ხერხი. თუმცა, თანამედროვე ლინგვისტიკა განსხვავებულად ხედავს მეტაფორის არსს, გვთავაზობს რა აზრს, რომ ადამიანის ყოველდღიური ვერბალური აქტივობა მეტაფორულია (Reddy, 1979:34). მეტაფორა, როგორც კოგნიტური მოვლენა, პოპულარობას იხვეჭს 1980-იანების დასაწყისში (Gibbs, 1994; Lakoff, 1987; Lakoff & Johnson, 1980). კოგნიტური თვალსაზრისით, მეტაფორა აორგანიზებს ჩვენს გამოცდილებებსა და ყოველდღიურ რეალობებს; ამგვარად, მეტაფორაში აირეკლება ადამიანის აზროვნება და კონცეპტუალური სისტემა (Lakoff & Johnson, 1980:8). როგორც ვხედავთ, კოგნიტური თეორეტიკოსები თვლიან, რომ მეტაფორა უფრო აზროვნების მახასიათებელია, ვიდრე ენის. ამიტომ, მეტაფორა წინადადება კი არ არის მისი ტრადიციული გაგებით, არამედ ის ერთი საგნის გაგება და აღქმა მეორე საგნის საშუალებით (Lakoff & Johnson, 1980:19). ამ შეხედულებამ მეტაფორის ტრადიციული აღქმა გამოწვევის წინაშე დააყენა (Kovecses, 2010:5). ჩვენი შეხედულებითაც, მეტაფორა ადამიანის ტვინის კოგნიტური მექანიზმია, რომელიც ენისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

ტრადიციულად, ლინგვისტური მეტაფორა შედგება ორი ნაწილისგან *tenor* - შედარების ობიექტი და *vehicle* - მეტაფორის ღერძი (Richards, 1936:9), რომლებიც ლაკოფის და ჯონსონის მიერ დამკვიდრებული კონცეპტუალური მეტაფორის სამიზნე და წყარო დომენებს შეესაბამება. აღსანიშნავია, რომ კოგნიტური სემანტიკისთვის რალაცის ცნება ან კონცეპტი გონებაში განცალკავებული, დამოუკიდებელი სახით კი არ არსებობს, არამედ ის ასოცირდება ადამიანის თანმიმდევრულად ორგანიზებული გამოცდილების სქემასთან და ცოდნასთან, რასაც კონცეპტუალური დომენი ეწოდება (Langacker, 1987:34; Lakoff, 1987:31). კონცეპტუალური მეტაფორა კი შედგება სამიზნე და წყარო დომენებისგან (“target and source domains”). ტრადიციული ტერმინები ვერ



ხსნიან ურთიერთებას მეტაფორის ნაწილებს შორის, მაშინ, როდესაც კოგნიტური თვალსაზრისით წყარო დომენის საშუალებით ხდება სამიზნე დომენის ახსნა, კონცეპტუალიზაცია (Kovecses, 2010:4). მაგალითისთვის განვიხილოთ ლინგვისტური მეტაფორა „You are wasting my time“, სადაც ლექსიკური ერთეული „time“ არის შედარების ობიექტი, ხოლო „wasting“ არის მეტაფორის დერმი, რადგან ის „დროს“ მიაჩნებს ისეთ თვისებას, როგორცაა „ხარჯვა“. აღნიშნული კი ძირითადი მნიშვნელობით შეეხება ლექსიკურ ერთეულს „ფული“, კონტექსტუალური მნიშვნელობით კი ეს თვისება მიენიჭება „დროს“, რის გამოც გამოთქმა მეტაფორულია. ლაკოფის და ჯონსონის კოგნიტური სქემის მიხედვით „დრო“ არის სამიზნე დომენი (აბსტრაქტული კონცეპტი), რომელიც აიხსნება კონკრეტული წყარო დომენით „ფული“. შედეგად ვიღებთ კონცეპტუალურ მეტაფორას დრო ფულია (გულიაშვილი, 2017:7).

კონცეპტუალური მეტაფორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ენის იდენტობის ჩამოყალიბებაში. ჯორჯ ლაკოფის და მარტინ ჯონსონის თეორიის წყალობით, მეტაფორა განიხილება უპირველეს ყოვლისა, როგორც შემეცნებითი ფენომენი, როგორც აზროვნების გზა, როგორც მექანიზმი, რომელიც მუდმივად იმყოფება ჩვენს ცნობიერებაში. ჯორჯ ლაკოფმა დაამტკიცა, რომ რეალობის ფიგურალური ხედვა გამოხატულია მეტაფორული კონცეპტუალური სისტემების ენაზე, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ განუსაზღვრელი აბსტრაქტული კონცეფცია ან ფენომენი გასაგები, კონკრეტული გამოსახულების საშუალებით (Lakoff & Johnson, 2003). მეტაფორული კონცეპტუალური სისტემები შეინიშნება პოეზიის ენაში, მეცნიერებაში, ლიტერატურულ რომანებში, ასევე პოლიტიკისა და გაზეთების ენაში. ახალი, შემეცნებითი პარადიგმის დანერგვით, მეტაფორა განიხილებოდა, როგორც შემეცნებითი პროცესის შედეგი, „როდესაც აზრები ურთიერთქმედებენ ერთი სიტყვის ან გამოთქმის ფარგლებში და ქმნიან მნიშვნელობას, რომელიც სწორედ ამ ურთიერთქმედების შედეგია (Lakoff & Johnson, 2003:12).

მეტაფორიზაცია განსხვავდება „ჩვეულებრივი“ ლიტერატურული ენის ფენომენისგან მრავალი თვალსაზრისით. ეს პრობლემა ბევრმა ენათმეცნიერმა

გამოიკვლია. ზოგიერთი ავტორი წარმოადგენს მეტაფორიზაციის პროცესს, როგორც მექანიზმს, პირდაპირი და ტრანსფერული მნიშვნელობების ორგანოზომილებიან აღქმას, რომელიც გამოიხატება ფიგურალურ მეტაფორაში, თითქოს ეს არის ორი სურათის ერთდროული ხედვა (Арутюнова, 1990:36). სხვა მკვლევრები მეტაფორის ფუნქციონირებას განმარტავენ, როგორც ფილტრის მუშაობას, რომელიც ანათებს სქემის შესაბამის ინფორმაციას და ფარავს ინფორმაციას, რომელიც არ შეესაბამება მას (Reddy, 1980:21). იმისდა მიუხედავად, რომ ზოგიერთი მკვლევარი აგრძელებს მტკიცებას, რომ ტერმინი „მეტაფორა“ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ენობრივ სისტემაზე, მკვლევართა უმეტესობა ყურადღებას ამახვილებს მის შემეცნებით, კონცეპტუალურ ასპექტზე. ეს აზრი ყველაზე მკაფიოდ გამოხატეს ჯორჯ ლაკოფმა და მარტინ ჯონსონმა. ისინი განიხილავენ მეტაფორის არსს ერთი ფენომენის მეორის თვალსაზრისით გააზრებასა და აღქმაში. ამ შემთხვევაში, ფენომენი ცალ-ცალკე ვერ იქნა აღქმული, როგორც მეტაფორისადმი ტრადიციული მიდგომის შემთხვევაში. ის უნდა განიხილებოდეს როგორც ხილული რეალური სამყაროს განუყოფელი სურათი, რომელიც გამოიყენება მოცულობითი და მრავალგანზომილებიანი აბსტრაქტული ფენომენის წარმოსაჩენად და გასაგებად. ასე, მაგალითად, კაპიტალის მოძრაობა ფინანსურ სფეროში შეიძლება შეფასდეს სითხის ნაკადის მიხედვით - კაპიტალის შემოდინება/გადინება, ფინანსური ინექციები. ლაკოფი და ჯონსონი ამტკიცებენ, რომ ყველა მეტაფორა არის სტრუქტურული, რადგან ისინი ასახავენ სტრუქტურებს სტრუქტურებში, და ონტოლოგიური, რადგან ისინი ქმნიან სამიზნე დომენის ერთეულებს, და ამავე დროს, ბევრი მათგანი ორიენტაციურია. ონტოლოგიური მეტაფორები წარმოდგენილია მოვლენებში, ქმედებებში, ემოციებში, იდეებში და ა.შ. როგორც არსებული არსება ან სუბსტანცია. ორიენტაციის მეტაფორებს აქვთ სივრცითი ორიენტაცია. ჯორჯ ლაკოფისა აზრით, კონცეპტუალური მეტაფორების უმცირესი ჯგუფებია ფიგურალური მეტაფორები, რომლებიც წარმოიქმნება ნიმუშის შესატყვისი გზით და არა მნიშვნელობის ერთი სფეროდან მეორეში გადატანით (Lakoff, 1989:50).

თანამედროვე კვლევებში ასევე არსებობს სამი სხვა ტიპის მეტაფორა: სახელობითი, ფიგურალური და შემეცნებითი (Арутюнова, 1990:78). მეტაფორების

შექმნის შემეცნებითი მიდგომა აღწერილია, როგორც სამგანზომილებიანი რთული პროცესი, რომელიც შედგება ზედაპირული ენის, სემანტიკური და შემეცნებითი პროცესებისგან. ცალკე აღებული ეს პროცესები არ იძლევა გამოსახულების შექმნის მექანიზმის სრულ ახსნას, ხოლო თანმიმდევრულად გამოყენებისას მათ შეუძლიათ წარმოაჩინონ იგი როგორც ენის უფრო რთული ფენომენი და როგორც ადამიანის შემეცნების კომპონენტი.

კონცეპტუალური მეტაფორის როლის შესწავლისას ენასა და კოგნიტურ პროცესებში, დევიდ ოლბრიტონი ამტკიცებს, რომ კონცეპტუალური მეტაფორები ქმნიან სპეციალურ საინფორმაციო სტრუქტურებს, რომლებიც აგროვებენ ინფორმაციას და განსაზღვრავენ მის წარმოდგენას მეხსიერებაში (Allbritton, 1994:45). ის ამ სტრუქტურებს მეტაფორაზე დაფუძნებულ სქემებს უწოდებს. მაგალითად, კონცეპტუალური მეტაფორა „დანაშაული დაავადება“, არ არსებობს სრულ იზოლირებულად, მაგრამ წარმოქმნის საინფორმაციო ბლოკების სერიას, რომლებიც ქმნიან მთლიან შინაარსობრივ ჯაჭვს. ჩვენს გონებაში წარმოიქმნება დამატებითი ინფორმაცია ამა თუ იმ ფენომენის შესახებ მის მიმართ პირდაპირი მიმართვისა და მისი ფრთხილად შესწავლის გარეშე. მაგალითად, მეტაფორულად, დანაშაულის ცნების წყარო შეიძლება იყოს პროგნოზირებადი, დანაშაულის აღმოფხვრა და ა.შ. მეტაფორული სქემები ასრულებენ ინფორმაციის მოთხოვნის სისტემატიზაციის ფუნქციას (Black, 1962:12).

კონცეპტუალური მეტაფორები შესაძლოა არ ასახავდეს ჩვენს ტვინში არსებულ ნაწილებს შორის არსებულ კვეთებს, რომლებიც წარმოდგენილია გრძელვადიან მეხსიერებაში. პირიქით, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ასეთი კვეთა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მეტაფორული აღქმის პროცესში. მისი აღქმისთვის ჩვენი გონება ქმნის კატეგორიებს, რომლებსაც მეტაფორული თემა შეიძლება დაერთოს. ამ თვალსაზრისით, მეტაფორები, როგორებიცაა: „დანაშაული დაავადება“, „სიყვარული გრძელი მოგზაურობა“ არ საჭიროებს სპეციალურად ორგანიზებულ ცოდნას, არამედ „დანაშაულის“ და „სიყვარულის“ ცნებების გაგების გზას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ტექსტის კითხვისას და ამ მეტაფორების გამოყენებისას.

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ივსება ყოველდღიურად ენა მეტაფორებით, რაც ხშირად შეუმჩნეველია. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კონცეპტუალური მეტაფორის მაგალითია „არგუმენტი არის ომი“. ეს მეტაფორა აყალიბებს ჩვენს ენას იმგვარად, თუ როგორ განვიხილავთ არგუმენტს, როგორც ომს თუ როგორც ბრძოლას, რომელიც უნდა მოიგო. არც თუ ისე იშვიათია მოისმინო ნათქვამი: "მან მოიგო ეს არგუმენტი" ან "კამათისას ყველა სუსტ წერტილში დავესხი თავს". არგუმენტი გარდა ბრძოლისა მრავალი სხვა გზითაც ჩანს, მაგრამ ჩვენ ვიყენებთ ამ კონცეფციას, რათა ჩამოვყალიბოთ ჩვენი აზრი არგუმენტზე და იმ გზაზე თუ როგორ მივდივართ არგუმენტამდე (Dvalidze&Shavladze, 2013).

მეტაფორიზაცია აუდიტორიაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზაა. კონცეპტუალური მეტაფორის გამოყენება პოლიტიკურ ტექსტში არ არის მხოლოდ ძლიერი მექანიზმი, რომელიც აღწევს ცნობიერებაში. ის ასევე საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ადამიანის ცნობიერება და შევცვალოთ იგი. ტრადიციულად ითვლება, რომ კონცეპტუალური მეტაფორის გამოყენება გამოსახულების შესაქმნელად ყველაზე მომგებიანი და ეფექტური გზაა, რადგან ამ ფენომენებს არ გააჩნიათ რაიმე შესაბამისი გამოხატვის სპეციალური ენობრივი რეჟიმი. ამ შემთხვევაში, მეტაფორა ხდება საქმიანობის ერთი სფეროს აღწერა სხვა სფეროს ენობრივი ხელსაწყოების საშუალებით. მკვლევრები ხშირად ადარებენ მასმედიაში კომუნიკაციის მეტაფორული ხერხის ეფექტურობას ფსიქოთერაპიული სესიის ეფექტურობას. როგორც მასმედიის სფეროში, ასევე ფსიქოთერაპიულ სესიაზე მთავარი მიზანია პრაგმატული ზემოქმედების უზრუნველყოფა, რათა წარმოდგენილი ინფორმაციის თითოეული მეტაფორული ელემენტი იყოს გასაგები და ინტერპრეტირებული ავტორის საკუთარი სამყაროს მოდელით. თუ ფსიქოთერაპიული სესიის შემთხვევაში თერაპევტი პერიოდულად ადარებს კლიენტის პრობლემის ინტერპრეტაციას თავად კლიენტის ინტერპრეტაციას, მედიაზე გავლენის შემთხვევაში, ეს არის მკითხველის გონებაში არსებული მეტაფორული კონცეფციის შედარება, როდესაც ავტორი ცდილობს მკითხველში გენერირებას. ამ ურთიერთქმედების შედეგად მკითხველი ხშირად იცვლის თვალსაზრისს და მისი ინტერპრეტაცია ემსგავსება ჟურნალისტის ინტერპრეტაციას. ამ მხრივ ფენომენს

ეწოდება სხვისი გამოცდილების ხელახალი ინტერპრეტაცია მეტაფორული აღწერის დახმარებით.

მკითხველის გონებაში არსებულ კონცეპტუალურ მოდელზე ზემოქმედების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გზაა მისი ფოლკლორის გამოყენება, ცნობილი პერსონაჟების გამოსახულებები, აღწერილი პიროვნების შედარება სხვა ცნობილ პერსონაჟთან, რის შედეგადაც ხდება შედარება და მეტაფორული ცნებების დაწესება. მოთხრობებში მითითებული ინფორმაცია და გამოცდილება ააქტიურებს მკითხველის ცოდნას. შემდგომში იგი ხელახლა ინტერპრეტირებულია მკითხველის მიერ, რითაც აყალიბებს დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ. მეტაფორების შეგნებული აგებულება და ფოლკლორის გამოყენება მესიჯის ავტორს კონკრეტული პრაგმატული პრობლემების გადაჭრაში ეხმარება, კერძოდ კი, მკითხველთა გარკვეულ სეგმენტზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტაფორა არა მხოლოდ ენის ელემენტი, არამედ აზროვნების ორგანიზების ერთ-ერთი გზა არის. ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომლის ფარგლებშიც ჩვენ ვფიქრობთ და ვმოქმედებთ, ფუნდამენტურად მეტაფორული ხასიათისაა. მეტაფორა წარმოშობს ახალ ცნებებს აზროვნების სფეროში, რომლებიც ასახავს ახლად შექმნილ გამოცდილებას და ცოდნას, მის ახალ და განსხვავებულ ხედვას. კონცეპტუალური მეტაფორა, რომელიც უზრუნველყოფს კონცეპტუალური სტრუქტურების გადატანას რეალობის გარკვეული ფრაგმენტებიდან სხვაზე, წარმოადგენს ამ ფრაგმენტების კონცეპტუალიზაციას და წარმოდგენას ცნებების უკვე ჩამოყალიბებული სისტემის ანალოგიით. კონცეპტუალური მეტაფორა უფრო ხშირად გამოიყენება რეალობის იმ ფრაგმენტების აღსაწერად, რომელთა ცოდნაც ადამიანისთვის უმნიშვნელოა. ასეთი მეტაფორები შექმნილია კონკრეტული ტერიტორიის საზღვრების გასაფართოებლად და ხშირად ფიგურალურ მოდელებად მოქმედებს.

### III.2. კონცეპტუალური მეტაფორის როლი და მნიშვნელობა

#### პოლიტიკურ მედიადისკურსში

დღევანდელობაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ენის არსებობის ერთ-ერთ მთავარ ფორმას წარმოადგენს, რაც აიხსნება მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მასობრივი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მზარდი განვითარებით. მედია-ტექსტების მთელი მოცულობიდან განსაკუთრებით გამოიყოფა პოლიტიკური მიმართულების ტექსტები, რომლებიც არა მხოლოდ მრავალრიცხოვანია, არამედ ყველაზე დიდი პრაგმატული ეფექტი გააჩნიათ. პოლიტიკური მედია-ტექსტები, ახდენს რა აუდიტორიის შეხედულებებისა და წარმოდგენების ფორმირებას ამა თუ იმ საგანსა და მოვლენაზე, მიმართულია ადრესატის წარმოსახვაში არსებული სამყაროს კონცეპტუალიზმის შეცვლისაკენ. პოლიტიკური ტექსტების ამ თვისებამ გააღვიძა მათი შესწავლის ინტერესი სხვადასხვა დარგის მეცნიერების (ფსიქოლოგიების, პოლიტოლოგიების, სოციოლოგიების, ლინგვისტების) კვლევებში. ტექსტების შესწავლა და მათი ფუნქციონირება კოგნიტიურ-დისკურსიული პარადიგმის თვალსაზრისით, ბოლო წლების კვლევების პრიორიტეტი გახდა.

ზემოქმედების ფუნქცია რეალიზდება სხვადასხვა ლინგვისტური ხერხის დახმარებით, რომლებიც არა მხოლოდ ექსპრესიულ ენობრივ საშუალებებს წარმოადგენენ, არამედ შეუძლია ასახოს ადამიანის აზროვნების პროცესი და შედეგი. მეტაფორა ასწლეულების მანძილზე აღიქმებოდა როგორც რიტორიკული ხერხი, მხატვრული გამომსახველობითი საშუალება, რომლის არსი ჯერ კიდევ არისტოტელემ განსაზღვრა: გვარიდან სახეობაზე, ან სახეობიდან გვარზე. კოგნიტიური ლინგვისტიკის სწრაფმა განვითარებამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განაპირობა მეტაფორის ახალი დატვირთვით, როგორც ადამიანის კონცეპტუალური არქიტექტურის განუყოფელი ელემენტის, განხილვა.

აზროვნების მეტაფორულ ფენომენზე მიუთითებს ბევრი მკვლევარი, თავის ნაშრომებში, თუმცა ჯორჯ ლაკოფისა და მარტინ ჯონსონის ნაშრომში: „მეტაფორები, რომლებითაც ვცხოვრობთ“ (Lakoff & Johnson, 2008:165), კონცეპტუალური მეტაფორის

თეორია მკაფიოდ იქნა ფორმულირებული, რის შედეგადაც განვითარდა კოგნიტიური ლინგვისტიკა. ჩვენი შემეცნების მეტაფორულობა ერთი საგნის ან მოვლენის მეორე საგნის პრიზმაში დანახვით გამოიხატება.

მეტაფორიზაციის პროცესში ორი სტრუქტურა მონაწილეობს: „წყარო“ და „მიზანი“. მეტაფორიზაცია ხორციელდება „მეტაფორული პროექციის“ მეთოდით, როცა მიზნის გარკვეული მახასიათებლების სტრუქტურა იზიარებს წყაროს ნიმუშის მიხედვით. ამგვარად, ენის ცნებების უმეტესობა „აიხსნება სხვა ცნებების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილით“. ამასთან, „წყარო“ უფრო მკაფიო, ჩვენს ფიზიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობილი ცნებით გამოიხატება, ვიდრე „მიზანი“. ტრადიციულად, პოლიტიკა ადამიანის მოღვაწეობის საკმაოდ აბსტრაქტულ და დახლართულ სფეროს წარმოადგენს. თანამედროვე მედია-დისკურსში მისი კონცეპტუალიზაცია ნაწილობრივ ხორციელდება თეატრის, ომის, ავადმყოფობის, სპორტისა და შეჯიბრის ტერმინებში. ანუ იმ ცნებებით, რომლებიც ახლია და ნაცნობია ჩვენთვის პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე. ამგვარად, მეტაფორები თავიანთი არსით გვევლინებიან, როგორც გაგების, აღქმის გარანტორები.

მეტაფორა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დისკურსში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ელენა მენჯერიცკაიას აზრით, მეტაფორა აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი ძირითადი ლინგვისტური ელემენტია. კონცეპტუალური მეტაფორის გამოყენება პოლიტიკურ მედია-დისკურსში მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რომელიც ორი მიზეზით აიხსნება. ერთი მხრივ, მეტაფორას, რომელიც ენის, აზროვნებისა და კულტურის მენტალურ ფენომენს წარმოადგენს, აქვს უნარი, შეიჭრას კოლექტიური ქვეცნობიერის სიღრმეებში და ერის მენტალობის შესწავლის საშუალება მოგვცეს. დისკურსიული ანალიზი, რომელიც ეყრდნობა ლინგვისტურ გადარჩევას და მეტაფორების სისტემატიზაციას, საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს პოლიტიკური საქმიანობის ნაციონალური ხედვა. ამით შესაძლებელი ხდება უფრო ღრმად იქნას შესწავლილი მსოფლიოს ნაციონალური სურათი (Менджеричская, 2002:124).

მეორე მხრივ, მას-მედიაში პოლიტიკური მეტაფორის როლის შესწავლა გამოწვეულია მეტაფორის ძლიერი პრაგმატული პოტენციალით, რაც ადრესატის

მსოფლმხედველობის შეცვლით გამოიხატება. ანატოლ ბარანოვისა და იური კარაულოვის განმარტებით, პოლიტიკური მეტაფორა არის ზემოქმედება ადრესატზე ამა თუ იმ პოლიტიკურ ერთეულზე დადებითი ან უარყოფითი შეხედულებების ჩამოყალიბების მიზნით. კონცეპტუალური მეტაფორები იძლევა ერთი კონცეპტის დახასიათებას მეორე კონცეპტის მახასიათებელი თვისებების გამოყენებით, ამასთან, პირველი კონცეპტის მახასიათებელი თვისებები უგულებელყოფილია. მეტაფორა - კამათი-ომია, აქცენტს აკეთებს კამათის ერთ, სამხედრო მხარეზე და გამორიცხავს თანამშრომლობას (Баранов & Караулов, 1991:45).

პოლიტიკური მედია-დისკურსის ტექსტის ავტორებს წინასწარგანზრახულად შეუძლიათ იმ მეტაფორების გამოყენება, რაც წინა პლანზე წამოსწევს ავტორის ან გამომცემლობის პოზიციასთან თანხვედრილ ასპექტებს და პირიქით, დააკნინებს არასასურველს.

ენაში სრულად და მედია-დისკურსში ნაწილობრივ დიდ წილს წარმოადგენს კონვენციონალური ანუ ტრადიციული მეტაფორები. ისინი იმდენად მკვიდრად არიან ჩამჯდარი ხალხის ცნობიერებაში, რომ მეტაფორებად არც აღიქმებიან. თუმცა ეს მათ ექსპრესიულობას არ აკნინებს და ისინი ძლიერ პრაგმატულ პოტენციალს ინარჩუნებენ.

ჯორჯ ლაკოფმა და მარკ ჯონსონმა წარმოადგინეს კონცეპტუალური მეტაფორები, აღწერეს და გაანალიზეს ისინი წიგნში „მეტაფორები, რომლებშიც ვცხოვრობთ“. ეს მეცნიერები ხაზს უსვამენ აზრს, რომ „ცნებები, რომლებიც მართავს ჩვენს აზროვნებას, არ არის მხოლოდ ინტელექტის საკითხები. ისინი ასევე მართავენ ჩვენს ყოველდღიურ ფუნქციონირებას, ყველაზე ამქვეყნიურ დეტალებამდე. ჩვენი ცნებები აყალიბებს იმას, რასაც ჩვენ აღვიქვამთ, როგორ ვმომძრაობთ სამყაროში და როგორ ვუკავშირდებით სხვა ადამიანებს“ (Lakoff & Johnson, 1980:57).

ჩუდინოვი ხაზს უსვამს მეტაფორული მოდელების მნიშვნელობას პოლიტიკური დისკურსის ანალიზში, რადგან ისინი ასახავს ეროვნულ, სოციალურ, პიროვნულ ცნობიერებას და ზოგიერთი რეალობის ფრაგმენტის შეფასებასა და კონცეპტუალიზაციას (Чудинов, 2001:4).

კონცეპტუალური მეტაფორების შესწავლა პოლიტიკურ დისკურსში



გამოკვლევის ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა, რადგან კონცეპტუალური მეტაფორების ენობრივი გამონათქვამები შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც არაპირდაპირი კომუნიკაციის მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს პოლიტიკოსებს გავლენა მოახდინონ ადრესატის ქვეცნობიერ სტრუქტურებზე მეტაფორის მიერ შექმნილი ხედვით. გოუთლი აკეთებს დასკვნას, რომ მეტაფორები ასახავს ფარულ იდეოლოგიებს (Goatly, 2007:48). მის აღნიშნავს, რომ მეტაფორები „ფართო საზოგადოებას საშუალებას აძლევს გაითავისოს პოლიტიკური მოვლენების მნიშვნელობა და იგრძნოს პროცესის ნაწილი“ (Mio, J. S. 1997:32). აქედან გამომდინარე, კონცეპტუალური მეტაფორები ეხმარება პოლიტიკოსებს დასახული მიზნების მიღწევაში.

პოლიტოლოგები და ენათმეცნიერები ხაზს უსვამენ მეტაფორების მნიშვნელობას პოლიტიკაში, განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიასა და პოლიტიკის შემუშავებაში (Charteris-Black, 2011:143). შესაბამისად, ჰარისს მიაჩნია, რომ ენა არის „პოლიტიკის სატრანსპორტო გამოხატულება“ (Harris, 1976:323). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მოიცავს იმას, თუ როგორ გადაეცემა პოლიტიკური იდეები საზოგადოებას. ამასთან დაკავშირებით, ჰარისი აცხადებს, რომ პოლიტიკაში სიტყვებს ძლიერი ეფექტი აქვს. ამიტომ, ისეთი ენობრივი საშუალებების გამოყენება, როგორცაა კონცეპტუალური მეტაფორები, პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევს მოიპოვონ აუდიტორიის ინტერესი (Harris, 1976:325). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური დისკურსი ეხება მიმდინარე საკითხებისა და იდეების ნარატიულ ინტერპრეტაციას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ნარატივების მნიშვნელობა მნიშვნელოვნად განსხვავდება, ისინი მიჰყვებიან გარკვეულ სტანდარტულ ხაზებს (Mihas, 2005:13). ლაკოფისა და ჯონსონის აზრით, ეს სტანდარტული ნიმუშები არის კულტურულად ხელმისაწვდომი ტროპების ნაწილი, რომელიც აკავშირებს ენის მომხმარებლებს საზოგადოებაში გაბატონებულ აზროვნებასთან (Lakoff & Johnson, 1980:23). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისკურსში ფიგურალური ტროპების იდენტიფიცირება და ინტერპრეტაცია ხელს უწყობს ფარული თემატური ჩარჩოების ხაზგასმას, რაც გულისხმობს ძირეული მეტაფორის იდენტიფიკაციას (Mihas, 2005:125).

უფრო მეტიც, კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის პერსპექტივიდან, ლაკოფი

და ჯონსონი აცხადებს, რომ მეტაფორის ფუნდამენტური ბუნება არის ერთი სახის გამოცდილების გაგება მეორის თვალსაზრისით (Lakoff & Johnson, 1980:13). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეტაფორა გულისხმობს ერთი დენოტაციის მეორით ჩანაცვლებას, გარკვეული კონცეპტუალური და კონოტატიური მნიშვნელობების შექმნას. ამრიგად, ტროპი ქმნის გამოსახულებას, რომელიც იწვევს ცალკეულ ასოციაციებს და ამგვარად წარმართავს აზროვნების გზას (Mihas, 2005:125). გარდა ამისა, პერეზი და რეუშამპსი აცხადებენ, რომ მეტაფორები გადამწყვეტ როლს თამაშობენ აბსტრაქტული ცნებების აღქმასა და კატეგორიზაციაში და ხელს უწყობენ რთული პროცესების გაგებას (Perrez, 2014:56). ამიტომ, მეტაფორები აკავშირებენ გამოცდილებისა და ცოდნის სხვადასხვა სფეროს, ასე რომ, ერთი უაღრესად სტრუქტურირებული კონცეფცია კოგნიტურად და კომუნიკაციურად არის წარმოდგენილი სხვა კონცეფციის საშუალებით. ასეთი კავშირები განიხილება ზოგიერთი კონცეფციის წყაროს სფეროსა და რეალური პოლიტიკური ან სოციალური თემის სამიზნე სფეროს შორის შედგენის მტკიცებულებად (Musolff, 2004:76).

მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტუალური მეტაფორები ჩნდება ცხოვრების ყველა სფეროში, პოლიტიკური დომენი რჩება მის გამორჩეულ სფეროდ. შესაბამისად, სემინო ამტკიცებს, რომ მეტაფორები მნიშვნელოვანია პოლიტიკაში, რადგან პოლიტიკა გამოცდილების აბსტრაქტული და რთული სფეროა. ამრიგად, მეტაფორებს შეუძლიათ რთული ერთეულები უფრო მარტივი გახადონ და აბსტრაქციები გასაგები (Musolff, 2004). გარდა ამისა, პოლიტიკაში მეტაფორები გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული სამიზნე ცნებების მითითებისთვის, არამედ, გარდა ამისა, მათ აქვთ დამატებითი პრაგმატული ღირებულება. მაგალითად, მეტაფორები გამოიყენება თემის შესაფასებლად, ემოციური და დამაჯერებელი მიმართვის გასაკეთებლად ან აუდიტორიის დასარწმუნებლად, რომ გარკვეული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია პრობლემის გადაჭრის ნაცნობი სტრატეგიებით (Musolff, 2004:21).

ლაკოფის და ჯონსონის კონცეპტუალური მეტაფორის თეორია ჩართულია დისკურსის კრიტიკულ ანალიზში, რადგან: „მეტაფორა ჩვენი გამოცდილების გარკვეულ ასპექტებს ნათელს ჰყენს და აწესრიგებს... მეტაფორები ქმნის ჩვენს რეალობებს, განსაკუთრებით კი სოციალურ ურთიერთობებს“ (Lakoff & Johnson,

1980:156), ამიტომ კონცეპტუალური მეტაფორის კვლევა დისკურსში ნათელს მოჰფენს ადამიანების მიერ სამყაროს ხედვის განსხვავებულ მოდელებს. უფრო მეტიც, ჩვენი აზროვნების კონცეპტუალური სისტემა ფუნდამენტურად მეტაფორულია და სწორედ მეტაფორების განსხვავებული არჩევანი განაპირობებს მათ დამარწმუნებელ ძალას.

მეტაფორების დამაჯერებელი ძალა ათწლეულების განმავლობაში ინტერესის სფეროს წარმოადგენდა მკვლევარებთან, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ დამაჯერებლობის ტექნიკით, რომლებიც გამოიყენება რეკლამაში, ჯანდაცვაში, პოლიტიკაში და სხვა (Bowers and Osborn, 1966; Burgers, 2015; Lando, 2009; Reddy, 1990). ამ კვლევის ფარგლებში მათ ასევე შექმნეს და დახვეწეს სხვადასხვა თეორიები იმის ასახსნელად, თუ რატომ არის მეტაფორები დამაჯერებელი. არსებობს შვიდი თეორია, რომლებიც ჭარბობს და განხილულია ქვემოთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

პირველ რიგში, მაიკლ ოსბორნმა და დუგლას ენინგერმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომ აუდიტორიის მიერ მეტაფორის გაგება იწვევს შვებას, რასაც შემდეგ მივყავართ მეტაფორის უფრო დამაჯერებელ შესაძლებლობებთან. მეტაფორების არალიტერატურული ბუნების გამო, აუდიტორიამ შეიძლება მაშინვე ვერ გაიგოს მეტაფორა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს იმედგაცრუება ან უარყოფითი დამაბულობა. როგორც კი აუდიტორია გაიგებს მეტაფორას, ის განიცდის შვებას ამ უარყოფითი სენტიმენტებისგან და ეს აძლიერებს მეტაფორას და მის დამაჯერებლობას (Osborn & Ehninger, 1962:48).

მეორე, გუთრი ამტკიცებდა, რომ მეტაფორები იწვევს აუდიტორიაში კონტრარგუმენტების შემცირებას. ვინაიდან მეტაფორები არალიტერატურულია, ისინი მოითხოვენ მეტ შემეცნებით რესურსებს, რომ გაიგონ, და რადგან მეტაფორის გასაგებად გამოიყენება მეტი შემეცნებითი რესურსი, ნაკლები რესურსია ხელმისაწვდომი კონტრარგუმენტების ფორმულირებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მსმენელებს ნაკლებად შეუძლიათ იპოვონ არგუმენტები, რათა უარყოს კავშირები ან პრეტენზიები, რომლებსაც მეტაფორა ქმნის და, შესაბამისად, უფრო მეტად დაიჯერებენ და ირწმუნებენ მეტაფორის ძალას (Guthrie, 1972:45).

მესამე, უმაღლესი ორგანიზაციის თეორია, რომელიც მიღებულია დედრ გენტნერის (Gentner, 1983) სტრუქტურის რუკის თეორიიდან და გაფართოვდა

მრავალი მკვლევრის მიერ, ამტკიცებს, რომ მეტაფორები „წარმოქმნის უფრო მეტ სემანტიკურ ასოციაციებს, ვიდრე ლიტერატურული ეკვივალენტები“ (Gentner, 1983:40). ამ ასოციაციებიდან ზოგიერთი შეიძლება შეესაბამებოდეს მეტაფორას, ზოგი კი არა. როდესაც ისინი თანმიმდევრულნი არიან, ისინი ქმნიან სემანტიკურ გზებს, აკავშირებენ მეტაფორის მიზანსა და წყაროს და ხაზს უსვამენ მეტაფორას წარმოებულ არგუმენტებს. ეს კავშირები შეიძლება განმტკიცდეს და რაც უფრო ძლიერია კავშირი მით უფრო დამაჯერებელია მეტაფორა.

მეოთხე, ჯაფემ წამოაყენა თეორია, რომ მეტაფორების დამაჯერებელი ძალა მოდის კოგნიტური რესურსების კავშირიდან. რესურსების კავშირი დაკავშირებულია ენის გასაგებად საჭირო რესურსებთან და პიროვნებისთვის ხელმისაწვდომ რესურსებთან, რომლებიც ამ ენას ამუშავებს, და ვარაუდობენ, რომ მეტაფორული ენა მოითხოვს უფრო მეტ შემეცნებით რესურსებს, ვიდრე ლიტერატურულ ენას (Jaffe, 1988:7). ამგვარად, თუ აუდიტორიას სიტყვასიტყვითი ენა მიეწოდება, მას დასჭირდება ნაკლები შემეცნებითი რესურსი ამ ენის დასამუშავებლად და გასაგებად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი ყურადღების მიქცევა ან კონტრარგუმენტების გამომუშავება. თუმცა, თუ ისინი მეტაფორული ენით არიან წარმოდგენილი, მათ დასჭირდებათ მეტი შემეცნებითი რესურსი ამ ენის დასამუშავებლად და გასაგებად, რაც იწვევს დამუშავების კოგნიტურ ფენომენს. მეტაფორული ენის რესურსების კავშირი და შემეცნებითი რესურსების შედეგები მეტაფორის უფრო მეტ დამაჯერებელ ეფექტს იძლევა. თუმცა, თუ მეტაფორა უფრო მეტ შემეცნებით რესურსს მოითხოვს, ვიდრე მსმენელს შეუძლია, მეტაფორის დამაჯერებელი ძალა ქვეითდება.

მეხუთე, ჟაკლინ ჰიჩონმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მეტაფორები იწვევს სტიმულირებას, რაც იწვევს უფრო მეტ დარწმუნებას. მეტაფორის გასაგებად, მკითხველმა უნდა შექმნას საფუძველი ამ მეტაფორისთვის, შეესაბამებოდეს მეტაფორის სამიზნესა და წყაროს. ამ ნიადაგის დამკვიდრებისას მრავალი დაკავშირებული აზრი ჩნდება. თუ ეს ეფექტური აზრები შეესაბამება იმ მიმართულებას, რომლითაც მეტაფორა მიზნად ისახავს აუდიტორიის წარმართვას, მაშინ მეტაფორას უფრო დიდი დამაჯერებლობის ძალა ექნება ამ აზრების გამო (Hitchon J. C. 1991:57).

მეექვსე, ჯეიმს მაკგუაირი ამტკიცებდა, რომ მეტაფორები დამაჯერებელია, რადგან ისინი უფრო მეტად იპყრობენ აუდიტორიის ყურადღებას, ვიდრე არამეტაფორული ენით. მეტაფორების გამომწვევი ენა მათ სამუალებას აძლევს გამოირჩეოდნენ და დარჩნენ მაყურებლის, მკითხველის თუ მსმენელის გონებაში; თუმცა, მაკგუაირი აცხადებდა, რომ მეტაფორების დამაჯერებელი ძალა შუამავალია გახსენებით, გაგებითა და ინტერესით. აუდიტორიას უნდა შეეძლოს მეტაფორის დამახსოვრება (გახსენება), მეტაფორის გაგება (გააზრება) და დაინტერესებული იყოს მეტაფორით და უფრო დიდი პროდუქტით ან/და სერვისით (ინტერესით), რათა მეტაფორას ჰქონდეს დამაჯერებელი ეფექტი. მაკგუაირი თვლიდა, რომ ეს სამი ელემენტი ხსნის ცვალებადობას, რომელიც არსებობს მეტაფორების დამაჯერებლობის ძალაში (McGuire, J. 2000:6).

მეშვიდე და ბოლოს, პრადიფ სოპორი და ჯეიმს დილარდი აცხადებდნენ, რომ მეტაფორებმა განაპირობა უფრო მეტი კომუნიკაბელურობის სანდოობა ორი მიზეზის გამო. ერთი, ადამიანები, რომლებიც იყენებდნენ მეტაფორებს, უფრო პოზიტიურად აფასებდნენ, შესაძლოა მათი ინტელექტის ან კრეატიულობის გამო, და მეორე, რადგან მეტაფორები ქმნიან კავშირებს მანამდე დაუკავშირებელ ელემენტებს შორის, აუდიტორიას შეუძლია ინტერესი ან სიამოვნება აღმოაჩინოს მათთან ამ კავშირის მინიშნებით. ამრიგად, ისინი მეტაფორის ავტორს უფრო დადებითად აფასებენ ამ ახალი ცოდნის გამო (Sopory & Dillard, 2002:57).

ეს თეორიები გვეხმარება იმის ასახსნელად, თუ რატომ არის მეტაფორები დამაჯერებელი და რა გავლენას ახდენენ ისინი აუდიტორიაზე პოლიტიკურ დისკურსში.

### III.3. კონცეპტუალური მეტაფორები პოლიტიკურ მედიადისკურსში

#### როგორც მანიპულაციური კომპონენტი

პოლიტიკის მთავარი მიზანია მოიზიდოს ბევრი მხარდამჭერი, რათა მართოს ერი და იყოს ძლიერი. ამ მიზნით, პოლიტიკოსებმა უნდა დაარწმუნონ მოქალაქეები, დაიჯერონ ის, რაც თითოეულ პოლიტიკურ პარტიას აინტერესებს კონკრეტულ მომენტში. საკითხავია, თუ რა სახის სტრატეგიების გამოყენება შეუძლიათ პოლიტიკოსებს ამ მიზნის მისაღწევად. მათი იდეოლოგიის გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტი ენაა, ამიტომ ძალიან საინტერესოა იმის შესწავლა, თუ როგორ იყენებენ პოლიტიკოსები გარკვეულ ენობრივ სტრუქტურებს კონკრეტული პოლიტიკური მიზნების დასაკმაყოფილებლად. ყველა ლინგვისტური დონე ლექსიკიდან პრაგმატიკამდე ჩართულია ენის მანიპულირებაში კონკრეტული პოლიტიკური ეფექტის მისაღწევად. ამ მიზნით გამოყენებული ერთ-ერთი მთავარი კონცეპტუალური რესურსია მეტაფორა, რომელიც გახლავთ ნაშრომის შესწავლის ობიექტი.

ამ დისერტაციას ორი ძირითადი მიზანი აქვს. პირველ რიგში, ის აჩვენებს, რომ მეტაფორა არის ძლიერი შემეცნებითი მექანიზმი, რომელიც ემსახურება დარწმუნებას, ზოგჯერ მანიპულირებას და იდეოლოგიების გავრცელებას ამერიკულ და ქართულ პოლიტიკაში. მეორეც, კვლევისთვის ჩვენ შევარჩიეთ აშშ-ის ახლანელი და წინა პრეზიდენტები: ჯოზეფ ბაიდენი, დონალდ ტრამპი და და საქართველოს მოქმედი და წინა პრეზიდენტები: სალომე ზურაბიშვილი და გიორგი მარგველაშვილი, რათა წარმოვადგინო ემპირიული მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ ისინი კონცეპტუალურ მეტაფორებს.

ანალიზი დაფუძნებულია მეტაფორის შემეცნებით თეორიაზე, რომელიც წამოწყებული იქნა ლაკოფისა და ჯონსონის მიერ 1980 წელს. ყურადღება გავამახვილე ექვს კონცეპტუალურ მეტაფორაზე, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული, როგორც ამერიკულ, ასევე ქართულ პოლიტიკურ სცენარში:

- პოლიტიკა არის ომი
- პოლიტიკა არის მოგზაურობა

- პოლიტიკა არის თამაში
- ერი არის შენება
- ერი არის ოჯახი
- ერი არის ადამიანი

### პოლიტიკა არის ომი

ომის მეტაფორების ლინგვისტური კვლევა, რომელიც აერთიანებს კრიტიკულ, კოგნიტურ და სოციალურ მიდგომებს, უკვე ორი ათწლეულის განმავლობაში აქტუალური სამეცნიერო საკითხების დღის წესრიგში დგას. მეტაფორა ძლიერი ლინგვისტური იარაღია, რომელსაც შესწევს უნარი, ტექსტს იდეოლოგიური ელფერი შესძინოს (Goatly, 1997:35). მეტაფორის აღნიშნულმა თანამედროვე ხედვამ ომის კონცეპტი, კონცეპტუალური მეტაფორების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ლინგვისტური ინტერესის საგნად აქცია. ამ მხრივ აღსანიშნავია, ჯეიმს უილიამ ანდერჰილის (Underhill, 2004:69) კვლევა ერაცის ომის მეტაფორული რეპრეზენტაციის შესახებ და ჯორჯ ლაკოფის ნაშრომი „მეტაფორა და ომი“ (Lakoff, 1992:79), რომლის მიხედვითაც, მეტაფორული სისტემა ამართლებდა ომს სპარსეთის ყურეში. ლაკოფის მიერ გამოვლენილი კონცეპტუალური მეტაფორები ომის კონცეპტისადმი ურთიერთსაპირისპირო ხედვებს წარმოაჩენს: ომი პოლიტიკაა, ომი ძალადობრივი დანაშაულია, ომი მედიცინაა და ომი კონკურენტული თამაშია. აღნიშნულთაგან, ნეგატიური კონოტაცია მხოლოდ ერთ მეტაფორას გააჩნია (ომი ძალადობრივი დანაშაულია), დანარჩენი კი, გარკვეულწილად, საომარ მოქმედებებს ამართლებს (Lakoff, 1992:81). რაც შეეხება ჯეიმს უილიამ ანდერჰილის კვლევას, მან გაზეთ The Independent-ის მასალაზე დაყრდნობით გამოავლინა შემდეგი კონცეპტუალური მეტაფორები: ომი პრობლემის გადაჭრაა და ომი დანაშაულთან ბრძოლაა, რომლებიც ასევე საომარი მოქმედების დადებით მხარეს უსვამს ხაზს (Underhill, 2003:135). ჯეიმს უილიამ ანდერჰილმა მოახდინა კვლევაში გამოვლენილი კონცეპტუალური მეტაფორების კლასიფიკაცია, გამოყო რა ტრადიციული და ახალი მეტაფორული სტრუქტურები.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში აღნიშნული ტიპის კვლევები სიახლეს წარმოადგენს. აღსანიშნავია ნინო კირვალიძის საკონფერენციო ნაშრომი ქართულ და

ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში ომის კონცეპტუალური მეტაფორების შესახებ სადაც კიდევ ერთხელ არის დასაბუთებული, რომ მეტაფორა არის არა წმინდა ლინგვისტური, არამედ აზროვნებითი, კოგნიტიური მოვლენა (კირვალიძე, 2009:60).

უნდა აღვნიშნოთ, რომ კონცეპტუალური მეტაფორების ომის კონცეპტთან მიმართებაში განხილვისას, „ომი“ შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც წყარო დომენი (Koller, 2004:80; Lakoff & Johnson, 1980:90) (კონცეპტი „ომი“ ხსნის სხვა კონცეპტებს, მაგ.: „ბიზნესი როგორც ომი“), ან როგორც სამიზნე დომენი (Underhill, 2003:124; Lakoff, 1992:128) (კონცეპტი „ომი“ აიხსნება სხვა კონცეპტებით, მაგ.: „ომი, როგორც სპორტი/თამაში“). წინამდებარე ნაშრომში „ომი“ სამიზნე დომენია, რომელიც სხვადასხვა წყარო დომენებით არის კონცეპტუალიზებული.

ინგლისურ ენაში მეტაფორების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჯგუფი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკური აქტივობების კონცეპტუალიზაციისთვის, არის ბრძოლა. ეს ხელს უწყობს კონკურენციის ასპექტის გამორჩევას (Goatly, 2007:89). უფრო მეტიც, პოლიტიკის წარმოდგენები ამ კონკრეტული კონცეპტუალური მეტაფორის თვალსაზრისით ემსახურება რთული და უნივერსალური პოლიტიკური თემების გამარტივებას სამხედრო კამპანიაში, რომელიც უნდა მოიგო. ამრიგად, ომზე დაფუძნებული მეტაფორები წარმოადგენენ ანტაგონისტურ შეხედულებას სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებზე (Musolff, 2004:7). პოლიტიკური აქტივობები, გარდა იმისა, რომ ომს ჰგავს, სამხედრო მეტაფორები ასევე ხელს უწყობს ომის ჩვეულებრივ მოვლენად წარმოჩენას. ეს დაკვირვება ასახავს სამხედრო ხარჯების განსაკუთრებულ მნიშვნელობას მთავრობებისთვის (Goatly, 2007:93).

პოლიტიკა არის ომი - მეტაფორას ახასიათებს ომთან დაკავშირებული ცნებების ლექსიკური ველის დომენური გადატანა კონკრეტულ პოლიტიკურ ცნებებზე (მაგ.: არჩევნები, პოლიტიკური მოლაპარაკებები და ენერგეტიკული კრიზისი). მეტაფორაში ჩვეულებრივ გამოყენებული ლექსიკური ელემენტებია ისეთი სიტყვები და ფრაზები, როგორიცაა: ბრძოლა, დამარცხება, მოგება. მიუხედავად ამისა, მუსოლფის მიხედვით, ომის მრავალი გამოთქმა, მაგალითად, თავდასხმა, სტრატეგია, გამარჯვება უფრო მეტად უკავშირდება ბრძოლას ან კონფლიქტს ზოგადად, ვიდრე კონკრეტულად ომის



ცნებას (Musolff, 2004:102).

გარდა ამისა, მეტაფორა - პოლიტიკა არის ომი იყენებს ზოგად საბრძოლო ლექსემებს სპეციფიურ საომარ ლექსიკასთან ერთად, რომელიც მოიცავს ტრადიციულ და არქაულ ომის ტერმინებს (მაგალითად ომის გზა) და ასევე მე-20-21-ე საუკუნეების სამხედრო ენას (მაგალითად, ბირთვული ვარიანტი). ფრაზეოლოგიის გამოყენება (მაგალითად, ლაშქრობა ბორცვზე) ასევე მიზნად ისახავს კონკრეტული ასოციაციების გაღვივებას და მსმენელების პოპულარულ საბავშვო რითმებზე გადაყვანას, (მაგალითად „იორკის დიდი ძველი ჰერცოგი“). ლექსემებისა და იდიომების ასეთი კომბინაცია, რომელიც მიმართავს ხალხის ცოდნას, ადვილად გასაგებია საზოგადოების მიერ (Musolff, 2004:110). თუმცა, გოუთლი ამტკიცებს, რომ გარდა არჩევნების, ტერორიზმისა და პოლიტიკის თემებისა, ომზე დაფუძნებულ მეტაფორებს ასევე შეუძლიათ სხვა აქტივობების სპექტრის ინტერპრეტაცია (Goatly, 2007:121). მაგალითად, ისეთი გამოთქმები, როგორცაა: სამართლიანობისთვის ბრძოლა, დაავადებებთან და სიღარიბესთან ბრძოლა, დანაშაულთან ბრძოლა, ჯვაროსნული ლაშქრობა რადიკალიზაციის წინააღმდეგ ხშირია პოლიტიკურ დისკურსში, როდესაც აუცილებელია ისეთი მწვავე საკითხების ხაზგასმა, როგორცაა: სამართლიანობა, დანაშაული, სიღარიბე, სამედიცინო მკურნალობა, სოციალური უთანასწორობა:

We stand at the birth of a new millennium, ready to unlock the mysteries of space, *to free the Earth from the miseries of disease*, and to harness the energies, industries and technologies of tomorrow (Trump, Inaugural address, 2017:45).

ჩვენ ვდგავართ ახალი ათასწლეულის დასაწყისიდან, მზად ვართ ამოვხსნათ კოსმოსის საიდუმლოებები, *გავათავისუფლოთ დედამიწა დაავადებებისგან*, გამოვიყენოთ ხვალინდელი ენერჯიები, ინდუსტრიები და ტექნოლოგიები (ტრამპი, საინაუგურაციო მიმართვა, 2017).

ომზე დაფუძნებულ მეტაფორებზე დაყრდნობით, დონალდ ტრამპი აპირებს აჩვენოს ამერიკის სიძლიერე და მისი უნარი გაუმკლავდეს ყველა გამოწვევას. გარდა ამისა, ამერიკა ნაჩვენებია, როგორც ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს დაავადებები და ეპიდემიები მთელს მსოფლიოში.

პოლიტიკური გამოსვლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კონცეპტუალური მეტაფორას „პოლიტიკა არის ომი“ ტრამპის პოლიტიკურ დისკურსში განსხვავებული ფუნქცია აქვს, კერძოდ კი, პრეზიდენტის, როგორც უკიდურესად პოზიტიური და მომგებიანი პოლიტიკური ლიდერის წარმოჩენა, რადგან ის ებრძვის ყველა საზიანო საკითხს და იბრძვის ამერიკელებისთვის. იგივე კონცეპტუალური მეტაფორა საშუალებას აძლევს დონალდ ტრამპს წარმოადგინოს თავისი ოპონენტები, ძირითადად დემოკრატები, როგორც დამნაშავე ყველა ნეგატიურ ქმედებასა და პრობლემაში. ეს ხელს უწყობს სამიზნე აუდიტორიის ცნობიერებაში ოპოზიციურ პარტიასთან დაკავშირებული უარყოფითი კონოტაციების გამოწვევას. „პოლიტიკა ომია“ კონცეპტუალური მეტაფორა ზოგადად გამოიხატება ოპოზიციის მე/ჩვენ-ისინი მეშვეობით, რომელშიც მე/ჩვენ-ტრამპი და რესპუბლიკელები იცავენ ამერიკელებს მათგან, დემოკრატებისგან:

„*We are defending* our Second Amendment, and have taken historic actions *to protect* religious liberty“ (Trump, 2018).

„ჩვენ *ვიცავთ* ჩვენს მეორე შესწორებას და მივიღეთ ისტორიული ქმედებები რელიგიური თავისუფლების *დასაცავად*“ (ტრამპი, 2018).

„On the National Day of Prayer, I signed an executive order *to protect* religious liberty. I'm very proud of that. Today, I'm announcing that we've just issued a new proposal *to protect* conscience rights and religious freedoms of doctors, nurses, and other medical professions“ (Trump, 2018).

„ლოცვის ეროვნულ დღეს მე ხელი მოვაწერე აღმასრულებელ ბრძანებას რელიგიური თავისუფლების *დასაცავად*. მე ძალიან ვამაყობ ამით. დღეს მე ვაცხადებ, რომ ჩვენ ახლახან გამოვაქვეყნეთ ახალი შეთავაზება ექიმების, ექთნების და სხვა სამედიცინო პროფესიების უფლებებისა და რელიგიური თავისუფლებების *დასაცავად*“ (ტრამპი, 2018).

ამ მაგალითებში ომის მეტაფორა გამოიხატულია ზმნის „დაცვის“ დახმარებით. ტრამპი ირიბად ადანაშაულებს თავის წინამორბედებს რელიგიური თავისუფლების უფლებების დარღვევაში, რომელიც მინიჭებულია კონსტიტუციით. ასეთი პოლიტიკური არგუმენტაცია აჩვენებს, რომ ტრამპი მიზნად ისახავს დაიცვას თავისი

მოქალაქეები და ეს ეხმარება მას პოზიტიურ და მზრუნველ ლიდერად პოზიციონირებაში. უფრო მეტიც, ეს საშუალებას აძლევს სამიზნე აუდიტორიას აღიქვას ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ხოლო დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, როგორც მტრული ძალა, რომელიც პატივს არ სცემს რელიგიურ თავისუფლებას და უფლებებს.

„პოლიტიკა არის ომი“ მეტაფორა ეხმარება ტრამპის წარმოჩენას, როგორც ადამიანის ყველა შესაძლო უფლების დამცველს. უფრო მეტიც, ნაგულისხმევი ოპოზიცია *მე-ისინი* და ფრაზა *Under my administration* მაგალითში ამ უკანასკნელ პოლიტიკურ ლიდერს წარმოაჩენს, როგორც აშშ-ს ერთადერთ პრეზიდენტს, რომელმაც გადაწყვიტა იბრძოლოს არა მხოლოდ კანონიერი დებულებებისთვის, არამედ ძირითადად ამერიკელი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის:

“*Under my administration, we will always defend* the very first right in the Declaration of Independence, and that is the ‘right to life“ (Trump 2018).

„ჩემი ადმინისტრაციის პირობებში, ჩვენ ყოველთვის დავიცავთ პირველ უფლებას დამოუკიდებლობის დეკლარაციაში და ეს არის „სიცოცხლის უფლება“ (ტრამპი 2018).

ტრამპის პოზიტიურ იმიჯს კიდევ უფრო აძლიერებს მთავარი სიტყვა „დაცვის“ ხშირი გამოხატვა:

“And *we will protect* American workers and American intellectual property, through strong enforcement of our trade rules” (Trump 2018).

„და ჩვენ დავიცავთ ამერიკელ მუშაკებსა და ამერიკელ ინტელექტუალურ საკუთრებას ჩვენი სავაჭრო წესების ძლიერი აღსრულებით“ (ტრამპი 2018).

“The fourth and final pillar *protects* the nuclear family by ending chain migration” (Trump 2018).

„მეოთხე და ბოლო საყრდენი *იცავს* ბირთვულ ოჯახს ჯაჭვური მიგრაციის შეწყვეტით“ (ტრამპი 2018).

“But above all else, they are Americans. And this Capitol, this city, and this Nation, belong to them. Our task is to respect them, to listen to them, to serve them, *to protect them*, and to always be worthy of them” (Trump 2018).

„მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ისინი ამერიკელები არიან და ეს კაპიტოლიუმი, ეს ქალაქი და ეს ერი მათ ეკუთვნის. ჩვენი ამოცანაა პატივი ვცეთ მათ, მოვუსმინოთ, ვემსახუროთ, **დავიცვათ ისინი** და ყოველთვის ვიყოთ მათი ღირსი” (ტრამპი 2018).

“ ***We are protecting*** the sanctity of life and the family as the foundation of our society” (Trump 2018).

„**ჩვენ ვიცავთ** სიცოცხლის სიწმინდეს და ოჯახს, როგორც ჩვენი საზოგადოების საფუძველს” (ტრამპი 2018).

აქ დაცვის კონცეფცია გამოიყენება არა მხოლოდ იმისთვის, რომ აჩვენოს, რომ დემოკრატები სახიფათოა საზოგადოებისთვის და მოქალაქეები დაცული უნდა იყვნენ მათგან, არამედ გამოიყენება ყველა იმ პოზიტიური და სასიკეთო ცვლილების ხაზგასასმელად, რაც პრეზიდენტისა და პრეზიდენტის მიერ არის ინიცირებული. დაცვის სფერო მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ფასეულობებსა და სფეროებს, როგორცაა - ცხოვრება, ოჯახი და მუშაკები, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია მუშათა კლასისთვის, რომელიც წარმოადგენს ტრამპის ამომრჩეველთა უდიდეს ნაწილს. მამასადამე, ომის მეტაფორა, გამოხატული ზემოაღნიშნულ განცხადებებში, ადასტურებს ამომრჩევლის იმედებს და აკმაყოფილებს მათ მოლოდინებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „პოლიტიკა არის ომი“ კონცეპტუალური მეტაფორა კიდევ ერთ როლს თამაშობს ტრამპის პოლიტიკურ დისკურსში და მიზნად ისახავს მისი ოპონენტების, ძირითადად, დემოკრატების, როგორც მტრების წარმოჩენას:

“But we can only do that if we elect people who are going to back our agenda and **fight for** our values, and that is why we have to **defeat** Nancy Pelosi and Maxine Waters, a very low IQ individual” (Trump 2018).

„მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავირჩევთ ადამიანებს, რომლებიც აპირებენ მხარი დაუჭირონ ჩვენს დღის წესრიგს და **იბრძოლონ** ჩვენი ღირებულებებისთვის, და ამიტომ უნდა **დავამარცხოთ** ნენსი პელოსი და მაქსინ უოტერსი, ძალიან დაბალი IQ ინდივიდი“ (ტრამპი, 2018).

ომი ყოველთვის ასოცირდება ბრძოლებთან, ამიტომ ბრძოლის კონცეფცია მოიცავს გამარჯვებულ მხარეს, ანუ პრეზიდენტს რესპუბლიკელებთან ერთად, რომლებიც იბრძვიან, ამარცხებენ მოწინააღმდეგეებს და ათავისუფლებენ ქვეყანას,

ხოლო დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, დამარცხებულ მხარედ არიან გამოსახული. ზემოთ მოცემულ განცხადებაში ტრამპი მიუთითებს ორ მტერზე - ნენსი პელოსი და მაქსინ უოტერსი, რომლებიც უნდა დაამარცხონ პოლიტიკურ ომში. ის ასევე იყენებს დამცირების ტაქტიკას და ასახავს ამ ორ დემოკრატს დაბალი IQ-ის მქონეებად. უფრო მეტიც, ტრამპის ენობრივი გამონათქვამები ომის მეტაფორაზე, რომელიც გამოიყენება ღია კონფლიქტში და კონკრეტული ადამიანები, რომლებიც მონაწილეობენ ამ კონფლიქტში, განსაკუთრებით ქალები არიან. შესაბამისად, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ ტრამპის კონფლიქტს სექსისტური ხასიათი აქვს:

“These are animals and we send these guys out and we **liberate** those towns. We **liberate** them. Hillary wouldn't have **liberated** those towns, we **liberate** those towns and the people are cheering it's like a war. It's like if you got **liberated** as a country” (Trump 2018).

„ესენი არიან მხეცები და ჩვენ ვაგზავნით ამ ბიჭებს და *გათავისუფლებით* ქალაქებს. ჩვენ *გათავისუფლებით* მათ. ჰილარი არ *გათავისუფლებდა* ამ ქალაქებს, ჩვენ *გათავისუფლებით* ამ ქალაქებს და ხალხს უხარია, რადგან ეს ომს ჰგავს, რომ თითქოს *გათავისუფლდი* როგორც ქვეყანა“ (ტრამპი 2018).

ეს მაგალითი ყურადღებას ამახვილებს რესპუბლიკელებისა და დემოკრატების კონტრაპოზიციაზე, სადაც პრეზიდენტი და რესპუბლიკური პარტია გამოსახულია, როგორც ერთადერთი, ვინც ქვეყანა გაათავისუფლა მტრებისგან და დემოკრატები, (განსაკუთრებით ჰილარი კლინტონი) რომლებმაც არ გაათავისუფლეს ქალაქები კრიმინალებისგან. აქ პრეზიდენტი იყენებს პირდაპირ სიტყვას ომს, რომელიც იწვევს უარყოფით კონოტაციებს და ასახელებს თავის ყველაზე მნიშვნელოვან მტერს - ჰილარი კლინტონს.

თუმცა, ომი ყოველთვის არ ატარებს ნეგატიურ კონოტაციებს ტრამპის პოლიტიკურ დისკურსში, ზოგჯერ ის ხელს უწყობს ამ უკანასკნელის მიერ ინიცირებული პოზიტიური ცვლილებების წარმოჩენას:

„We have ended the war on American Energy –and ***we have ended the war*** on clean coal. We are now an exporter of energy to the world“ (Trump 2018).

„ჩვენ დავასრულეთ ომი ამერიკულ ენერჯიაზე და *დავასრულეთ ომი* სუფთა

ნახშირზე. ახლა ჩვენ ვართ ენერჯის ექსპორტიორი მსოფლიოში“ (ტრამპი 2018).

რესპუბლიკელების პოზიტიური იმიჯი ასევე მყარდება ბრძოლის კონცეფციის დახმარებით, რადგან ისინი იბრძვიან, მაგრამ არა რაღაცის ან ვიღაცის წინააღმდეგ. ეს იდეა გამძაფრებულია იმ მუხლის დახმარებით, რომელიც გვჭირდება რესპუბლიკელების თანამდებობაზე:

„So as long as we're proud of who we are and what *we're fighting for*, there is nothing beyond our reach, nothing, we need Republicans put in office“ (Trump 2018).

„ასე რომ, სანამ ჩვენ ვამაყობთ იმით, ვინც ვართ და *რისთვისაც ვიბრძვით*, ჩვენ ვერაფერი შეგვაჩერებს, ჩვენ გვჭირდება რესპუბლიკელების დაყენება“ (ტრამპი 2018).

„I want you to know – we will never **stop fighting** for justice“ (Trump, Congress speech, 2017).

„მინდა იცოდეთ - ჩვენ არასოდეს *შევწყვეტთ ბრძოლას* სამართლიანობისთვის“ (ტრამპი, კონგრესის გამოსვლა, 2017).

„პოლიტიკა ომია“ მეტაფორის ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ ტრამპის დისკურსში კონცეპტუალურ მეტაფორას აქვს შეფასებითი პოტენციალი - შეფასებები, რომლებიც გამოხატულია ლინგვისტური მეტაფორებით და მიეკუთვნება იმავე კონცეპტუალურ მეტაფორას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს და შეიძინოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციები.

ზაიდენის პოლიტიკური კამპანია მლელვარე სცენარში მიმდინარეობდა მისი წინამორბედის მიერ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. ის ცხადყოფს, რომ ის არის ომისა და დაპირისპირების ძლიერი მოწინააღმდეგე და დადებითად არის აღნიშნული ტერმინები, როგორცაა: მშვიდობა და დაცვა. იგი იცავს ზოგიერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ ტერმინს ომის შესახებ წარმოთქმულ მეტაფორებში. ასეთი კოლოკაცია ჰქმნის მოწოდებას მშვიდობისა და ძმობის, დიალოგისა და ურთიერთგაგებისკენ, რითაც დისკურსს შემარიგებელ და თბილ ტონს აძლევს.

ზაიდენის გამოსვლაში პოლიტიკა განიხილება, როგორც ბრძოლა; ამდენად, მისი საბოლოო მიზანია დაცვა და გაბატონება. ზაიდენი იყენებს სიტყვებს „მოვალეობა“, „დაცვა“ და „დამარცხება“:

„And each of us has a *duty and responsibility*, as citizens, as Americans, and especially

*as leaders – leaders who have pledged to honor our Constitution and **protect** our nation — to **defend** the truth and to **defeat** the lies“* (Biden, inauguration speech, 2021).

„და თითოეულ ჩვენგანს აქვს **მოვალეობა** და პასუხისმგებლობა, როგორც მოქალაქეებს, როგორც ამერიკელებს და განსაკუთრებით როგორც ლიდერებს - ლიდერებს, რომლებმაც პირობა დადეს, რომ პატივი სცენ ჩვენს კონსტიტუციას და **დაიცვან** ჩვენი ერი - დავიცვათ სიმართლე და **დავამარცხოთ** ტყუილი“ (ბაიდენი, საინაგურაციო სიტყვა, 2021).

იმის ნაცვლად, რომ ხაზი გაუსვას ძალაუფლებას, როგორც ბრძოლას ან ბატონობას, ბაიდენის მიერ ამ მეტაფორის გამოყენება ტრიალებს კოლექტიური გაძლიერებისა და ერთიანობის გარშემო. ბაიდენის გამოსვლაში ძალაუფლების მეტაფორის ერთ-ერთი მაგალითია, როდესაც ის აცხადებს:

*„Today, we celebrate the **triumph** not of a candidate but of a cause, the cause of **democracy**“* (Biden, inauguration speech, 2021).

„დღეს ჩვენ ვზეიმობთ არა კანდიდატის, არამედ საქმის, დემოკრატიის **ტრიუმფს**“ (ბაიდენი, საინაგურაციო სიტყვა, 2021).

აქ ბაიდენი ხაზს უსვამს აზრს, რომ ძალაუფლება მდგომარეობს ხალხის კოლექტიურ ნებასა და ჩართულობაში და რომ დემოკრატია არის ძლიერი ძალა, რომელიც აღემატება ცალკეულ ლიდერებს. ერთიანობისა და თანამშრომლობის ძალის ხაზგასმით, ბაიდენი აფართოებს ძალაუფლების მეტაფორას.

„ერი არის ოჯახი“ არის მეტაფორა, რომელიც საუკუნეების მანძილზე შემორჩა. შეიძლება მივყვეთ ანტიკურ პერიოდში განვითარებულ სახელმწიფოს თეორიებს (Musolff, 2004:234). ეს ოჯახური გამოსახულება ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა საზოგადოებაში, მაგრამ ინტერპრეტაციები განსხვავდება ისტორიული და კულტურული მახასიათებლების მიხედვით. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მეტაფორა აერთიანებს ბიოლოგიურ და იერარქიულ პრინციპებს. მაგალითად, მმართველები ხშირად განმარტავდნენ საკუთარ თავს, როგორც თავიანთი ერების „მამებს“, ხოლო ქვეშევრდომებს, როგორც სხვადასხვა ასაკისა და სიმწიფის „შვილებს“. ეს მათ საშუალებას აძლევს გაამართლონ თავიანთი გადაწყვეტილებები, რადგან მამას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. გარდა ამისა, ქვეყანაში წესრიგი დამყარებულია, რადგან მამამ იცის ყველაზე უკეთ და მისი განსჯა არ არის კითხვის ნიშნის ქვეშ (Ringmar, 1997:245).

უფრო მეტიც, აღსანიშნავია, რომ ოჯახის კონცეპტუალური სფერო ხაზს უსვამს სიყვარულისა და ჰარმონიის ურთიერთობებს საზოგადოების წევრებს შორის. პროტოტიპური ოჯახის კონცეფცია აგებულია ოჯახური ცხოვრების კარგ მაგალითებზე, რომლებიც დაკავშირებულია კულტურულ და ფოლკლორულ

შეხედულებებთან. მაგალითად, ისინი ნაჩვენებია ტრადიციულ იდეებში მშობლებისა და ქორწინების შესახებ, როგორცაა ბიბლიური მცნებები და იგავი უძლები შვილის შესახებ ახალ აღთქმაში (Musolff, 2004:234). გარდა ამისა, როგორც მუსოლფი ამბობს, როგორც წესი, ოჯახის წევრობა უაღრესად დაფასებულია. ეს რწმენა ფართოდ არის გამოხატული ოჯახურ მეტაფორებში, რომლებიც გამოიყენება ბრიტანეთის საჯარო დებატებში ევროპული პოლიტიკის შესახებ (Musolff, 2004:240).

თუმცა, ლაკოფის მიხედვით, პოლიტიკური ოჯახის მეტაფორა ტრადიციულად ეკუთვნის სახელმწიფოს ურთიერთობას და მის მოქალაქეებს (Lakoff, 1996:245). ის საშუალებას იძლევა გავიგოთ ერი იმ კუთხით, რაც ცნობილია ოჯახის შესახებ. მაგალითად, მთავრობა მიზნად ისახავს მოქალაქეების დაცვას, როგორც მშობლები იცავენ შვილებს (Musolff, 2004:258). ანალოგიურად ერიკ რინგმერი აცხადებს, რომ მამის პასუხისმგებლობაა გამოიჩინოს პირადი ინტერესი თავისი ოჯახის წევრების მიმართ და იფიქროს მათ კეთილდღეობაზე (Ringmar, 1997:68). შესაბამისად, სახელმწიფო, რომელიც ბავშვებს თავის სუბიექტებად თვლის, არის პატერნალისტური (შაპირო, 1999:301). ასეთი სახელმწიფო ფიქრობს და მოქმედებს ხალხის სახელით. ის ასევე აწესებს დისციპლინას და რეგულაციებს, რათა დაიცვას ისინი მავნე მოულოდნელობებისაგან და ხშირად საკუთარი თავისგან. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ წმინდა პატრიარქალიზმი საკმაოდ იშვიათია. ოჯახურ მოდელზე აგებული საზოგადოება, სავარაუდოდ, იძლევა დებატების გაზომვის საშუალებას (Ringmar, 1997:231). გარდა ამისა, კონცეპტუალური მეტაფორა „ერი არის ოჯახი“ ცენტრალური მეტაფორაა ამერიკის პოლიტიკის საზოგადოების კონცეპტუალიზაციის სისტემაში. ლაკოფი ანალიზებს კონსერვატიულ და ლიბერალურ იდეოლოგიებს შეერთებულ შტატებში „ერი არის ოჯახი“ მეტაფორას ორი ვერსიის მიხედვით: ოჯახის მოდელები, როგორცაა მკაცრი მამა და აღმზრდელი მშობელი. ისინი კულტურულად შეკრული ტრადიციული მამრობითი და მდედრობითი სქესის ოჯახის მოდელების ვარიანტებია, რომელთაგან თითოეული შეიცავს მორალურ ფასეულობებს (Lakoff, 1996:46). თუმცა, ეს წყაროს დომენი არ არის დამახასიათებელი ამერიკული პოლიტიკისთვის და შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ერებზე (Musolff, 2004:261).

„We are all brothers and all sisters. *We share one home*. One destiny and one glorious American flag. We are united together by history and by providence“ (Trump, Rally Speech in Florida).

„ჩვენ ყველანი და-ძმები ვართ. *ჩვენ ვიზიარებთ ერთ სახლს*, ერთ ბედს და ერთ დიდებულ ამერიკის დროშას. ჩვენ ისტორია და ბედისწერა გვაერთიანებს“ (ტრამპი, რალის გამოსვლა ფლორიდაში).

ლაკოფი ცხადყოფს, რომ მორალი მეტაფორების მეშვეობით გაიგივებულია დისციპლინასთან, ავტორიტეტთან, წესრიგთან, საზღვრებთან, ერთგვაროვნებასთან, სიწმინდესა და თვითინტერესთან მკაცრი მამის მოდელში (Lakoff, 1996:170). ეს თვისებები საფუძვლად უდევს ბევრ საერთო თემას ამერიკულ საზოგადოებაში: პურიტანული სათნოებები, ძლიერი მთავრობის სურვილი, საკუთრების უფლებების პრიორიტეტი, აქცენტი ეკონომიკურ განვითარებაზე და ოჯახის კეთილგანწყობაზე (Goatly, 2007:47). გარდა ამისა, ლაკოფის მიხედვით, მკაცრი მამის მოდელი აგებულია ტრადიციული ბირთვული ოჯახის იდეაზე, მამას აქვს მაღალი უფლებამოსილება დააწესოს მკაცრი წესები ბავშვებისთვის (Lakoff, 1996:134). ასეთ რიტორიკას აქვს მნიშვნელოვანი წარმატება ძირითად აუდიტორიასთან, რომელიც გრძნობს თავს ოჯახთან დაკავშირებული სიტყვებით, მაგალითად, *მოვალეობა, სამსახური, მორალური ფასეულობები, ძალა, გამბედაობა, მშვენიერი სახლი, ბავშვები, საოცარი ცოლი, ჩემი ოჯახი პირველ რიგში, ჩემი ცხოვრების სიყვარული*, რომლებიც დონალდ ტრამპის გამოსვლაში დაუსრულებლად ჟღერდა (Musolff, 2016:278).

მეორე მხრივ, აღმზრდელი მშობლის ოჯახის მოდელში, ლაკოფის მიხედვით, სიყვარული, თანაგრძნობა და ზრუნვა წამყვანი ფაქტორებია (Lakoff, 1996:56). ამრიგად, ბავშვები ხდებიან პასუხისმგებელიანები და თვითკმარნი, რადგან მათ ოჯახში ზრუნავენ და პატივს სცემენ (Musolff, 2016:59). ლიბერალური იდეოლოგია დაფუძნებულია აღმზრდელი მშობლის მოდელზე, რომელიც ემპათიას იწვევს მორალის თვალსაზრისით. ის გაჟღენთილია ლიბერალურ-მორალური ღირებულებებით, როგორცაა: ღირსება, მადლიერება, გულწრფელობა, გამბედაობა, თანაგრძნობა, პატივისცემა. შესაბამისად, ეს ღირებულებები განიხილება, როგორც „რბილი“ და ეწინააღმდეგება „ძლიერ“ კონსერვატიულ მორალს (Mihas, 2005:212).

როგორც მკაცრი მამა, ისე ერი, როგორც ოჯახი, მეტაფორები ხაზს უსვამს მამის „საზეიმო მოვალეობას“, „დაიცვას“, „უზრუნველყოს“, „ემსახუროს“, „დაიცვას“ თავისი ოჯახი (Mihás, 2005:231).

„I will fight for you with every breath in my body – and *I will never, ever let you down*“.(Trump’s inaugural speech,2016)

„მე ვიბრძობლებ თქვენთვის ბოლო ამოსუნთქვამდე და *არასოდეს არ დაგაღალატებთ*“ (ტრამპი, საინაგურაციო სიტყვა, 2016).

„We restored American strength at *home* and American leadership abroad. The world *respects* us again. Please don’t *lose that respect*“ (Donald J.Trump, farewell address,2021).

„ჩვენ აღვადგინეთ ამერიკის ძალა *სახლში* და ამერიკის ლიდერობა საზღვარგარეთ. მსოფლიო კვლავ *გვაფასებს*. გთხოვთ, *არ დაკარგოთ ეს პატივისცემა*“ (დონალდ ტრამპი, გამოსამშვიდობელი სიტყვა, 2021).

„We fought for the principle that every citizen is entitled to *equal dignity, equal treatment*, and *equal rights* because we are all made *equal by God*. Everyone is entitled to be *treated with respect, to have their voice heard*, and to have their government listen. You are *loyal* to your country, and my administration was always *loyal* to you“ (Donald J.Trump, farewell address, 2021).

„ჩვენ ვიბრძობდით იმ პრინციპისთვის, რომ ყველა მოქალაქეს აქვს *თანაბარი ღირსება, თანაბარი მოპყრობა* და თანაბარი უფლებები, რადგან ჩვენ ყველანი *ღმერთის მიერ ვართ თანასწორნი*. ყველას აქვს უფლება, *მოექცნენ პატივისცემით, მოისმინონ მისი ხმა* და მოუსმინონ მთავრობას. შენ ხარ შენი ქვეყნის *ერთგული* და ჩემი ადმინისტრაცია ყოველთვის შენი *ერთგული* იყო“ (დონალდ ტრამპი, გამოსამშვიდობელი სიტყვა, 2021).

ტრამპი იყენებს ამ სახის რიტორიკას, რათა ააშენოს თავისი იმიჯი, როგორც დამცავი და საიმედო „ერის მამა“ და მოიპოვოს მოქალაქეების ნდობა.

მიუხედავად ამისა, გოუთლი (Goatly, 2007:213) აკრიტიკებს ლაკოფის ორი მორალური სისტემის განსხვავებას. მისი პირველი არგუმენტი არის ის, რომ შეუძლებელია მკაფიო განსხვავება კონსერვატიულ და ლიბერალურ პოლიტიკას შორის მკაცრი მამისა და მზრუნველი მშობლის მოდელებთან დაკავშირებით. მაგალითად, არსებობს წინააღმდეგობა იმაში, რომ მთავრობა განიხილება, როგორც მკაცრი მამა, რადგან კონსერვატორები თვლიან მთავრობის კონტროლს, როგორც არალეგიტიმურ ავტორიტეტს და ხაზს უსვამენ მცირე მთავრობას, თავისუფალ საწარმოს, რომელიც არ არის შეზღუდული სამთავრობო რეგულირებით (Lakoff, 1996:236).

გარდა ამისა, მუსოლფი კიდევ უფრო მეტად ავითარებს იდეას სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური ერთეულის შესახებ, როგორც ოჯახი, რომელიც მოიცავს დაქორწინებულ მშობლებსა და მათ შვილებს. ამ თვალსაზრისით, ცნებები ოჯახი, სასიყვარულო ურთიერთობა და ქორწინება გამოიყენება სხვა ქვეყნებთან, ერის შიგნით, მთავრობასა და მოქალაქეებს შორის და მთავრობის წევრებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების მიმართ. შედეგად, მუსოლფის მიხედვით, სხვადასხვა კომბინაციებში, ეს ცნებები აყალიბებს სამ მინი ნარატივს, რომელიც მოგვაგონებს დრამატულ ან საპნის ოპერის სიუჟეტებს:

ა. მშობლისა და ბავშვის ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია სოლიდარობასთან და იერარქია-ავტორიტეტთან: ბავშვი, შვილები, ბიძაშვილები, ოჯახი, ნათლიები, დედა, ობოლი და მშობლები;

ბ. ევროკავშირის წყვილის ქორწინება (ანუ საერთაშორისო ურთიერთობები სხვა ქვეყნებში): ყველა სახის ქორწინების პრობლემა მრუმობიდან, განშორებიდან, განქორწინებიდან, ქორწინებამდე და განახლებულ ქორწინებამდე;

გ. სიყვარული/საქორწინო ურთიერთობა (და პრობლემები) სახელმწიფოსა და მის ინსტიტუტებში: წყვილი, ქორწინება, განქორწინება, ფლირტი, ნიშნობა, თაფლობის თვე, ერთობლივი ანგარიში, სიყვარული, სასიყვარულო ურთიერთობა, სიყვარული ერთი ნახვით, ქორწინება, ქორწილი, პარტნიორობა, რომანტიკა, განცალკევება, მომჩივანები, კვანძი, (სიყვარული) სამკუთხედი, ქორწილი, (ქორწინება) აღთქმა და მიჯაჭვულობა (Musolff, 2016:324).

“Look, COVID left its scars, like the spike in violent crime in 2020 — the first year of the pandemic. We have an obligation to make sure *all people are safe*” (Remarks of President Joe Biden – State of the Union Address as Prepared for Delivery, 2023).

„კოვიდმა 2020 წელს - პანდემიის პირველ წელს დატოვა იარები, როგორც ძალადობრივი დანაშაულის პიკი. ჩვენ გვაქვს ვალდებულება, დავრწმუნდეთ, რომ *ყველა ადამიანი უსაფრთხოა*“ (პრეზიდენტი ჯო ბაიდენის შენიშვნები - სახელმწიფოს მიმართვა, 2023).

„let’s do more to keep this nation’s one *fully sacred obligation*: to equip those we send into harm’s way and *care for them and their families* when they come home“ (Remarks of President Joe Biden – State of the Union Address as Prepared for Delivery, 2023).

„მოდით, მეტი გავაკეთოთ ამ ერის *ერთი სრულიად წმინდა ვალდებულების შესანარჩუნებლად*: ავლჭურვოთ ისინი, ვისაც საზიანო გზაზე ვაყენებთ და *ვიზრუნოთ მათზე და მათ ოჯახებზე*, როცა ისინი სახლში დაბრუნდებიან“ (პრეზიდენტი ჯო ბაიდენის შენიშვნები - სახელმწიფოს მიმართვა, 2023).

„ჩვენ შევქმნით არსებითად განსხვავებულ, ჩვენი რეალობისთვის სრულიად ახალ დასაქმების ეკონომიკას. ამგვარი ეკონომიკა უარს იტყვის რიცხვებით მანიპულირებაზე. ეკონომიკის ცენტრში იქნება *ადამიანი, ოჯახი*. მისი მიზანი დასაქმება იქნება, ხოლო წარმატების საზომი – მოქალაქეთა *კეთილდღეობა*“ (გიორგი მარგველაშვილის სიტყვით გამოსვლა სპორტის სასახლეში, 2013).

ზურაბიშვილი თავის წინასაარჩევნო გამოსვლაში ხაზს უსვამს, რომ თანაბრად დაიცავს ყველა მოქალაქეს ეროვნებისა და აღმსარებლობის მიუხედავად. ამ პოლიტიკურ გზავნილებს ოპონენტები განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ სხვა ეროვნებებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე. მაგ.: ნინოწმინდაში ამომრჩეველთან შეხვედრისას ზურაბიშვილმა განაცხადა:

„მე, ვიქნები საქართველოს ყველა მოქალაქის პრეზიდენტი. სწორედ იმიტომ, რომ დაბადებული ვარ საფრანგეთში შეიძლება უფრო კარგად მესმის თუ რას ნიშნავს მოქალაქეობა. ეს ნიშნავს, რომ *ყველას ერთნაირი უფლება გააჩნია* მიუხედავად რელიგიისა, წარმოშობისა, კულტურისა და ენისა. ამ ყველაფერს არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ყველა არის ქვეყნის *თანასწორი მოქალაქე*. მე, ვიქნები ამ თანასწორი



მოქალაქეების პრეზიდენტი“ (სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვა, 2018).

„ჩემი, და დარწმუნებული ვარ, თუთოეული ქართველის ოცნებაა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რაც შეიძლება მეტი ემიგრანტი დაუბრუნდეს თავის სოფელს, მიტოვებულ სახლ-კარს. ეს არის საქმე, რომელსაც სჭირდება ძალიან დიდი ძალისხმევა, მუდმივი ურთიერთობა რეგიონებში მცხოვრებ ხალხთან. ისევე, როგორც დღეს ვარ აქ, თელაველებთან, *მე ჩავალ ყველა რეგიონში, ვიქნები ჩემს ხალხთან!*“ (ზურაბიშვილის წინასაარჩევნო გამოსვლა, 2018).

„მთელი ჩემი ძალებით მზად ვარ, *გვერდით დავუდგე* მათ, ერთად მოვიზიდოთ ინვესტიციები და ხელი შევუწყოთ ახალი იდეების განხორციელებას. ჩვენი საზოგადოების გაძლიერებისთვის უმნიშვნელოვანესია სოლიდარობა, პირველ რიგში, თაობათა შორის სოლიდარობა, რაც ისტორიულად გვახასიათებდა. ეს არ უნდა დაიკარგოს. ასევე, სოციალურ სოლიდარობაზე დგას ძლიერი სახელმწიფო. იქ, სადაც არის *თანაგრძნობა, ერთმანეთის გატანა, მხარდაჭერა*, არის სტაბილურობა და იხსნება ყველა გზა წინსვლისკენ. სოლიდარობა ნიშნავს იმას, რომ გვახსოვს და გვერდით ვუდგავართ ყველას, ვისაც თანადგომა სჭირდება: სოციალურად დაუცველებს, მარტოხელა დედებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს. მე ვიქნები ჩვენი დევნილების გვერდით. მე კარგად ვიცი, რაზე დგას მათი ოჯახები - ძალიან დიდ მოთმინებაზე, სიმტკიცეზე და იმედზე! და ეს იმედი ყველას გვაერთიანებს!“ (სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვა, 2018).

„როგორც პრეზიდენტი, მე ვემსახურები თითოეულ თქვენთაგანს. საქართველოს *ყველა მოქალაქისთვის, ერთნაირად ვიქნები უფლებათა დაცვის გარანტი*“ (ზურაბიშვილის სიტყვა 26 მაისის ღონისძიებაზე, 2019).

ქალებს დიდი როლი ეკისრებათ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის წარმართვაში. ამ ფაქტორს ეფექტურად იყენებს პრეზიდენტობის ქალი კანდიდატი და პრეზიდენტის როლზე საუბრისას ქალების თემას ცალკე გამოყოფს და აღნიშნავს, რომ ის, უპირველეს ყოვლისა, იქნება „ქალების პრეზიდენტი“.

„ჩვენი ქვეყანა მზად არის იმისათვის, რომ ჰყავდეს ქალი პრეზიდენტი. პრეზიდენტი ქალი იქნება ქალთა ლიდერების მსოფლიო ქსელის წევრი. მათ აქვთ ბევრი საშუალება, რათა *დაეხმარონ ერთმანეთს*. მე ვაპირებ, მთლიანად გამოვიყენო ეს


შესაძლებლობა“ (ზურაბიშვილის წინასაარჩევნო გამოსვლა, 2018).

სწორედ, გენდერულ ასპექტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინაპრების, ოჯახის და შვილების კომპონენტი. სალომე ზურაბიშვილის დისკურსი ამ კუთხით გამორჩეულია ქვეყნის ისტორიულ წიაღსვლებთან მიმართებაში.

განათლების თემაზე საუბრისას, სალომე ზურაბიშვილი საბავშვო ბაღებისა და მოხუცებულთა თავშესაფრების გვერდიგვერდ განთავსების ინიციატივით გამოვიდა, რაც მისი აზრით, თაობების ერთმანეთთან დაკავშირებისა და უფროსების გამოცდილების გამოყენების კარგი საშუალება იქნება. მანვე უცხოეთში სასწავლებლად წასული სტუდენტების დაბრუნების აუცილებლობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ მათ საქართველოში დასაბრუნებლად „მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ“.

„მთავარია, რომ ყველა თაობა იყოს აქტიური. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ აქტიური იყოს საზოგადოების მხოლოდ ნაწილი. ბევრი საშუალებაა იმისათვის, რომ მესამე თაობა - ჩვენი პატარები იყვნენ დაკავშირებული ასაკოვან ადამიანებთან. ასე გადადის ტრადიციები, ცოდნა. ასე სწავლობენ ახალგაზრდები იმას, რომ ქვეყანაში ძალადობა, სიძულვილის ენა არ უნდა ვრცელდებოდეს. ისინი *ბებიებისა და ბაბუების სიყვარულით* უნდა გაიზარდონ“ (ზურაბიშვილის წინასაარჩევნო გამოსვლა, 2018)

მეტაფორული საკვანძო სიტყვების განაწილება „პოლიტიკა არის ოჯახი“  
მეტაფორებში



### ერი არის სხეული

ადამიანის სხეულის, როგორც მეტაფორის წყაროების დომენების გამოყენებას სახელმწიფო ინსტიტუტებზე ხანგრძლივი ტრადიცია აქვს პოლიტიკურ დისკურსში, რომელიც თარიღდება ანტიკური დროიდან (Musolff, 2016:256). სხეულზე დაფუძნებული მეტაფორები: „სხეულის პოლიტიკა“, „ხელისუფლების შტოები“, მათ შორის „სახელმწიფოს მეთაური (თავი) ფართოდ გამოიყენება პოლიტიკურ დისკურსში პოლიტიკური სიტუაციებისა და პროცესების აღსაწერად (კარვერი და პიკალო, 2008:143). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეტაფორის „ერი არის სხეული“ გამოყენება სათავეს იღებს პრესოკრატულ ბერძნულ ფილოსოფიაში და დაფიქსირებულია პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომებში (Musolff, 2016:276). ანალოგიურად, გოუთმა მას პლატონამდე და ციცერონამდე მიაკვლია. მუსოლფის მიხედვით, ისინი წარმოადგენენ ორ მთავარ სცენარს მეტაფორაში „ერი სხეული“:

1) სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანოს ფუნქციონალურ-ანატომიური იერარქია თავიდან, ფეხებამდე.

2) ქვეყნის ჯანმრთელობის მდგომარეობა (Musolff, 2016:276).

ეს სცენარები კარგად არის ილუსტრირებული ჯანმრთელობისა და სოციალური ჰარმონიის პარალელით. ისევე, როგორც ჰიპოკრატეს ტრადიციაში, სადაც სხეულის ჯანმრთელობა შეიძლება მოიპოვებულ იქნას ყველა ორგანოს ჰარმონიითა და წონასწორობით, ასევე საზოგადოების ჯანმრთელობა მიიღწევა მხოლოდ პოლიტიკის სხეულის ერთიანი ნაწილების ჰარმონიული ფუნქციონირებით (Goatly, 2007:134).

მოგვიანებით, ეს მეტაფორა იყო ჩართული ქრისტიანული-თეოლოგიურ ტრადიციებში, განსაკუთრებით ძველი აღთქმის ტექსტების იდეებთან დაკავშირებით, რომლებშიც რჩეული ხალხი აღწერილია, როგორც უფლის სხეული (Musolff, 2016:289). ანალოგიურად, რინგმარი ადასტურებს, რომ სხეულის მეტაფორა წარმოიშვა ეკლესიაში (Ringmar, 2008:25). შუა საუკუნეების ფილოსოფიური ტრადიციის მიხედვით, ეკლესიას ორი სხეული ჰქონდა: დროითი და ტრანსცენდენტული; პირველი იყო ეკლესია, რომელსაც ხალხი ეკუთვნოდა დედამიწაზე ყოფნისას, ხოლო მეორე იყო მარადიული ეკლესია ზეცაში. მოგვიანებით, სუვერენული სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად, ეს ფიზიკური ინტერპრეტაცია სტაბილურად ჩამოშორდა და მიიღო პოლიტიკური გამოყენება. შედეგად, როგორც გოუთლი აღნიშნავს, მეტაფორა, რომელიც ასახავს საზოგადოებას ადამიანის სხეულის თვალსაზრისით, ჩვეულებრივ გამოიყენებოდა მეთორმეტედან მეთექვსმეტე საუკუნემდე ინგლისში (Goatly, 2007:48). ადამიანის სხეულის ეს ანალოგია საშუალებას გვაძლევს რაციონალურად გაგვეკეთებინა სოციალური უთანასწორობა და წესრიგი. ამრიგად, საზოგადოება განიხილება, როგორც ორგანიზმი, რომელიც შედგება სხვადასხვა ნაწილებისა და ორგანოებისგან. ამრიგად, პარალელები გავლენიანია სოციალურ კლასებსა და სხეულის ორგანოებს შორის: არისტოკრატია განიხილებოდა, როგორც „მკლავი“, სასულიერო პირები განიხილებოდა როგორც „გული“, გლეხები და ვაჭრები არიან „კუჭები“ და ბოლოს, მეფე არის "სახელმწიფოს მეთაური" (Ringmar, 2008:87). ყველა ამ ორგანოს აქვს საკუთარი ფუნქციები. ანალოგიურად, თითოეული სოციალური კლასი ასრულებს საზოგადოებაში შესაბამის ფუნქციებს, როგორცაა ლოცვა, თავდაცვა, ვაჭრობა ან მიწის დამუშავება. სოციალური როლების ამ დაყოფის შესაბამისად, საზოგადოების თითოეულმა ფენამ უნდა მიიღოს თავისი პოზიციის შესაბამისი

საშუალებები და მეტი არ მოითხოვოს (Goatly, 2007:90).

გარდა ამისა, სხეულის მეტაფორა ემყარება იერარქიას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს შემადგენელ ორგანოებს განსხვავებული ფუნქციები და პოზიციები აქვთ, სახელმწიფოს იერარქიული სტრუქტურა სოციალური წესრიგის შენარჩუნების წინაპირობაა. სრულიად განსხვავებული ფუნქციების გამო სოციალური კლასები ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი (Ringmar, 2008:145). ამიტომ, რინგმარი აცხადებს, რომ კონფლიქტები წარმოდგენელია სხეულად აღქმულ მდგომარეობაში, რადგან გულს არ შეუძლია მუცელთან ბრძოლა. პირიქით, ყველა კლასი ერთმანეთზე უნდა იყოს დამოკიდებული მთელი სახელმწიფოს ზუსტი ფუნქციონირებისთვის. მაგალითად, ხელმძღვანელის მოვალეობა, იზრუნოს სხეულის ყველა წევრზე, შერწყმულია ნებისმიერი დაავადების განკურნების მოვალეობასთან, მათ შორის ნებისმიერი დაზიანებული ორგანოს ამპუტაციასთან. ეს ავადმყოფობის თერაპიის სცენარი, ნასესხები ბიბლიიდან, წარმოადგენს ზოგად გამოკვლევას დაავადებათა პოლიტიკის ორგანოში (Ringmar, 2008:176).

უნდა დავამატოთ, რომ სხეულის პოლიტიკური მეტაფორა დღემდე შემორჩენილია. მაგალითად, მისი ზოგიერთი ასპექტი ასევე გახდა ფიქსირებული გამოხატულება, როგორცაა: სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის მეთაური, კანონის ორგანო, კანონის (გრძელი) მკლავი, ორგანო (პარტიის) ან საზოგადოების გული. გარდა ამისა, სხეულზე დაფუძნებული მეტაფორების ფართო სპექტრი შეიძლება აღინიშნოს ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში.

სხეულზე დაფუძნებული ყველაზე ცნობილი ცნებებია *თავი, გული, ხელი, კიდური, მკლავი, ფეხი, მუცელი, სახე, სისხლი, კიბო, ინფექცია, ჭრილობა, შხამი და ოპერაცია-ამპუტაცია* (Musolff, 2016:349). ამრიგად, მუსოლფის მიხედვით, ცხოვრება-სხეული-ჯანმრთელობის კონცეფცია გადმოცემულია შემდეგი სცენარების სახით:

ა. სასიცოცხლო ციკლი: დაწესებულება, როგორც ადამიანის სხეული იზადება, ის ცოცხლობს და იზრდება, ხოლო როდესაც დაწესებულება წყვეტს ფუნქციონირებას, ის კვდება;

ბ. ჯანმრთელობა/ავადმყოფობა: დაწესებულებას აწუხებს დაზიანებები და დაავადებები, მკურნალობს და გამოჯანმრთელდება;

გ. სხეული: დაწესებულების ნაწილები მისი სხეულის ორგანოებია (მუსოლოფი, 2016:359).

„We are one people, with one destiny. *We all bleed the same blood.* We all salute the same flag“ (Trump, Congress speech).

„ჩვენ ერთი ხალხი ვართ, ერთი ბედით. *ყველას ერთი და იგივე სისხლი გვდის.* ჩვენ ყველანი მივესალმებით ერთსა და იმავე დროშას (ტრამპი, კონგრესის გამოსვლა).

დონალდ ტრამპი მიუთითებს საერთო სისხლის კონცეფციაზე, რათა ხაზი გაუსვას მთელი ერის ერთიანობას და ამით გააღვიძოს აუდიტორიაში პატრიოტული გრძნობები.

„I go from this majestic place with a loyal and *joyful heart*, an *optimistic spirit*, and a supreme confidence that for our country and for our children, the best is yet to come“ (Donald J.Trump, farewell address, 2021).

„მე მივდივარ ამ დიდებული ადგილიდან ერთგული და *მხიარული გულით, ოპტიმისტური სულით* და უმაღლესი რწმენით, რომ ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი შვილებისთვის საუკეთესო ჯერ კიდევ წინ არის“ (დონალდ ტრამპი, გამოსამშვიდობელი სიტყვა, 2021).

„And that’s always been my vision for our country.

To restore the *soul* of the nation.

To rebuild the *backbone* of America, the middle class“.

(Remarks of President Joe Biden – State of the Union Address as Prepared for Delivery, 2023)

„ჩემი ხედვა ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყნის აღდგენა, აღმედგინა ერის *სული*, ერის *ხერხემალი* - საშუალო კლასი“ (პრეზიდენტი ჯო ბაიდენის შენიშვნები - სახელმწიფოს მიმართვა, 2023).

„And two years ago, our democracy faced its greatest threat since the Civil War. And today, though *bruised*, our democracy remains unbowed and unbroken“ (Remarks of President Joe Biden – State of the Union Address as Prepared for Delivery, 2023).

„და ორი წლის წინ, ჩვენს დემოკრატიას სამოქალაქო ომის შემდეგ ყველაზე დიდი საფრთხე შეექმნა. დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ *დაჟეჟილია*, ჩვენი დემოკრატია რჩება დაუმორჩილებელი და ურყევი“ (პრეზიდენტი ჯო ბაიდენის შენიშვნები -

სახელმწიფოს მიმართვა, 2023).

“Look, COVID *left its scars*, like the spike in violent crime in 2020 — the first year of the pandemic. We have an obligation to make sure all people are safe” (Remarks of President Joe Biden – State of the Union Address as Prepared for Delivery, 2023).

„კოვიდმა 2020 წელს - პანდემიის პირველ წელს **დატოვა იარები**, როგორც ძალადობრივი დანაშაულის პიკი. ჩვენ გვაქვს ვალდებულება, დავრწმუნდეთ, რომ ყველა ადამიანი უსაფრთხოდაა“ (პრეზიდენტი ჯო ბაიდენის შენიშვნები - სახელმწიფოს მიმართვა, 2023).

„სოფლის აღორძინება თანაბრად მნიშვნელოვანია სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთათვის. ტრადიციულად სოფელი არა მხოლოდ საკუთარ თავს ინახავდა, არამედ **ზურგს უმაგრებდა** ქალაქს“ (გიორგი მარგველაშვილის სიტყვით გამოსვლა სპორტის სასახლეში, 2013).

„სოფლის დახმარება უნდა გაგრძელდეს რამდენ ხანსაც საჭირო იქნება, სანამ სოფელი **ფეხზე არ დადგება**“ (გიორგი მარგველაშვილის სიტყვით გამოსვლა სპორტის სასახლეში, 2013).

„ამიტომ ჩვენ დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ამ მიმართულებით **ფხიზლად ყოფნა** და მე მიმაჩნია, რომ სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა სწორია. მაგრამ ამ ახალ ფაზაში, ჩემი აზრით, კიდევ უფრო ძლიერი უნდა იყოს მოტივაცია - პოლიტიკური კუთვნილების გარეშე, ჩვენი, ყველას გაერთიანებისა, იმ ღირებულებების ირგვლივ, რასაც ჩვენი სამშობლოს მთლიანობის, ერთიანობის დაცვა ჰქვია“ (გ. მარგველაშვილის გამოსვლა პარლამენტში, 2018).

„ჩემთვის გასაოცარი იყო, როდესაც 2015 წელს მე გამოვაცხადე დისკუსიები ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებით და ყველა პარტია, ყველა ინტერესჯგუფი მოვიდა და ყველასთან მქონდა შესაძლებლობა დიალოგი მეწარმოებინა და „ქართულმა ოცნებამ“ ამ დიალოგს **ზურგი შეაქცია**“ (გ. მარგველაშვილის გამოსვლა პარლამენტში, 2018).


„ჩვენს საზოგადოებას დიდი **დაღი დაასვა** ტოტალიტარიზმმა. მისგან საბოლოოდ, ყოველმხრივ გატავისუფლება არის ერთ-ერთი რთული გამოწვევა, ბევრად უფრო რთული, ვიდრე დამოუკიდებლობის პირველ წლებში წარმოგვედგინა“

(სალომე ზურაბიშვილის სიტყვა 26 მაისის ღონისძიებაზე, 2019).

მთლიანობაში, მუსოლფი ასკვნის, რომ პოლიტიკოსის ფიზიკური სხეული არის ფრაზის „ერი არის სხეული“ - სხვადასხვა გამოვლინების პირდაპირი სამიზნე რეფერენტი. თუმცა, თავად ფრაზა ეხება იმპლიციტურ სამიზნეს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკოსის პოზიციას, ძალაუფლებას და სტატუსს (Musolff, 2016:379).

სქემა 6


მეტაფორული საკვანძო სიტყვების განაწილება „პოლიტიკა არის სხეული“  
მეტაფორებში






დიაგრამა 1

ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული კონცეპტუალური მეტაფორების  
სიხშირე



დიაგრამა 2

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული კონცეპტუალური მეტაფორების  
სიხშირე



ამერიკულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ხშირად გამეორებული სიტყვების  
სტატისტიკა

წყარო	ამერიკული დისკურსი					ქართული დისკურსი					ჯამი
	დონალდ ტრამპი		ჯოზეფ ბაიდენი		ჯამი	გიორგი მარგველაშვი ლი		სალომე ზურაბიშვი ლი		ჯამი	
ომი	12	33%	11	41%	23	3	20%	4	21%	7	30
თამაში	7	19%	2	7%	9	3	20%	1	5%	4	13
მოგზაურ ობა	9	25%	5	19%	14	2	13%	3	16%	5	19
შენება	2	6%	4	15%	6	2	13%	5	26%	7	13
ოჯახი	4	11%	2	7%	6	1	7%	5	26%	6	12
სხეული	2	6%	3	11%	5	4	27%	1	5%	5	10
ჯამი	36	100%	27	100%	63	15	100%	19	100%	34	97

## ზოგადი დასკვნები

ჩვენ მიერ განხორციელებული ამერიკელი და ქართველი პრეზიდენტების 20 მნიშვნელოვანი გამოსვლის (აქედან 12 ამერიკული და 8 ქართული) ემპირიული მასალის კვლევის ანალიზის საფუძველზე, რომელიც დაფუძნებულია ექვს კონცეპტუალურ მეტაფორაზე: *პოლიტიკა არის ომი*, *პოლიტიკა არის მოგზაურობა*, *პოლიტიკა არის თამაში*, *ერი არის შენება*, *ერი არის ოჯახი*, *ერი არის ადამიანი*, დავასკვნით, რომ:

- ❖ ომის მეტაფორები ორგანიზებულია კონცეპტუალური გასაღების - „პოლიტიკა არის ომი“- ქოლგის ქვეშ და ისინი იკავებენ კორპუსის 38%-ს, 20 მეტაფორული გამონათქვამით. ეს კონცეპტუალური გასაღები მოიცავს კონცეპტუალურ მეტაფორებს და მათ შესაბამის მეტაფორულ გამონათქვამებს, რომლებიც ორგანიზებულია შემდეგი მეტაფორული საკვანძო სიტყვების გარშემო: დაცვა, ბრძოლა, გამარჯვება, მტერი, დაპირისპირება, ტაქტიკა, იარაღი, მთავარსარდალი და ა.შ. ომის კონცეპტუალური გასაღების ქვეშ ყველაზე დომინანტური მეტაფორული საკვანძო სიტყვაა „ბრძოლა“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ომის მეტაფორა პოლიტიკურ დისკურსში ქმნის პოლიტიკური არჩევნების წარმოდგენას, როგორც ბრძოლის ველს, სადაც ჯარისკაცები იბრძვიან ძალაუფლებისთვის. პოლიტიკური კანდიდატები ჯარისკაცების როლს ასრულებენ და პარტია მათი ერია, რომელთანაც შესაძლებელია ალიანსის გაკეთება პოლიტიკური კოალიციის პირობებში. ომის მეტაფორა დისკურსში განიხილავს პოლიტიკურ არჩევნებს, როგორც ფიზიკურ ბრძოლას პოლიტიკოსებს შორის ინდივიდუალური ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.
- ❖ როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, თამაშთან და სპორტთან დაკავშირებული მეტაფორები საკმაოდ გავრცელებულია, რადგან პოლიტიკასაც და სპორტსაც ჰყავს გამარჯვებულები და დამარცხებულები, რაც საჭიროებს სტრატეგიებს და არჩევანს, რადგან პრინციპულად არაპროგნოზირებადია. „პოლიტიკა არის თამაში“- მეტაფორას ახასიათებს თამაშებისა და სპორტული ცნებების ლექსიკური ელემენტების გამოყენება

კონკრეტულ პოლიტიკურ ცნებებთან (მაგ: *არჩევნები, პოლიტიკური დებატები, პოლიტიკური მოლაპარაკებები და სოციალური პრობლემების მოგვარება*). ანალიზის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ პოლიტიკა აღიქმება თამაშად და პოლიტიკოსები განიხილება როგორც მოთამაშეები. უფრო მეტიც, პოლიტიკური პარტიები განიხილება როგორც სპორტული გუნდები და პოლიტიკური ტაქტიკა გაგებულა, როგორც სპორტული ტაქტიკა. ეს ყველაფერი მეტ-ნაკლებად პოლიტიკოსების პოლიტიკურ გამოსვლებში ჩნდება. ამგვარად, პოლიტიკა, მეტაფორულად რომ ვთქვათ, არის თამაში, რომელიც უნდა მოიგო. პოლიტიკოსები იბრძვიან და ეჯიბრებიან ოპონენტებს არჩევნების მოსაგებად.

- ❖ კონცეპტუალური სტრუქტურა „პოლიტიკა არის მოგზაურობა“- ასახავს პოლიტიკურ ცხოვრებას, როგორც მოგზაურობის პერიოდს, რომელშიც მოქალაქეებს შეუძლიათ მსვლელობა თავიანთ სახელმწიფო ლიდერებთან ერთად. როდესაც საქმე მოგზაურობას ეხება, შესაძლებელია ფიქრი მოგზაურობის კომპონენტებზე, რომლებიც მოიცავს საწყის წერტილს, დანიშნულების ადგილს, მოგზაურებს, ტრანსპორტირებას, ისევე როგორც ტვირთს, დაბრკოლებებსა და რისკებს. ვინაიდან გრძელი მოგზაურობის დროს ადამიანებს შეუძლიათ განიცადონ სიხარულიც და მწუხარებაც, მიზნები ყოველთვის ღირებულია.
- ❖ კონცეპტუალური სტრუქტურა „პოლიტიკა არის შენება“ ორგანიზებულია შემდეგი მეტაფორული საკვანძო სიტყვებით: *აშენება, აღდგენა, საძირკველი, მშენებლობა, გზის გაჭრა, აგურის დადება* და ა.შ. მშენებლობა გულისხმობს შემოქმედებითი პროცესის არსებობას და ერის გაძლიერების მიზნობრივი მოთხოვნით პოლიტიკოსები აპირებენ შექმნან ეროვნული იდენტობის აღდგენის პროცესში ჩართულობის ძლიერი განცდა.
- ❖ კონცეპტუალური მეტაფორა „ერი არის ოჯახი“ მნიშვნელოვანი მეტაფორაა როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართული საზოგადოების კონცეპტუალიზაციის სისტემაში. ეს მეტაფორული გამონათქვამები ორგანიზებულია შემდეგი მეტაფორული საკვანძო სიტყვებით: *მხარდაჭერა,*

*პატივისცემა, თანასწორობა, ერთგულება, ზრუნვა, ღალატი, ვალდებულება.*  
პოლიტიკური ოჯახის მეტაფორა ტრადიციულად ეკუთვნის სახელმწიფოში არსებულ ურთიერთობებს და მის მოქალაქეებს. ის საშუალებას იძლევა აღვიქვათ ერი იმ კუთხით, რაც ოჯახს უკავშირდება.

- ❖ *სხეულზე დაფუძნებული მეტაფორების ფართო სპექტრი ჩნდება ქართულ და ინგლისურენოვან პოლიტიკურ დისკურსში. სხეულზე დაფუძნებული ყველაზე ცნობილი ცნებებია: თავი, გული, ხელი, კიდური, მკლავი, ფეხი, მუცელი, სახე, სისხლი, კიბო, ინფექცია, ჭრილობა, შხამი და ოპერაცია-ამპუტაცია და ა.შ.*

კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მეტაფორები მძლავრი იარაღებია პოლიტიკურ მედიადისკურსში, რომელიც ქმნის პოლიტიკურ რეალობას და მის აღქმას. კვლევამ წარმოაჩინა მეტაფორების ზემოქმედების რთული გზები ამერიკულ და ქართულ პოლიტიკურ მედიაში, რაც ხაზს უსვამს როგორც უნივერსალურ, ისე კულტურის სპეციფიკურ ელემენტებს. პოლიტიკური კომუნიკაციის განვითარებასთან ერთად, მეტაფორების გამოყენების აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანი იქნება პოლიტიკური დისკურსის რთული ლანდშაფტის გაგებისა და სწორი ნავიგაციისთვის.

## გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

### ქართული ლიტერატურის ჩამონათვალი

1. ადეიშვილი, ქ. „არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში“. ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი. 2013
2. ბალაძე, მ. „ევეემიზმები და მათი თარგმნის სტრატეგიები (ქართული და ინგლისური ენების მასალაზე)“, თბილისი. 2015
3. დარასელია, ნ. “Metaphors of Silence across Cultures (on material from English, Georgian and Russian), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2012
4. ლებანიძე, გ. „კომუნიკაციური ლინგვისტიკა, ენა და კულტურა, თბილისი. 2004
5. მსახურაძე, ნ. „Towards the Linguistic-Politological Analysis of Interviews“, ბათუმი. 2013
6. კირვალიძე, ნ. „მეტაფორული კონცეპტუალური პარალელიზმები ამერიკულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში“. თბილისი. 2009
7. ოშიაძე, ს. „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება“, თბილისი. 2006
8. გულიაშვილი, ნ. „გენდერული იდენტობის რეპრეზენტაცია მედია-დისკურსში (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი ადგილობრივი ინგლისურენოვანი გაზეთების მიხედვით)“, თბილისი. 2017

### ინგლისური ლიტერატურის ჩამონათვალი

9. Ablali, D. “Patrick Charaudeau, Le discours politiques. Les masques du pouvoir.” Cahiers de praxématique 45 (2006) : 203-214. 2006
10. Allbritton, D. “When Metaphors Function as Schemas: Some Cognitive Effects of Conceptual Metaphors”. 2009.
11. Alice F. F. “Institutional Discourse”. 2015
12. Amossy, R. “Argumentation et discours politique.” Mots Les langages du politique 94 : 5-13. 2010

13. **Antaki, Ch.** „Applied conversation analysis: Intervention and change in institutional talk“. Basingstoke, UK: Palgrave Macmillan. 2011
14. **Atkinson, J. & Drew, P.** „Order in court: The organisation of verbal interaction in judicial settings“. London, UK: Macmillan. 1979
15. **Baylon, C.** „Sociolinguistique“. Paris : Nathan. 1996
16. **Black, M.** „Models and Metaphors: Studies in Language and Philosophy“, Cornell University Press. 1962
17. **Bonnafous, S. Ciron, P. Ducard, D. Levy, C.** „Argumentation et discours politique“. Rennes : Presses universitaires de Rennes. 2003
18. **Buffon, B.** „La parole persuasive“. Paris : Presses Universitaires de France. 2002
19. **Benveniste, E.** „Problems in General Linguistics“, trans. M.E. Meek. University of Miami Press, Coral Gables, FL. 1971
20. **Charaudeau, P.** „Mainguaneau D. Dictionnaire d'analyse du discours“. Paris : Seuil. 2002
21. **Charaudeau, P.** „Le discours politique. Les masques du pouvoir“. Paris: Vuibert. 2005
22. **Charteris-Black, J.** „Corpus Approach to Critical Metaphor Analysis“. New York: Palgrave Macmillan. 2004
23. **Chilton, P.** „Analysing Political Discourse: Theory and Practice“. London: Routledge. 2004
24. **Coşeriu, E.** . [Sinchronija, diachronija i istorija \(Problema jazykovogo izmenenija\)](#)», in: Vladimir Andreevič Zvegincev (ed.), *Novoe v lingvistike III*, Moscow: USSR, 123-343, Russian translation of 24 [Sincronía, diacronía e historia. El problema del cambio lingüístico], translated by Ígor Aleksándrovich Mel'čuk. 1963
25. **De Landtsheer, Ch.** „The political rhetoric of a unified Europe“, 1998
26. **Drew, P. & Heritage, J. (Eds.)**. „Talk at work. Melbourne“, Australia: Cambridge University Press. 1992
27. **Dvalidze, N. & Shavladze, T.** „*A Lecture-Course in Stylistics - For The Stylistic Analysis of English Texts*“, Batumi, 2013.
28. **Edelman, M.** „Politics as Symbolic Action: Mass Arousal and Quiescence“. Chicago: Markham, 188 p. 1971
29. **Ehrlich, S. & Romaniuk, T.** „Discourse analysis. In R. Podesva & S. Devyani (Eds.), *Research*

- methods in linguistics“. Cambridge, UK: Cambridge University Press. 2013
30. **Feldman, O. & De Landtsheer, Ch.** “Politically speaking : a worldwide examination of language used in the public sphere”. 1998
  31. **Fairclough, N.** “Critical Discourse Analysis”. Boston. 1995
  32. **Fauconnier, G.** “Encyclopedia of Cognitive Science” [Электронный ресурс]. URL: <http://www.cogsci.ucsd.edu/~faucon/BEIJING/cogling.pdf> . 2014
  33. **Friedrich, P.** “The Language Parallax, Linguistic Relativism and Poetic Intermediacy”, Austin, TX, University of Texas Press. 1986
  34. **Foucault, M.** “The Archaeology of Knowledge”. 1973
  35. **Freed, A. F. & Ehrlich, S. (Eds.)**. “Why do you ask?” The function of questions in institutional discourse. New York, NY: Oxford University Press. 2010
  36. **Geis, M.** „The language of politics“. 1987
  37. **Gibbs, R.** „The Poetics of Mind: Figurative Thought, Language, and Understanding, Cambridge“. Cambridge University Press. 1994
  38. **Gentner, D.** „Structure-mapping: A theoretical framework for analogy“, 1989.
  39. **Goatly, A.** Washing the Brain: Metaphor and Hidden Ideology. John Benjamins, DOI: <https://doi.org/10.1075/dapsac.23>. 2007.
  40. **Guthrie, M.** “*Effects of credibility, metaphor, and intensity on comprehension, credibility, and attitude change*”. Unpublished master’s thesis, Illinois State University, 1972.
  41. **Harris, Z. S.** “Discourse Analysis. Linguistic Society of America”. Language 75:1.112–119. 1952
  42. **Heritage, J. & Clayman, S.** “Talk in action: Interactions, identities, and institutions”. Oxford, UK:Wiley Blackwell. 2010
  43. **Hitchon J. C.** “To be Or what to be: Metaphorical Predication in Advertising”,1991.
  44. **Humboldt, W. Ch. F.** On Language, ed. by M. Losonsky; transl. P. Heath from Einleitung: Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues und ihren Einfluss auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts. [In Über die Kawi-Sprache auf der Insel Java (Berlin: Druckerei der Königlichen Akademie der Wissenschaften, 1836).].



- Cambridge: Cambridge University Press, 1999.
45. **Jaffe**, “AIDS and Its Metaphors”, 1988 .
  46. **Kovecses, Z.** "Conceptual metaphor theory. Some criticism and alternative proposals." In Annual Review of Cognitive linguistics no.6 :168-184. 2008
  47. **Koller V.** “A Shotgun Wedding”: Co-occurrence of War and Marriage Metaphors in Mergers and Acquisitions Discourse // Metaphor and Symbol. Vol. 17. № 3. P. 179-203. 2002
  48. **Labov, W. & Fanshel, D.** “Therapeutic discourse”. New York, NY: Academic Press. 1977
  49. **Lakoff, G.** “The Metaphorical Structure of the Human Conceptual System”. 1980
  50. **Lakoff, G.** “The Contemporary Theory of Metaphor.” In Metaphor and Thought, ed. A. Ortony 2nd ed. 202-251. Cambridge University Press. 1993
  51. **Lakoff, G.** “The Contemporary Theory of Metaphor”. 1992
  52. **Lakoff, G.** “Some Empirical Results about the Nature of Concepts”. 1989
  53. **Lakoff, G. & Johnson, M.** “Metaphors We Live By”. Chicago: University of Chicago Press. 1980
  54. **Lakoff, G. & Johnson, M.** “Metaphor and war, again”. 2003
  55. **Lakoff, G.** “Women, Fire and Dangerous Things: What Categories Reveal about the Mind”. Chicago: University of Chicago Press. 1987
  56. **Langacker, R.** “Foundations of Cognitive Grammar. Theoretical Prerequisites”. Vol. 1 Stanford: Stanford University Press. 1987
  57. **Linde, C.** Narrative in institutions. In D. Schiffrin, D. Tannen, & H. Hamilton (Eds.), “The handbook of discourse analysis” (pp. 518–535). Malden, MA: Blackwell. 2003
  58. **Levinson, S.** Pragmatics, Cambridge University Press . 1983
  59. **McGuire, J.** “Cognitive-behavioural approaches: An introduction to theory and research”, 2000.
  60. **Mainuaineau, D.** Dictionnaire. Bern: Peter Lanng. 2002
  61. **Mainuaineau, D.** “Genèses du discours”. 1984
  62. **Müller, R.** “Creative Metaphors in Political Discourse”. Theoretical Considerations on the Basis of Swiss Speeches [Электронный ресурс]. URL: [www.metaphorik.de/09/mueller.pdf](http://www.metaphorik.de/09/mueller.pdf)

- (дата обращения: 15.07.2014). 2014
63. **Mihas, E.** “Non-literal Language in Political Discourse.” LSO Working Papers in Linguistics, vol. 5, 2005, pp. 124-39. 2005
  64. **Miller, G.** “On Being Persuaded: Some Basic Distinctions.” Persuasion: New Directions in Theory and Research. Eds. Roloff, Michael E., and Gerald. R. Miller. Beverly Hills: SAGE, 1980, pp. 11-28. 1980
  65. **Mio, J. S.** „Metaphors and Politics. Metaphor and Symbol“, 1997.
  66. **Musolff, A.** “Metaphor and Political Discourse”: Analogical Reasoning in Debates about Europe. London: Palgrave Macmillan, 2004. DOI: <https://doi.org/10.1057/9780230504516-2004>
  67. **Musolff, A.** “Political Metaphor Analysis: Discourse and Scenarios”. London: Bloomsbury. 2016
  68. **Musolff, A.** “Metaphor Scenarios in Public Discourse // Metaphor and Symbol”. 2006. Vol. 21. № 1. P. 23-38. 2006
  69. **Musolff, A.** “What Role Do Metaphors Play in Racial Prejudice? The Function of Antisemitic Imagery in Hitler’s “Mein Kampf” // Patterns of Prejudice. Vol. 41. № 1. P. 21-44. 2007
  70. **Nordquist, R.** "Definition and Examples of Ontological Metaphor." 2019.
  71. **Norricks, N. R.** “Discourse and Semantics”, 2014
  72. **Orwell, G.** “Politics and the English Language. London”: Heineman, p. 11–127. 1966
  73. **Orwell, G.** “Politics and the English Language” // The Collected Essays, Journalism and Letters of George Orwell. In Front of Your Nose: 1945-1950 / ed. by Sonia Orwell, Ian Angus. L., Vol. 4. P. 127-140. 1968
  74. **Osborn, M & Ehninger, D.** “The metaphor in public address”, 1962.
  75. **Paveau, M.A.** “Les grandes théories de la linguistique”. Paris : Colin, 200-201. 2003
  76. **Perrez, J.** “Deliberate Metaphors in Political Discourse: The Case of Citizen Discourse.” Metaphorik, vol. 25, 2014, pp. 7–41, <https://www.metaphorik.de/en/book/export/html/421> Accessed 18 Mar. 2020
  77. **Rash, F.** “The Language of Violence: Adolf Hitler’s Mein Kampf. Peter Lang”, 263 p. 2006

78. **Reddy, M.** "The conduit metaphor: A case of conflict in our language about language." In *Metaphor and Thought*, ed. A. Ortony, 284-310 Cambridge: Cambridge University Press. 1979
79. **Paul, R.** "La métaphore vive", Ed. du Seuil. 1975
80. **Pickles, J.** "Ground Truth The Social Implications of Geographic Information Systems. 1995
81. **Richards, I.** "The Philosophy of Rhetoric". Oxford: Oxford University Press. 1936
82. **Ringmar, E.** "On the causes of war", 1996.
83. **Russell S. T.** "Mapping conceptual representations into linguistic representations: the role of attention in grammar". 1997
84. **Serio, P.** "Analiz diskursa vo francuzskoj shkole "[Discourse analysis in the French school]. 1999
85. **Saussure, F. de.** "Cours de linguistique générale . Édition critique préparée par Tullio de Mauro", Paris, Éditions Payot. 1916
86. **Sarangi, S. & Roberts, C.** "Talk, work and institutional order: Discourse in medical, mediation and management settings". Berlin, Germany: Mouton de Gruyter. 1999
87. **Sinclair, J. & Coulthard, R.M.** "Towards an analysis of discourse: The English used by teachers and pupils". Oxford, UK: Oxford University Press. 1975
88. **Sopory, P & Dillard, J.** "The Persuasive Effects of Metaphor: A Meta-Analysis", 2002.
89. **Torfining, J.** "Discourse theory in European politics: Identity, policy and governance". 2005
90. **Underhill, J.W.** "The Switch: Metaphorical Representation of the War in Iraq", 2003
91. **Van Dijk, T. A.** „News as Discourse. Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum Associates“. 1988
92. **Van Dijk, T. A.** „Critical discourse analysis“. In D. Tannen, D. Schiffrin, & H. Hamilton (Eds.), *Handbook of discourse analysis* (pp. 352-371). Oxford: Blackwell. 2001
93. **Van Dijk, T. A.** "News as Discourse. Hillsdale", NJ: Lawrence Erlbaum Associates. 1988
94. **Van Dijk, T. A.** "Social Cognition and Discourse". 1989
95. **Van Dijk, T. A.** "Principles of critical discourse analysis". In *Discourse & Society* 4/2, 249-283. 1993
96. **Zinken, J.** "Metaphoric Practices in the German Wende Discourse" // *Journal of*

რუსული ლიტერატურის ჩამონათვალი

97. **Алещанова, И. В.** „Газетный текст как разновидность массово-информационного дискурса“ Языковая личность : институциональный и персональный дискурс. – Волгоград. 2000
98. **Анненкова, И. В.** „Медиадискурс XXI века : лингвофилософский аспект языка“ СМИ. 2011
99. **Арутюнова, Н. Д.** „Языковая метафора. Лингвистика и поэтика“. С. 147 – 173. 1979
100. **Арутюнова, Н. Д.** „Метафора и дискурс. Теория метафоры“. С. 5 – 32. 1990
101. **Арутюнова, Н. Д.** Лингвистический энциклопедический словарь. 1990
102. **Арутюнова, Н. Д.** Логический анализ языка. Ментальные действия. – М., 1993. – С. 3-6. 1993
103. **Баранов, А. Н.** „Парламентские дебаты: традиции и новации“. 1991
104. **Баранов, А. Н.** „Политическая аргументация и ценностные структуры общественного сознания. // Язык и социальное познание“. С. 166 – 176. 1990
105. **Баранов, А. Н.** „Очерк когнитивной теории метафоры. Русская политическая метафора. Материалы к словарю“. С. 184 – 193. 1991
106. **Баранов, А. Н. & Караулов, Ю. Н.** „Политическая метафора как объект лингвистического исследования. Русская политическая метафора. Материалы к словарю“. С. 12 – 16. 1991
107. **Бенвенист Э.** „Общая лингвистика“, Москва, Прогресс. 1974.
108. **Будаев, Э. В.** „Постсоветская действительность в метафорах российской и британской прессы“. С. 111. 2007
109. **Будаев, Э. В. & Чудинов, А. П.** „Метафоры, которыми мы живём: преобразования прецедентного названия // Политическая лингвистика“. Вып. 2 (22). С. 99-106. 2007
110. **Вежбицкая, А.** „Сравнение-градация-метафора“. В книге – теория метафоры, М. „Прогресс“. 1900
111. **Власян, Г. Р.** „Структурные и коммуникативно-прагматические основы изучения

- диалогического дискурса” //Дискурс: функционально-прагматический и когнитивный аспекты: Коллективная монография / отв. ред. Е. Н. Азначеева. – Челябинск. 2008
112. **Власян, Г. Р.** “Структурные и коммуникативно-прагматические основы изучения диалогического дискурса “. 2008
113. **Гавра, Д. П.** „Социальные институты“. 2010
114. **Горбачева, Е. В.** „Политический дискурс как механизм формирования государственно-гражданских отношений“. 2007
115. **Гречихин, М. В.** „Современный русский медиадискурс : язык интолерантности“, Санкт-Петербург. 2008
116. **Грушевская, Т. М.** „Политический газетный дискурс (лингвопрагматический аспект)“. 2002
117. **Добровольский, Д. О.** „Национально-культурная специфика во фразеологии Вопросы языкознания“. № 6. – С. 48-57. 1998
118. **Дускаева, Л. Р.** „Диалогическая природа газетных речевых жанров“, Санкт-Петербург. 2004
119. **Желтухина, М. Р.** “Тропологическая суггестивность масс-медиального дискурса : о проблеме речевого воздействия тропов в языке” СМИ 2003
120. **Земская, Е. А.** “Клише новояза и цитация в языке постсоветского общества”. // Вопросы языкознания, N 3.-С. 23- 31. 1996
121. **Йоргенсен, М. & Л. Дж. Ф.** “Дискурс анализ: теория и метод” / пер. С англ. / под ред. А. А. Киселевой. Харьков: Изд-во Гуманитарного центра, 2008. – 280 с 2008
122. **Ишменев, Е. В.** “Политический медиадискурс : теория и национальные модели”, Екатеринбург. 2012
123. **Калашова, А. Ш.** “Политический дискурс : аспекты социального воздействия”, Краснодар. 2006
124. **Караулов, Ю. Н.** “Русский язык и языковая личность” / И.Н. Караулов. М. : Наука, 1993. – 261 с. 1993
125. **Карасик, В. И.** “Языковой круг: личность, концепты, дискурс”. 2000

126. **Кобозева, И. М.** “Лексико-семантические заметки о метафоре в политическом дискурсе” // Политическая лингвистика. № 2 (32). С. 41-46 2010
127. **Кожемякин, Е. А.** “теория и методология дискурс-анализа”. 2007
128. **Козырева, Н. В.** “Метафора как оператор прагма-когнитивной модификации английского политического дискурса” // Известия Южного федерального университета. Филологические науки. № 4. С. 89-95. 2013
129. **Конконосенко, С. Г.** “Социология журналистики”. 2004
130. **Корнилаева, Н.** “Языковые средства как способ моделирования восприятия в политическом дискурсе” : автореф. дис. ... канд. филол. наук / Н. Н. Корнилаева. М., 16 с. 2008
131. **Костюшкина Г.М.** “Современные тенденции во французском языкознании”. 2005
132. **Лассан, Э.** “Дискурс власти и инакомыслия в СССР: когнитивнориторический анализ”. – Вильнюс, 232 с. 1995
133. **Менджеричкая, Е.** Термин "дискурс" и типология медиадискурса. 2002
134. **Миронова, Н. Н.** “Оценочный дискурс: проблемы семантического анализа”. // Известия АН. Серия литературы и языка. – Т. 56. – N 4. – С.52 – 59. 1997
135. **Михалёва, О.** “Политический дискурс как сфера реализации манипулятивного воздействия”. 2004
136. **Михалева, О. Л.** “Политический дискурс как сфера реализации манипулятивного воздействия”: монография. Иркутск, 320 с 2005
137. **Наминова, Г. А.** “Политический дискурс в современной России” : проблемы достижения общественного согласия . 2001
138. **Пескова, Е. Н.** “Метафора как средство реализации интенций в политическом дискурсе (на материале текстов региональных предвыборных кампаний)”: дисс. ... к. филол. н. Челябинск, 171 с. 2006
139. **Попова, З. Д. & Стернин, И. А.** “Лексическая система языка”. Воронеж: Ред. Воронежский университет, 1984. – 148 с. 1984
140. **Седов, К.** “Дискурс и личность : эволюция коммуникативной компетенции”. 1999
141. **Степанов, Ю.** “ЯЗЫК И МЕТОД К СОВРЕМЕННОЙ ФИЛОСОФИИ ЯЗЫКА”.

2005

142. **Шейгал, Е.** “Семиотика политического дискурса”. 2004
143. **Chernyavskaya, V.** “Дискурс власти и власть дискурса: проблемы речевого воздействия “: учебное пособие. 2006
144. **Черных, А.** “Социология массовых коммуникаций”. 2008
145. **Чудинов, А. П.** “Россия в метафорическом зеркале: когнитивное исследование политической метафоры”, Екатеринбург : УрГПУ, 2001. – 238 с. 2012

### გამოყენებული ინტერნეტ რესურსები:

#### ქართული ინტერნეტ რესურსები

სალომე ზურაბიშვილის გამოსვლები:

1. <https://civil.ge/ka/archives/271166?fbclid=IwAR2Ax5KNC1WT6xxx5Z5E8GZlk5PeU7iE8hozlgAXS3dxPT-jEghpAYSEgo> (სალომე ზურაბიშვილი, 16.12.2018)
2. <https://ghn.ge/news/226818-prezidentis-sitqva-26-maisis-ghonisdziebaze?fbclid=IwAR3PW6p6OjZQl6d9bH6YCUotqu8N5Wdf0f9dP1vS4N39BAbAUlSbDfKPwQ> (სალომე ზურაბიშვილი, 26.05.2019)
3. [https://president.ge/index.php?m=212&news\\_id=2035&lng=geo&fbclid=IwAR3NLRI77cup4QVpTT-2-PyCRJfkXFUyxXkj89QQYcVQt0xwXTTfY5ysS6M](https://president.ge/index.php?m=212&news_id=2035&lng=geo&fbclid=IwAR3NLRI77cup4QVpTT-2-PyCRJfkXFUyxXkj89QQYcVQt0xwXTTfY5ysS6M) (სალომე ზურაბიშვილი, 11.11.2023)

გიორგი მარგველაშვილის გამოსვლები:

1. <https://civil.ge/ka/archives/240481> (გიორგი მარგველაშვილი, 02.05.2018)
2. <https://www.youtube.com/watch?v=ua5WU3tbyhg> (გიორგი მარგველაშვილი, 19.09.2013)
3. <https://www.youtube.com/watch?v=X-3Yif2teBQ> (გიორგი მარგველაშვილი, 22.10.2013)
4. <https://www.youtube.com/watch?v=aDQU1UMkDN0> (გიორგი მარგველაშვილი, 14.10.2011)

#### ინგლისური ინტერნეტ რესურსები

დონალდ ტრამპის გამოსვლები:

1. [Donald Trump's Congress speech \(full text\) | CNN Politics](#)( Donald Trump, 28.02.2017)
2. [Inaugural address: Trump's full speech | CNN Politics](#) (Donald Trump, 20/01/2017)
3. <https://www.c-span.org/video/?468549-1/2020-state-union-address>(Donald Trump, 04.02.2020)
4. <https://trumpwhitehouse.archives.gov/briefings-statements/president-donald-j-trumps-state-union-address/> (Donald Trump, 30/01/1018)
5. <https://www.p2016.org/photos15/summit/trump012415spt.html> (Donald Trump, 24.02.2015)
6. <https://www.washingtonpost.com/news/the-fix/wp/2017/06/16/theyre-rapists-presidents-trump-campaign-launch-speech-two-years-later-annotated/?noredirect=o> (Donald Trump, 16.01.2017)
7. <https://nymag.com/intelligencer/2015/08/people-dreaming-about-romney-2016-plot-twist.html> (Donald Trump, 24.08.2015)
8. <https://www.washingtonpost.com/news/the-fix/wp/2017/06/16/theyre-rapists-presidents-trump-campaign-launch-speech-two-years-later-annotated/?noredirect=on> (Donald Trump, 16.06.2017)
9. <https://trumpwhitehouse.archives.gov/farewell-address/> (Donald Trump, 20.01.2021)
10. <http://beersandpolitics.com/presidential-announcement-speech> (Donald Trump, 15.06.2015)

ჯო ბაიდენის გამოსვლები:

1. <https://www.wbay.com/2020/08/21/complete-text-of-joe-bidens-acceptance-speech-at-the-democratic-national-convention/> (Joe Biden, 21.08.2020)
2. <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2023/02/07/remarks-by-president-biden-in-state-of-the-union-address-2/>(Joe Biden, 07.02.2023)
3. <https://edition.cnn.com/2020/08/20/politics/biden-dnc-speech-transcript/index.html> (Joe Biden, 20.08.2020)
4. <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2021/01/20/inaugural-address-by-president-joseph-r-biden-jr/> (Joe Biden, 20.01.1021)



5. <https://www.washingtonpost.com/politics/2020/11/07/annotated-biden-victory-speech/> (Joe Biden, 07.11.2021)
6. <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2021/01/20/inaugural-address-by-president-joseph-r-biden-jr/> (Joe Biden, 20.01.2021)